

1981



# თეატრალური

# გაზეთი

5

1981



საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბიულეტენი

# თეატრალური

# ბიულეტენი

5. 1981

წელიწადი 24-0

სექტემბერი — ოქტომბერი



რედაქტორი

**ერემია ქარელიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი

**გურამ ბათიაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ია გავრეკელი,  
ნოდარ გურაბანიძე,  
რეზარ ეგაძე,  
ვასილ კიკნაძე,  
ბადრი კობახიძე,  
ლილი ლომთათიძე,  
ვახტანგ ქართველიშვილი,  
ნინო შვანდირაძე,  
თამაზ ზილაძე,  
გიორგი ციციშვილი  
დიმიტრი ჯანაულიძე.

რედაქციის მისამართი

თბილისი-380007

პირველი ქ. № 11-ბ

ტელეფონი

99-90-96

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობას

1-4836

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობას, ყველა თეატრალურ მუშაკს, ყველა შემოქმედს, ვისაც ღირსეული წვლილი შეაქვს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების აღმავლობის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

რესპუბლიკის სცენის ოსტატთა ფორუმი იმ ღირსშესანიშნავ დროს მიმდინარეობს, როცა საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ხორცი შეასხან პარტიის მიერ დასახულ დიად ამოცანებს, თავდადებით იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის დაგეგმვათა პირნათლად შესრულებისათვის. დღეს უკვე თამამად შეიძლება აღინიშნოს პირველი წარმატებები, რომლებიც რესპუბლიკის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ მოიპოვეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს იმ მკაფიო შთაბეჭდილების ნიშნით, რომელიც ყველა ჩვენგანზე მოახდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ამ სიტყვაში მოცემულმა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მალალმა შეფასებამ.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას 100 წელი შეუსრულდა. ქართული თეატრი იმთავითვე ხალხის სამსახურს თვლიდა უპირველეს მოვალეობად, ერის წყლული აჩნდა წყლულად, ქადაგებდა ინტერნაციონალისტურ და დემოკრატიულ იდეებს. განუზომელი ამაგი დასდეს თეატრს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, რომლებიც ხელოვნების ამ დარგს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ანიჭებდნენ. ქართულ სცენაზე მოღვაწეობდა ბევრი გამოჩენილი ხელოვანი, რომელთა სახელს დღესაც მაღლიერებით იხსენებს ჩვენი ხალხი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრი ჭეშმარიტად ხელმეორედ დაიბადა. რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალულმა, ცხოვრებისეული ჰეროიკით შთაგონებულმა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სპექტაკლებმა სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

თანამედროვე ქართული თეატრი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძობია იმ სახელოვანი ტრადიციებისა, რომლებიც ქართული სცენის გამოჩენილმა ოსტატებმა შექმნეს. დღეს ქართული თეატრი ფართოდ გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. მისი შემოქმედებითი მიღწევები რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარი პოზიტიური

ძვრების უშუალო გამოძახილია. ბოლო ხანებში სულ უფრო მტკიცდება შემოქმედებითი ურთიერთობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშრომელებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან. ღრმავდება და ფართოვდება საშეღო მუშაობა.

პარტიულობა და ხალხურობა იყო, არის და მუდამ იქნება საბჭოთა თეატრის საფუძველთა საფუძველი, მისი არსი, მისი განვითარების პირველი და გადაამწყვეტი პირობა. პარტიულობა და ხალხურობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ დღეს, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ვსოდენ გამძაფრდა იდეოლოგიური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების წინაშე ახალი ამოცანები დგას. საჭიროა უფრო მასშტაბურად, უფრო მკაფიოდ აისახოს საბჭოთა ადამიანების შრომითი მიღწევები, მეტი ყურადღება მიექცეს თანამედროვე დადებითი გმირის სახის შექმნას, გმირისას, რომელიც სოციალურად აქტიური პიროვნებაა და საქმით იბრძვის სიკეთის დასამკვიდრებლად და ბოროტების დასათრგუნად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა, რის შესახებაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამოცანა ის არის, რომ რესპუბლიკის ყველა თეატრი ავიყვანოთ მოწინავე თეატრალური კოლექტივების დონეზე.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრის მუშაებმა თავიანთი შემოქმედებით თანამიმდევრულად და განუხრებლად უნდა შეასხან ხორცი სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებს, გამოხატონ ჩვენი ცხოვრების ინტერნაციონალური სულისკვეთება, იბრძოლონ თითოეული ხელოვანის იდეური და პროფესიული ოსტატობის ზრდისათვის, აქტიურად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ესთეტიკურ აღზრდას, განამტკიცონ ურთიერთგამამდიდრებელი კავშირი მოძვე რესპუბლიკების თეატრალურ კოლექტივებთან და თეატრალურ საზოგადოებრიობასთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობის დელეგატები, რესპუბლიკის ყველა თეატრალური მუშაკი მთელ თავიანთ ნიჭს, ძალასა და ენერგიას მოახმარენ პარტიისა და ხალხის სამსახურს, პირნათლად მოიხდიან თავიანთ წმიდათაწმიდა ვალს დროის წინაშე, ღირსეულ წვლილს შემატებენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა

1981 წლის 12 ოქტომბერს აქაი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის დიდ დარბაზში, შედგა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეცხრე ყრილობა. ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა მერიკო ანჯაფარაძემ:

— ძვირფასო ამხანაგებო! ნება მომეცით მოგესალმოთ თქვენ, საუკეთესო წარმომადგენლებს ქართული საბჭოთა თეატრისა, რომლებიც დღეს აქ მობრძანდით, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეცხრე ყრილობაზე. გულითად სალამს გადმოგცემთ თქვენ ყველას.

თქვენ მოხვედით აქ, რათა მოისმინოთ მსჭელობა ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ავკარგიანობის შესახებ, რადგან ჩვენ ყველას გვიყვარს ჩვენი თეატრი სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ჩვენ გვიყვარს ჩვენი თეატრი იმიტომ, რომ ის ასრულებს დიდ შემოქმედებით მისიას ხალხის ცხოვრებაში. რა შეიძლება იყოს იმაზე კარგი, რომ ემსახურო შენს ხალხს, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას, ემსახურო შენს სამშობლოს, შენს მამულს, ჩვენს მიწა-წყალს.

კარგად ვიცით რა ზეგავლენის მოხდენა, რა დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია თეატრალურ ხელოვნებას ხალხის მასებზე.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1919 წელი, როდესაც კიევში კოტე მარჯანიშვილმა დადგა სპექტაკლი ლოპე დე ვეგას ნაწარმოების მიხედვით: „ფუენტო ავეხუნა“ („ცხვრის წყარო“). ამ დადგმას ესწრებოდნენ მემორები, ისინი უყურებდნენ სპექტაკლს გლეხთა განმანათლებლებელ ბრძოლაზე ტირანების წინააღმდეგ. მემორები თეატრიდან შთაგონებულნი მიდიოდნენ ფრონტზე რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად.

თეატრს, საერთოდ, დიდი ძალა აქვს, იქ აღძრულ გრძნობებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე. თუნდაც გავიხსენოთ რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლები ინგლისში.

თეატრის შენობის წინ, სადაც ჩვენი თეატ-

რის გასტროლები უნდა გამართულიყო, მსახიობებს შეხვდა ისეთი ხალხი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სამშობლოს მიმართ. მაშინ გამოვიდა იმპრესარიო და უთხრა მათ: თუ რაიმე გაქვთ სათქმელი ამ თეატრის მსახიობებთან, თქვით, იმიტომ, რომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ვერაფერს ასეთს ვეღარ იტყვიოთ.

მართალია, ამ სპექტაკლს ესწრებოდა უფრო მეტი მტერი, ვიდრე მოყვარე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხელოვნების, მაგრამ გათავდა თუ არა სპექტაკლი, ყველა ტაშს უკრავდა, დიდი ოვაციები გაიმართა. ტაშს უკრავდა ყველა — მტერიც და მოყვარეც.

ასეთი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ამაზე მერე, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელოვნება უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ, ვიდრე იგი ახლა გვაქვს.

მართალია, დიდი ხანი არ გასულა მერვე ყრილობიდან, სულ რაღაც ხუთი წელი გვაშორებს მას, და რამდენი რამ ახალი მოხდა საქართველოს თეატრალურ ხელოვნებაში, ახალი თეატრი იხსნება გლდანში, ლერი პაქსაშვილის ხელმძღვანელობით, კინო-სტუდიასთან გაიხსნა თეატრი-სახელოსნო ახალგაზრდობისათვის მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით, გაიხსნა თეატრი ტელევიზიასთან, ქუთაისში გაიხსნა თბილისის ოპერის თეატრის ფილიალი...

ეს ყოველივე მოხდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, რომელნიც ასე დიდად აფასებენ და ხელს უწყობენ ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, თეატრალურ შემოქმედებას. ჩერაც არ დამცხრალა ის შთაბეჭდილება, რომელიც დაგვრჩა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის ზეიმიდან. ეს ზეიმი გადაიქცა სახალხო დღესასწაულად იმიტომ, რომ ამ ზეიმიზე ჩვენ გვეწვია დიდი საპატიო სტუმარი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. გვახსოვს რა დიდი შეფასება მისცა მან არა მარტო პარტიულ

საქმიანობას, არამედ მთელ ჩვენს მიღწევებს, მთელ ჩვენს კულტურასა და ხელოვნებას, მან ილაპარაკა ჩვენს თეატრებზეც.

ეს ხომ დიდი იმპულსია! თუნდაც ავიღოთ, ის, რომ ჩვენს თვალწინ იბადება, იზრდება ძველი თბილისი, რა წარმტაცი სანახაობა იყო „თბილისობა“. როგორი შესანიშნავი გახდნენ ჩვენი ფშავ-ხევსურეთი, აფხაზეთი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო — მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი. რა ბრწყინვალე სანახავია ისინი, რა დოვლათია ჩვენს მიწაზე, რა მდიდარი ხალხია, რა ლამაზი ხალხია!

ყველაფერი ეს მიღწეულ იქნა ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობით, ზრუნვით. ამიტომ მე მინდა თქვანი სახელით მათ ვუთხრა უდიდესი მადლობა, მადლობა ვუთხრა ამხანაგ შევარდნაძეს, რომელიც არის არა მარტო დიდი მოღვაწე პარტიული ცხოვრებისა საქართველოში, არამედ ჩვენი დიდი მეგობარი, საერთოდ, დიდი მეგობარი თეატრისა, ხელოვნებისა.

ამის გამო ჩვენს თეატრებს აქვთ კეთილი ცხოვრება. განა ცოტას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნეცს შეხვდა მსახიობი, შეიძლება მე მაშინ ვიყავი ქართველი ქალის წარმომადგენელი, ქართველი ქალის სიმბოლო, მაგრამ ჩემთვის მსახიობობა არავის წაურთმევია და მაინც მსახიობი შეხვდა საქართველოში ამხანაგ ბრეჟნეცს.

თქვენ იცით რა დაძაბულ ატმოსფეროში ვცხოვრობთ, რა საშინელი ბრძოლა მიდის ორ სამყაროს შორის, და სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს ეს ყრილობა უნდა იყოს საქმიანი და შედეგიანი, დღეს თეატრი უნდა იყოს უფრო მაღალი შემოქმედებითი დონის.

თეატრი ყოველთვის არის ტენდენციური და ახლა უფრო უნდა იყოს ტენდენციური. თეატრი უნდა ამოუდგეს მთავრობას მხარში და ხელიხელჩაკიდებული იბრძოდეს ხვალისდელი დღისათვის, ჩვენი უკეთესობისათვის, ჰუმანური იდეებისათვის, მომავალი თაობის საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ქართულ თეატრს!  
გაუმარჯოს ქართული თეატრის მოღვაწეებს!  
გაუმარჯოს დღევანდელ დღეს!

ყრილობა ირჩევს საქმიან ორგანოებს, ამტკიცებს დღის წესრიგსა და მუშაობის რეგლამენტს, ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივს სცემენ მე-8 ყრილობიდან მე-9 ყრილობამდე გარდაცვლილ თეატრალურ მოღვაწეთა ხსოვნას.

ყრილობა მხურვალე ტაშის გრიალში ერთსულოვნად ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტუვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგეს ანხ. ნოდარ ჯანაშიას, იგი კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეცხრე ყრილობისადმი.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ანგარიში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ასპექტში;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. ცვლილებები წესდებაში.
4. არ ჩევენები:
  - ა) საზოგადოების გამგეობის,
  - ბ) სარევიზიო კომისიის.

საანგარიშო მოხსენებისათვის სიტუვა ეძლევა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, პროფესორ დიმიტრი ალექსიძეს.

სარევიზიო კომისიის მოხსენების ტექსტი დღევანდებს ხელზე დაურიგდათ.

მოხსენებით მესამე საკითხზე — თეატრალური საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანხ. ოსტარ მბაძემ.

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ანგარიში სკკპ XXVI უკილოვის გადაწყვეტილებათა ასაკის ღიმიჯი აღქმის მოხსენება

**ამხანაგეო!** საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა ტარდება მას შემდეგ, რაც ვიზეიმეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავი. სულ ცოტა დრო გვაშორებს ამ ისტორიულ დღეებს, ჯერ კიდევ არ გავგნებთ და, ალბათ, დიდხანს გავყვება ბედნიერების ის განცდა, რაც საიუბილეო დღეებში დაეუფლა თითოეულ ჩვენგანს. დღესასწაულის ასეთი მასშტაბურობა უმთავრესად განაპირობა იმან, რომ ჩვენი ზეიმი მხურვალედ გაიზიარა რესპუბლიკის დიდმა სტუმარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. მისი ჩამოსვლა საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. საქართველოს კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა განსაკუთრებული სიამოვნებით აღიქვეს ის ფაქტი, რომ პირველი, ვინც ჩვენს დიდ სტუმარს ქართულ მიწაზე შეხვდა და მიესალმა, — ეს იყო ხალხის საყვარელი მსახიობი, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.

რა დიდი და ღრმა აზრია ჩადებული ამ ფაქტში! კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენს შემოქმედებით ინტელაგენციას, კულტურას, კერძოდ თეატრს. საქართველოს 60 წლისთავის დღესასწაულმა ყოველ მხრივ გამოავლინა ჩვენი რესპუბლიკის უკანასკნელი ათი წლის მიღწევები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. საქართვე-

ლოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თვითკრიტიკულად გაანალიზა რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა, შეიმუშავა და ახორციელებს იმ ღონისძიებების ფართო წრეს, რომლის მიზანი გახლავთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი თაოსნობის შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკის კომპარტიამ მტკიცე, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ნეგატიურ მოვლენებს, ამ დაუღალავმა ბრძოლამ სასიკეთო შედეგი გამოიღო — ჩვენ სრულიად სხვა რწმენითა და მისწრაფებებით მოვედით სკკპ და საქართველოს 26-ე ყრილობებამდე. მოვედით ძლიერნი, განწმენდილნი. ამ ყრილობების გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე შრომითი გამარჯვებების ახალ პერსპექტივებს გადაშლიან ჩვენი ხალხის წინაშე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებებში დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებას, ამ ამოცანების შესრულებისათვის შრომისა და ბრძოლის წინა ხაზზეა საქართველოს კომპარტიის მძლავრი იდეოლოგიური იარაღი — ხელოვნება და, კერძოდ, თეატრი.



ლონიდ ილიას ძე ბრეჟნემა სკკპ XXVI ყრ. აღობაზე თავის საანგარიშო მოხსენების იმ ნაწილში, სადაც იგი იხილავს სოციალისტური ცხოვრების წესის მატერიალური და სულიერი საფუძვლების განმტკიცებისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემას, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ხელოვნებას, ზუსტად განსაზღვრა ის დიდი როლი, რომელიც ხელოვნებას განეკუთვნება ახალი ადამიანისა და მისი მსოფლმხედველობრივი აღზრდის საქმეში.

„ის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის სულიერი ცხოვრება სულ უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი ხდება, ჩვენი კულტურის მოღვაწეების, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების უდავო დამსახურებაა. საბჭოთა ხელოვნებაში ახალი მოქცევითი ტალღა მოდის. ამ ბოლო წლებში, ყველა რესპუბლიკაში ტალანტით აღბეჭდილი ბევრი ნაწარმოები გაჩნდა. ეს შეეხება ლიტერატურასა და თეატრს, კინოსა და მუსიკას, მხატვრობასა და ქანდაკებას“.

ქართული ხელოვნების განვითარებას შესანიშნავი ამინდი უდგას. ასეთი დიდი ინტერესი ქართული კულტურის ყოველი დარგისადმი არასოდეს ყოფილა. ძალიან გაიზარდა მისი ავტორიტეტო მსოფლიოს მასშტაბით. მრავალი მოწინავე ქვეყანა დაინტერესდა ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგით, იზრდება ქართველოლოგთა რიცხვი, დიდ ინტერესს იჩენენ როგორც ჩვენი კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერლობისადმი. მრავალ ენაზე ითარგმნება და იბეჭდება „ვეფხისტყაოსანი“, ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი კინოხელოვნება, მხატვრობა, მუსიკა, საშემსრულებლო ხელოვნება, ხუროთმოძღვრება. თუ რამდენიმე წლის წინათ უცხოელ მაყურებელს აღაფრთხოვანებდა ქართული ცეკვის სინათლე, უმანკოება, ცეცხლოვანი ტემპერამენტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შესანიშნავი ანსამბლის შემწეობით, დღეს ინგლისელი მაყურებელი შექსპირს ქართულ ენაზე ისმენს და აღტაცებით უკრავს ტაშს ჩვენს საამაყო რუსთაველის თეატრს, მაღალ შეფასებას აძლევს მის

რეჟისურასა და სამსახიობო ხელოვნებას. განა იფიქრებდა ოდესმე ნიკო ფიროსმანაშვილი, რომ მისი სურათების გამოფენა პარიზში აღტაცებაში მოიყვანდა ფრანგ ხალხს? რომ მის პატივსაცემად, საგამოფენო დარბაზის წინ ფრანგ გვარდიელთა აღლუმი გაიმართებოდა? რა დიდი ინტერესი გამოიწვია სულ ახლახანს ჩვენი ქვეყნის დელაქალაქ მოსკოვში ზურაბ ნიჟარაძის სურათების გამოფენამ! ერთი სიტყვით, ამ ბოლო დროს ჩვენი ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლებმა უდიდესი ძალით გამოავლინეს ქართველი ხალხის ხასიათი და ბუნება, უდავოა, რომ მათს შორის თეატრს წამყვანი ადგილი უკავია. დამოჩენილმა ესპანელმა პოეტმა და აღამატურგმა გარსია ლორკამ სთქვა: „თეატრი უნდა იყოს ისეთი, როგორც არის მისი ხალხი“, — ეროვნული თეატრი წარმოდგენელია მაღალი ლიტერატურის, დრამატურგიის გარეშე.

ეროვნული დრამატურგიის გარეშე არ არსებობს ეროვნული თეატრი. ბელინსკი შექსპირის დრამატურგიას პოეზიის უმაღლეს ფორმად მიიჩნევდა, აბა, წარმოიდგინეთ რა იქნებოდა რუსული თეატრი ოსტროვსკის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, დოსტოევსკისა და ტურგენევის გარეშე, პუშკინის გარეშე? გოგოლის გარეშე. მე პირადად მოწმე ვიყავი რა დიდი წარმატება ხვდა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ერთი უხითი წარმოვიდგინოთ რაოდენ სასიხარულო იქნებოდა მთელი ქართველი ხალხისათვის, რომ ბრეხტისა და შექსპირის გვერდით ქართველი დრამატურგი — გნებავთ კლასიკოსი, გნებავთ თანამედროვე — გაეყვანა უცხოეთში რუსთაველის თეატრს. ამაზე ჩვენ ყველას, პირველ რიგში თეატრალურ საზოგადოებას დიდი დაფიქრება გვჭირდება. მწერალთა კავშირთან ერთად ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული ზრუნვა ამ რთული ქანრის მიმართ. პროზასა და პოეზიასთან შედარებით დრამატურგიას ჩვენში ჯერ არ აქვს შექმნილი საჭირო პირობები. საჭიროა ახალი საშუალებების გამოხსნა. კონკურსები, სემინარები, შემოქმედებითი მივლინებები, რომელსაც კულტურის სამინისტრო და თეატრა-

ლური საზოგადოება ატარებენ, ალბათ, არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა დავაინტერესოთ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები მოვიდნენ თეატრში, წერონ თეატრისათვის ისე, როგორც მოვიდნენ თავის დროს სამხატვრო თეატრში ჩეხოვი და გორკი. უნდა აღიზარდოს დრამატურგების ახალი თაობა, თაობა, რომელსაც უყვარს თეატრი, უყვარს მსახიობის ხელოვნება და განაგრძობს საუკეთესო ტრადიციებს. სწორედ მათ უნდა შეჰქმნან ჩვენი ეპოქის, ჩვენი დროის ამსახველი სცენური ნაწარმოებები, კოლექტივებს მისცეს მასალა ჩვენი დროის გმირის სახის შესაქმნელად. ჩემი აზრით, აქ დიდი როლი ეკუთვნის თვითონ თეატრს. თეატრებმა უნდა შემოიკრიბონ თავის გარშემო დრამატურგები, რომლებიც მათთვის დასწერენ პიესებს. ამ მხრივ მისასალმებელია, რომ კ. მარჩანიშვილის თეატრში მოვიდა ნიჭიერი დრამატურგი ქალი ლალი როსება. მის შემოქმედებით გამოვლინდა დიდი ღვაწლი დასდო ნიჭიერმა რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ.

ლიტერატურის, თეატრის ისტორიამ შემოინახა იმ მწერალთა სახელები, რომლებიც უშუალოდ თეატრისათვის არ წერდნენ, მაგრამ მაინც კეთილისმყოფელი როლი ითამაშეს თეატრის განვითარებაში. ჩვენც გვყავს ასეთი მწერალი ნოდარ ღუმბაძის სახით. 60-იანი წლების დამდეგიდან ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებები არ ჩამოდის სცენიდან. მე გამიჭირდება დავასახელო ისეთი რესპუბლიკა, სადაც სცენაზე არ ასულიყვნენ ამ მწერლის გმირები. ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა თეატრთან გრძელდებოდა საანგარიშო პერიოდშიც, ჩვენი თეატრისათვის კარგად ცნობილ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, „მე ვხედავ მზეს“, „ნუ გეშინია, დედას“, „საბრალებო დასკვნას“ საანგარიშო პერიოდში დაემატა „მარადისობის კანონი“ — ჭეშმარიტი ტალანტით აღბეჭდილი მოთხრობა ჩვენი დროის ადამიანის მალალ ზნეობრივ პრინციპებზე.

ნაყოფიერად მუშაობს ალექსანდრე ჩხაიძე. მისი პიესები წარმოადგინენ ჩვენი თანამედროვის უკომპრომისო ყოფის ნიმუშს, ამის გამოა სწორედ, რომ ალ. ჩხაიძის პიესები იდგმება საბჭოეთის ბევრ ქალაქში. საანგარიშო პერიოდში მისი პიესები უცხოეთის

ბევრ ქვეყანაშიც დაიდგა და ეს მეტად სასიხარულოა.

გაიზარდა იმ ქალაქების რიცხვი, რომელთა სცენაზეც ავიდნენ გუგა ნახუციანიშვილის პერსონაჟები, სად არ შეხვდებით დღეს ამ კეთილი მეზღაპრის გულად, ხალხურ სახეებს — კიევში თუ ომსკში, ბერლინში თუ ვარშავაში, ერევანსა თუ ლაიპციგში, ბაქოსა თუ ტოკიოში...

ჩვენი თეატრები კვლავ ელიან მაღალმხატვრულ პიესებს ისეთი ცნობილი დრამატურგებისაგან, როგორც არიან იონა ვაკელი, მარიკა ბარათაშვილი, ვალერიან კანდელაკი, ოტია იოსელიანი, გიორგი ხუხაშვილი, კიტა ბუაჩიძე, აკაკი გეგუაძე, თეატრებმა უფრო აქტიურად უნდა ჩააბან ეს დრამატურგები მუშაობაში, დაუკვეთონ მათ პიესები, ესენი ხომ გამოცდილი დრამატურგები არიან? ძალიან გვახარებს თამაზ ჭილაძის პიესებისადმი ასეთი ინტერესი, საანგარიშო პერიოდში ორმა მისმა პიესამ მიიქცია ყურადღება. „ბუდე მეცხრე სართულზე“ და „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. ამ პერიოდს ემთხვევა მ. ელიოზიშვილის „ბერიკონისა“ და გურამ ბათიაშვილის ორი პიესის წარმატება, ერთი „ლალი, სიყვარული და სხვები“ დაიდგა მოსკოვში, ხოლო მეორემ — „ვალი“ ლიტერატურული პრემიაც კი დაიმსახურა, გვახარებს ლაშა თაბუკაშვილის ნაყოფიერება, რომლის პიესები რესპუბლიკის ბევრ ქალაქში დაიდგა და ახალგაზრდობის ინტერესიც გამოიწვია. გამომჩნდნენ ახალი ავტორები — თამაზ მეტრეველის, ენვრი ნიყარაძის, ლევან მალაზონიას, ავთანდილ ჩხიკვიშვილის, ალექსანდრე კოტიტიშვილის და სხვათა სახით.

ჩვენ გვინდა ყრილობის ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. ქართულ თეატრს თითქმის უყურადღებოდ აქვს მიტოვებული კლასიკური ქართული მწერლობა — მეცხრამეტე საუკუნის დრამატურგია. მართალია ბევრი პიესა მოძველდა პრობლემატიკით, მაგრამ მაინც შეიძლება მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება, ვთხოვთ თანამედროვე დრამატურგებს ამ პიესების ადაპტაცია, ეს უთუოდ გამოიღებს სასიკეთო ნაყოფს. თეატრის ისტორიამ ბევრი იცის საიმისო მაგალითები, როცა წინა საუკუნის მწერლობა თანამედროვეობის სამსახურში ჩამდგარა. ჩვენი კლასიკუ-

რი დრამატურგია იმსახურებს ასეთივე მზერა შევავლოთ შალვა დადიანის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, იონა ვაკელის და სხვათა პიესებს. ბევრი ამ მწერალთაგანი შეიძლება ჩავაყენოთ თანამედროვეობის სამსახურში.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქართული კულტურის საერთაშორისო აღიარებაზე, უწინარესად ვგულისხმობთ იმ განუზომელ წვლილს, რომელიც რუსთაველის თეატრს შეაქვს ამ აღიარებაში. რუსთაველის თეატრმა, რობერტ სტურუას მნიშვნელოვანმა რეჟისორულმა აღმოჩენებმა დღევანდელი ქართული თეატრალური აზროვნება მეტად პოპულარული გახადა. ეს რეზონანსი კიდევ უფრო გაიზარდა საანგარიშო პერიოდში, საბჭოეთსა თუ უცხოეთში ბევრი მინახავს ამ თეატრზე აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობდა.

ჩვენი თეატრმცოდნეობა ახლა მკლავებდაკაპიწებული უნდა მუშაობდეს, რომ გაანალიზოს ეს მიღწევა თეატრისა. რაზეა იგი დაფუძნებული, რამ მოიტანა გამარჯვება? გაანალიზება მხოლოდ შემოქმედებით მარცხს კი არ სჭირდება, არამედ გამარჯვებასაც, რათა ამან სახვალიო საქმე გაგვიადვილოს.

რობერტ სტურუამ, რუსთაველის თეატრმა მონახეს თეატრალური პირობათობისა და რეალისტური ხელოვნებას ბუნებრივი შერწყმის, სინთეზის ისეთი ფორმა, რომელიც მათს სპექტაკლებს ესოდენ საინტერესოს ხდის.

თეატრის დღევანდელი მიღწევები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამოაზრობას თეატრალურ ხელოვნებაში. რობერტ სტურუას, რამაზ ჩხიკვაძისა და გია ყანჩელის ერთობლივმა მუშაობამ მეტად კეთილი ნაყოფი მოგვცა. ეს არის ჭგუფი, რომელიც განაპირობებს რუსთაველის თეატრის დღევანდელ დონეს, მის საერთაშორისო ავტორიტეტს.

მაგრამ ამასთან ერთად მე არ შემიძლია ამ ტრიბუნიდან არ აღვნიშნო ერთი გარემოება — ზოგჯერ ამ თეატრშიც იბადება უინტერესო სპექტაკლი, სცენური ნაწარმოები, რომელიც ვერაფრით ვერ ამოუდგება გვერდით „რიჩარდსა“ თუ „კავკასიური ცარცის წრეს“. ასეთი ძლიერი კონტრასტი არ უნდა იყოს ერთი თეატრის სპექტაკლებს შორის.

დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრშია

მოქცეული მარჯანიშვილის თეატრში მიმდინარე პროცესები.

საანგარიშო პერიოდში ამ თეატრში ბევრი საყურადღებო სპექტაკლი დაიდგა. ორი სახე შეჰქმნა ქართული თეატრის კორიფემ ვერცო ანჯაფარიძემ („მოჩვენებები“ და „შთამომავლობა“). მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ თეატრში მალე ბერდებოდნენ სპექტაკლები, ბერდებოდნენ იმის გამო რომ აკლდათ მხატვრული გააზრება, სიღრმე. ახლა ამ თეატრს თემურ ჩხეიძე ჩაუდგა სათავეში და უკვე განახორციელა საინტერესო სპექტაკლი „ჰაკი აძმა“, რომელსაც წარმატება ხვდა.

გავეცანით მარჯანიშვილის თეატრის მომავალი სეზონის რეპერტუარს. კარგია, რომ ქართულ სცენას დაუბრუნდება „ოტელო“, დაუბრუნდება მაჩაბელის ბრწყინვალე თარგმანით. ამ თეატრის ხელმძღვანელობას მოუწევს დიდი შრომა, რათა მოხდეს აქტიური ანსამბლის კონსოლიდაცია. ამ დასს ძალუძს განაგრძოს მარჯანიშვილის ტრადიციები, უფრო წარმოაჩინოს ამ თეატრისათვის ნიშანდობლივი ფსიქოლოგიზმი, მიღრეკილება ეროვნული ხასიათის შექმნისაკენ. ჩვენთვის ერთობ სასიხარულოა, რომ თემურ ჩხეიძე მიწვეულია სამხატვრო თეატრში სპექტაკლის დასადგმელად. ეს არის კიდევ ერთი აღიარება ქართული რეჟისურისა.

სულ რაღაც ორიოდ წელი დარჩა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავამდე. ეს იქნება დიდი ეროვნული დღესასწაული ჩვენი ხალხისა, დღესასწაული, რომელიც დაადასტურებს რუსი და ქართველი ხალხების საუკუნებრივ ძმობას. ჩვენთვის ფრიად სასიხარულოა, რომ ამ დიდი თარიღისადმი მიძღვნილი ვრცელი კინოპოპეის შექმნას სწორედ მარჯანიშვილის თეატრის ტრადიციებზე აღზრდილი რეჟისორი, ამ თეატრის შესანიშნავი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე ჩაუდგა სათავეში. გვჯერა, რომ იგი კვლავაც გაამართლებს იმედებს და შექმნის დიდი მხატვრული ღირებულების ფილმს, რომელიც გვერდით ამოუდგება მისსავე მიერ სწორედ საანგარიშო პერიოდში შექმნილ „დთა თუთაშხიას“. ამ ფილმს მრავალი ღირსება გააჩნია. მათ შორის ერთი განსაკუთრებული დამსახურება ის გახლავთ, რომ წარმოაჩინა ქართული აქტიური

სკოლის დიდი პოტენცია. იგი სავსებით სამართლიანად არის წარდგენილი სსრკ სახელმწიფო პრემიაზე.

ზაქარია ფალისშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრმა ამ ბოლო დროს განახორციელა კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“, კომიკური ოპერა „პირველი სიყვარული“, ბალეტი „ათას ერთი ღამე“, ჩაიკოვსკის „მეგენი ონეგინი“, ვერდის „ოტელომ“ კიდევ ერთხელ გამოავლინა დასის პოტენციური შესაძლებლობანი. თეატრში, სამწუხაროდ, კიდევ გადაუჭრელია მთავარი რეჟისორისა და მთავარი ბალეტმეისტერის პრობლემა. ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე. ძიებები და ექსპერიმენტები ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ, სადღეისოდ თეატრი მრავალი პრობლემის წინაშე დგას. მათ გადასაჭრელად საჭიროა გონივრული, მოფიქრებული გზების გამონახვა. ხანძარმა აუნაზღაურებელი მატერიალური და მორალური ზარალი მიაყენა თეატრს, დღეს მას შესანიშნავი შენობა აქვს. თუმცა, სცენა და სინათლე კიდევ მოითხოვს გაუმჯობესებას. თეატრში მოვიდა არაჩვეულებრივი სასიმღერო ტალანტით დაჯილდოებული ახალგაზრდობა. ისინი საბჭოთა კავშირის, ევროპის ნებისმიერ საოპერო თეატრს დაამშვენებდნენ თავიანთი მონაცემებით. სულ ახლახან დაბრუნდა „ლა-სკალაში“ ორწლიანი სტაჟირებიდან ბანი პაატა ბურჭულაძე, იტალიაში გაემგზავრნენ ალექსანდრე ხომერიკი და თემურ გუგუშვილი, ჯემალ მდივანი ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი საბალეტო კადრების აღზრდის საქმეში, აუცილებელია სკოლა-ინტერნატი. ყოველივე ეს დროულ გაანალიზებასა და შესაფერისი დასკვნების გამოტანას საჭიროებს.

ამ დღეებში გლდანში მუშათა რაიონში, ჩვენი ქალაქის ახალ დასახლებაში გაიხსნება თეატრი რეჟისორ ლერი პაქსაშვილის ხელმძღვანელობით. თეატრმა თავის პირველ სპექტაკლად ვს. ვიშნევსკის ცნობილი პიესა „ოპტიმისტური ტრაგედია“ აირჩია. შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ ამ თეატრს!

მუსიკალური კომედიის თეატრში, სამწუხაროდ, მინელდა და, შეიძლება ითქვას, თითქმის ჩაქრა სამოცდაათიანი

წლების მეორე ნახევარში წამოყენებული გამოცოცხლება, რაც დაკავშირებული იყო თეატრის ახალ შემოქმედებით გეზთან. თეატრი ამ ბოლო დროს დაღატობის თავის შემოქმედებით პროფილს, რაც გამოიხატება მუსიკალური თეატრის უკიდურეს დრამატიზაციაში, ჟანრის სპეციფიკიდან გადახვევაში, სარეპერტუარო პოლიტიკის შეცვლაში. თეატრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი, გამოცდილი, პროფესიონალი რეჟისორი გურამ მელივა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალ სეზონში იგი შეიცვლება აღმოფხვრას ის შეცდომები, რომელიც თეატრმა დაუშვა წლების მანძილზე.

თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრს გასულ სეზონში სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი რეჟისორი გიზო ჟორდანი. სეზონი თეატრისათვის ძალიან საინტერესო გამოდგა. დიდ წარმატება ხვდომწილად ისეთ დადგმებს, როგორცაა: მ. შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, ა. კახანცევის „ძველი სახლი“. დიდ იმედებს იძლევა თეატრის ახალი სეზონის რეპერტუარი. თეატრმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები ერევანსა და ბაქოში.

აქტიურად იღვწის მეტეხის ახალგაზრდული თეატრი. შესასურთ ორგანიზატორულ უნარს ამჟღავნებს თეატრის ხელმძღვანელი სანდრო მრეკვიშვილი. მე მხედველობაში მაქვს „თეატრალური კარვის“ შექმნის ფაქტი. თეატრის სპექტაკლები მრავალგვარ ფიქრს აღძრავენ, გვაჩვენებენ ამ კოლექტივის წივრთა ნიჭიერებას.

საინტერესოდ მუშაობს მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში შალვა გაწერელია. მის მიერ დადგმული სპექტაკლები „ქამუშაძის ვაჭირვება“, „სიმონა მამარის სიზმრები“, „რღვევა“ დიდად საყურადღებოა რეჟისორულ თვალსაზრისით. თუმცა, არც იმას დავფარავთ, რომ ზოგჯერ საკამათოც ბევრია მის სპექტაკლებში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა პროფესიონალიზმი რეჟისურისა, არამედ ამა თუ იმ პერსონაჟის გააზრება. საყურადღებო გამოდგა ახალგაზრდა რეჟისორის ქ. ხარშილაძის მუშაობა ამ თეატრში. მისმა სპექტაკლმა „შეაჩერეთ მაღახოვი“ მაყურებელთა დიდი ინტერესი დაბადა.

საანგარიშო პერიოდში რუსულ მო-

ზარდმაყურებელთა თეატრში ბევრი საყურადღებო სპექტაკლი შეიქმნა. პ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“-ს მიხედვით განხორციელებული „დრამატული სიმღერა“, ვ. მაიაკოვსკის „აბანო“, ა. ჩეხოვის „ერთმოქმედებიანი კომედიების საღამო“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ რ. მირცხულავას რეჟისორობით დაიდგა. მყურებელთა მოწონება ჰპოვა ე. ბასილაშვილის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „შეაჩერეთ მალახოვი“. ყურადღება მიიპყრო ვლ. ვოლგუსტის სპექტაკლმა „კატა, რომელიც სახურავზე სეირნობდა“.

მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრში დამკვიდრდა კეთილი ტრადიცია — საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებიდან რეჟისორების მოწვევისა. მათ დადგმებს მრავალი სიახლე შეაქვთ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. ამის დასტური გახლავთ ხარკოვიდან მოწვეული ვ. ენტინის, სტავროპოლიდან მოწვეული მიხ. ლურიის და ბულგარეთიდან მოწვეული ლ. ტოდოროვის მუშაობა ამ დასში.

მაგრამ ამ დასმა ყურადღება უნდა გამახვილოს ქართულ დრამატურგიაზეც. სასიამოვნოა, რომ თოჯინების ქართულ თეატრში შემოქმედებითი ძიება მიმდინარეობს. იდგმება მეტად საინტერესო სპექტაკლები: მ. აბრამიშვილის „ნიშნა, ნიშნა ბარბალუკამ“, ტ. ხავთასის „თხუნიათა“, ვაჟა ფშაველას „ნახევარწიწილამ“, გ. ლიფშიცის და ი. კოჩანოვის „იღუმალმა ჰიპოპოტამმა“. თ. მეტრეველის „გვრიტმა“, ა. ცუქანოვის „ძალიან ეშმაყურმა ზღაპარმა“, ლ. ყუხივეცკისა და ს. კოზლოვის „ცისფერმა ირემმა“ და ხეთაგურის „ხეტი-ალამ“ პატარა მყურებელთა ინტერესი გამოიწვია.

1979 წელს აზიისა და აფრიკის ქვეყნების თოჯინების თეატრების ტაშკენტის საერთაშორისო ფესტივალზე მ. ხეთაგურის „ხეტიალა“ (დადგმა გ. სარჩიშვილისა) ფესტივალის ლაურეატი გახდა, ხოლო 1980 წელს ამავე სპექტაკლმა პოლონეთში თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

თეატრს ჰყავს შესანიშნავი აქტიორული და რეჟისორული ძალები. ამიტომ ერთი-ორი სპექტაკლის გამარჯვება არ არის საკმარისი, საჭიროა უფრო მეტი

მუშაობა, რათა ყველა სპექტაკლი იყოს მაღალმხატვრული დონისა.

ჩვენი ყურადღების ცენტრშია მოქცეული თბილისის შაუმიანის სახ. სომხური თეატრი. ამ თეატრზე არაერთხელ ყოფილა საუბარი ჩვენს პლენუმებსა, თუ დისკუტებზე, იგი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს თეატრის როგორც აქტიორული ხელოვნება, ასევე რეჟისურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რეპერტუარი, მყურებელი და სხვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მთავარია თეატრისათვის.

ეს თეატრი სისტემატურად დგამს ქართველ ავტორთა პიესებს. არცერთ არაქართულ თეატრს საქართველოში არ დაუდგამს იმდენი ქართული პიესა, ამ უკანასკნელ წლებში, რამდენიც დადგა სომხურმა თეატრმა.

ამ რამდენიმე თვის წინათ სომხურ თეატრს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აშხ. ე. ა. შევარდნაძე. იგი დაინტერესდა თეატრის პრობლემით, ესაუბრა კოლექტივს. ახლა კულტურის სამინისტრო, თვითონ თეატრი და ჩვენც ვეძებთ თეატრის მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს, იმედი გვაქვს, უახლოეს წლებში თეატრში უკეთესი მდგომარეობა იქნება.

ამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ქართული თეატრმცოდნეობითი აზრი აღმავლობის გზაზე დგას. გამოვიდა ბევრი საყურადღებო გამოკვლევა, მონოგრაფია, რომლებიც ნელ-ნელა ავსებენ ქართული თეატრალური წიგნის თაროს. ამ მხრივ კეთილ სამსახურს გვიწევს გამოძეგმლობა „ხელოვნება“, თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-სავაგომომცემლო განყოფილება. დ. ჯანელიძის, ეთერ გუგუშვილის, ნოდარ გურაბანიძის, ნადეჟდა შალუტაშვილის, ნათელა ურუშაძის, ვასილ კოკნაძის, წიგნები ჩვენი მკითხველის, თეატრის ბედით დაინტერესებულთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

ამ ავტორებს ხშირად ვხედავთ პრესის ფურცლებზეც, როგორც რეკენზენტებს მიმდინარე თეატრალური პროცესებისა. სასიხარულოა, რომ ამ ბოლო წლებში ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა თეატრმცოდნენი. მიუხედავად ამ თვალსა-

ჩინო წარმატებებისა, ჩვენ მინც ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს — ჩვენს აქტივისტის ქუსლს მინც თეატრალური კრიტიკა წარმოადგენს. შეუფასებელი გვრჩება ბევრი სპექტაკლი. თეატრალური კრიტიკა თავს არიდებს მიმდინარე თეატრალური პროცესების ღრმა გაანალიზებას. რესპუბლიკაში წელიწადში სამასამდე ახალი სპექტაკლი მზადდება. მოდით, გადავშალოთ ჩვენი პრესა, რამდენი სპექტაკლია შეფასებული კრიტიკოსების მიერ? რამდენი სპექტაკლის რეჟისორული, აქტიორული ღირსება-ნაცდევანება იქნა გამოვლენილი? ორმოცდაათისაც კი არა! ეს მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე, უფრო მეტსაც ვიტყვით — ვერცერთი ჩვენგანი ვერ გაიხსენებს კვალიფიციურ თეატრალურ რეცენზიას, რომელშიც გაკრიტიკებული იყოს ცუდი სპექტაკლი. მათი ნაღვაწის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საანგარიშო პერიოდში საქართველოში არ დადგმულა სუსტი სპექტაკლი. რატომ? ყველაფერს ასე უზადოდ, ასე ბრწყინვალედ ვდგამთ? რასაკვირველია, არა!

ამ გარემოებას მთლიანად ვერ დავაბრალებთ პრესას, მე ვიცი — პრესის მუშაკები დაინტერესებული არიან მაღალხარისხოვანი რეცენზიებით და სიამოვნებით დაუთმობენ გაზეთის ფურცლებს პრინციპული ხასიათის, ობიექტურ წერილებს. მაგრამ რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთი წერილები და რეცენზიები არ იწერება? არაპროფესიონალიზმი, დაბალი კვალიფიკაცია თუ სიზარმაცე? არა, ამის მიზეზია ინერტულობა, გულგრილობა, ახლა ჩვენს თეატრმცოდნეობას ყველა პირობა აქვს შექმნილი საიმისოდ, რომ აქტიურად სთქვას თავისი სათქმელი.

ბოლო ათწლეულებში თეატრის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა თეატრალური მხატვრობა. დღეს თეატრალური მხატვარი რეჟისორის თანაავტორია, იგი თანადამდგმელია სპექტაკლისა. თანამედროვე ქართული თეატრალური მხატვრობა აგრძელებს პ. ოცხელის, ირ. გამრეკელის ტრადიციებს. სასიამოვნოა, რომ დღევანდელ თეატრალურ პროცესებში ახალგაზრდების გვერდით მონაწილეობენ უფროსი თაობის მხატვრები ფ. ლაპიაშვილის სახით. მოვიდა ჩინებული თაობა ახალგაზრდა მხატვრებისა გ. გუნიას, სამეულის, გ. მესხი-

შვილის, თ. ნინუას, ჯ. ფაჩუაშვილის, მ. შველიძის, ი. გეგეშიძის, ა. ჭელიძის, ე. კოტლიაროვის, ჯ. ჭეიშვილის და სხვათა სახით. ეს ისეთი განზია ჩვენი თეატრალური აზროვნებისა, რომ ბევრ დიდ თეატრალურ ქვეყანასაც კი შესურდებოდა.

მე არ შემიძლია ყრილობის ყურადღება არ გავამახვილო ერთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა. მე მხედველობაში მაქვს დადგენილება საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის თაობაზე, რომლის აღუა და ომეგა იმაში მდგომარეობს, რომ ამაღლდეს სარაიონო და საქალაქო თეატრების მხატვრული დონე, დედაქალაქის თეატრების მხატვრულ დონემდე, რომ ჩვენს მშრომელებს ჰქონდეთ ჭეშმარიტი სულიერი საზრდო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში არის პუნქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ ზესტაფონში შეიქმნას ქუთაისის თეატრის ფილიალი. ეს დიდი საქმეა, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე, უშანგი ჩხეიძის, სერგო ზაქარიასის, შალვა ლამაშიძის და სხვა დიდ თეატრალურ მოღვაწეთა მშობლიური ქალაქი, იმსახურებს ასეთი თეატრის არსებობას. თეატრალური საზოგადოება ყრილობას აღუთქვამს, რომ ქუთაისის თეატრთან ერთად ყოველ დონეს იხმარს, რათა სრულყოფილად განხორციელდეს დოკუმენტის ეს პუნქტიც.

ამ დადგენილებამ კიდევ უფრო კონკრეტული გახდა ჩვენი სადღეისო ამოცანები.

რაში მდგომარეობს ეს ამოცანები? .თბილისის თეატრების მდგომარეობა ასე თუ ისე გარკვეულია. სტაბილური შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს ქუთაისის თეატრშიც, ჩვენ ახლა მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ სხვა საქალაქო და რაიონულ თეატრებზე, უნდა ვიზრუნოთ მის არა მხოლოდ რეჟისორულ, აქტიორულ კადრებზე, არამედ სადადგმო თუ მეტყველების კულტურაზე, მართალია, ამ საქმეში პირველი სიტყვა კულტურის სამინისტროს ეკუთვნის, მაგრამ თეატრალურმა საზოგადოებამ ყოველი დონე უნდა იხმაროს, რათა აღვეკეთოთ რეჟისორთა და მსახიობთა დენადობა. ეს გა-

რემოება ხელს უშლის თეატრების შემოქმედებით წინსვლას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ რეჟისორთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის, არ არის აუცილებელი მივავლინოთ ისინი მოსკოვსა თუ ლენინგრადში, ვფიქრობ, არაფერს ავნიებს რაიონების, თეატრების მთავარ თუ რიგით რეჟისორებს ერთ სეზონიანი სტაჟირება გაიარონ თბილისში მიხ. თუმანიშვილთან, რ. სტურუასთან, თ. ჩხეიძესთან, ეს უთუოდ გარკვეულ კვალს დატოვებს მათს შემოქმედებით ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მომავალი გამგეობის წინაშე კარდინალურად უნდა დაისვას საკითხი იმის თაობაზე, რომ ყურადღების ცენტრი გადავიტანოთ პერიფერიის თეატრებზე. ამ თეატრებს დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდება. ჩვენი წამყვანი რეჟისორები ხშირად უნდა დგამდნენ სპექტაკლებს რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებში, ეს ამაღლებს დასის კულტურას. გაზრდის მათს პროფესიონალიზმს.

ჭეშმარიტი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ქუთაისის თეატრში. ამ თეატრის მთავარი რეჟისორი გოგი ქავთარაძე წლების განმავლობაში დიდ შემოქმედებით და ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. საანგარიშო პერიოდში მას ყურებლისა და თეატრალური კრიტიკის ყურადღება მიიპყრო ქუთაისელთა სპექტაკლებმა: დ. კლდიაშვილის „სურათებმა იმერეთის ცხოვრებიდან“, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატმა“, გ. ბათიაშვილის „ვალმა“, ალ. ჩხაიძის „შთამომავლობამ“, ნ. ოსტროვსკის „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“, შექსპირის „კორიოლანოსმა“ და სხვ. თეატრის ასეთი თავდადებული შემოქმედებითი შრომა დაგვირგვინდა გასტროლებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში. ქუთაისის თეატრს იქ ჰქონდა ნამდვილი, კარგი წარმატება, ამაზე მეტყველებს პრესა და ოფიციალური ცნობები, რომელიც ჩვენ მივიღეთ საკავშირო კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელებისაგან. გოგი ქავთარაძე შემოვიდა წინადადებით, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებიც სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობენ, საწარმოო პრაქტიკა გაიარონ ქუთაისის თეატრში. გ. ქავთარაძე ამ ახალგაზრდების არა მხოლოდ

შემოქმედებით დატვირთვას გეპირდება, არამედ ყველა პირობასაც შეუქმნის მათ. თეატრალურმა ინსტიტუტმა მიიღო თეატრის ხელმძღვანელის წინადადება და უკვე შევუდექით მის განხორციელებას.

თელავის ორჯონიკიძის სახელობის თეატრმა, სადაც ნიჭიერი დასი მუშაობს ნიჭიერი რეჟისორის, ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილის ნუგზარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, შესანიშნავი შენობა მიიღო. თეატრალურმა საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მათ დასახმარებლად, დასის შემადგენლობის გაძლიერებისა და შემოქმედებითი მუშაობის ყოველგვარი პირობების შესაქმნელად.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყვეტილია თელავში, ამ შესანიშნავ სცენაზე, დაიდგას სპექტაკლი, რომელიც ასახავს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ მომენტს. ამ სპექტაკლის დასადგმელად მიწვეულია რობერტ სტურუა.

ბევრი ტყვილი აქვს ახალციხის თეატრს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს ნიჭიერი რეჟისორი და კარგი ორგანიზატორი ნანა დემეტრაშვილი, მესხეთის თეატრს, მომავალშიც დიდი პატრიოტული და ინტერნაციონალური როლი ეკისრება.

გაჭიანურებული რემონტის გამო მძიმე მდგომარეობა ჰქონდა შექმნილი აკაკი წერეთლის სახ. ჭიათურის თეატრს. ახლა რემონტი დამთავრებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის ტრადიციებისამებრ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში.

სერიოზული ფიქრი გვმართებს იმაზე, თუ როგორ მოვუაროთ რუსთავის თეატრს, რომელსაც აწხორ ქუთათელთა ხელმძღვანელობს. ამ თეატრის კოლექტივმა დიდი ნებისყოფა გამოიჩინა და ძალიან რთულ პირობებში განაგრძო შემოქმედებითი ცხოვრება. სამწუხაროდ, რუსთავის თეატრის უსახლკარობა კვლავ გრძელდება.

ბათუმის თეატრის დასი კარგად არის ცნობილი მასურებლისათვის, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, ახლა თეატრის შემოქმედებით წინსვლაში ერთგვარი შეყოვნების პერიოდი შეიმჩნევა, მიუხედავად რამდენიმე კარგად გააზრებულ

ლი სპექტაკლისა, მიუხედავად იმისა, რომ აქ არის ცდა ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრებისა, ამ ბოლო წლებში თეატრმა მაინც ერთგვარად დასთმო პოზიციები, ბათუმელთა სპექტაკლები აღარ გამოორჩევა მაღალმხატვრულობით. იმას კი ვერ ავუვლით გვერდს, რომ ამ თეატრს ჰყავს შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი.

დარწმუნებული ვართ, თეატრის 100 წლოვანი იუბილე, რომელიც ნოემბერში აღინიშნება, შემატებს მას რწმენას საკუთარი თავისა და მომდევნო წლებში მისი პოტენციური შესაძლებლობები უფრო თვალნათლივ გამოვლინდება.

სოხუმში ახლა ჩვენ ორი დიდი თეატრი გვაქვს — ქართული და აფხაზური თეატრები. ამ რამდენიმე თვის წინათ აფხაზურმა თეატრმა არსებობის 50 წლისთავი იხეიმა, ეს იყო დადასტურება იმისა თუ როგორ ვითარდება ჩვენში მცირერიცხოვან ხალხთა ეროვნული კულტურა. ამ დღესასწაულმა გვაჩვენა ისიც, თუ რა კეთილსასურველ გავლენას ახდენს ზელოვნებაზე ხალხთა ნამდვილი ძმობა — აფხაზური თეატრის დასის უმეტესობა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტშია აღზრდილი. ამ ახალმა თაობამ ჩინებულად განაგრძო თეატრის ფუნქციონირება ტრადიცია. ამ თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლები „ელიქტრა“, „ტრამვაი სურვილი“, „ვაი ჰკუისაგან“, „ხმა წყაროსი“ გვიდასტურებენ მის სიცოცხლისუნარიანობას.

მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო აფხაზური თეატრის ერთ ჩინებულ სპექტაკლზე. ამ სამიოდე თვის წინათ აქ განახორციელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებების მეორე წიგნის ნაწილის — „აღორძინება“, დადგმა. სასიამოვნოა, რომ თეატრმა თავი გამოიჩინა როგორც მზარდმა კოლექტივმა. მან რთული ამოცანა დასძლია — მაყურებელს წარმოუდგინა საბჭოთა მუშათა კლასის, ომის შემდგომი მრეწველობის ნამდვილი აღორძინების მომხიბლავი სურათი.

ამ უკანასკნელ წლებში თეატრალურმა საზოგადოებამ, აფხაზეთის განყოფილებასთან ერთად, ინტენსიური გახდა კავშირი სოხუმის თეატრებთან. ჩვენ აქ ხშირად ვაწყობთ მაყურებელთა კონ-

ფერენციებს, სეზონის შეჯამებისადმი მიძღვნილ სხდომებს. ეს კონფერენციები პრინციპულ, შემოქმედებით ხასიათს ატარებს, მასში მონაწილეობენ თბილისიდან მივლინებული დრამატურგები, თეატრმცოდნეები, მხატვრები... სპეციალისტთა პროფესიული საუბარი, ახორთა გულახდილი გაზიარება კარგ შედეგს იძლევა.

მიუხედავად ცუდი, მძიმე საბინაო პირობებისა, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოხუმის ქართული თეატრი. შემოქმედებითად მან არ შეიმჩნია ეს სირთულენი. თეატრი არ მიდის გატყეპნილი გზით, იგი ეწევა შემოქმედებით ძიებას, რასაც ნათლად მოწმობს მის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ნოდარ ღუმბაძის „ნუ გეშინია დედა“, ლევ ტოლსტოის „კავკასიაში“, თამაზ ჭილაძის „ანო“ და სხვა სპექტაკლები. უახლოეს ხანში თეატრი თავის შენობაში გადავა. მისი მუშაობა უფრო სტაბილურ ხასიათს მიიღებს, და მაშინ კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება მისი ძიების შესაძლებლობანი.

ამ ერთი თვის წინათ ავტონომიური რესპუბლიკის თეატრალურ ოჯახს ახალი პირმშო შეეძინა — სოხუმში გაიხსნა მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრი. მე მინდა ყრილობის სახელით მივესალმო ამ თეატრს, ვუსურვო მას ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემად რჩება თბილისგარე თეატრების რეჟისურის საკითხი. ჩვენ განვიცდით მაღალპროფესიული რეჟისურის სიმცირეს სარაიონო და საქალაქო თეატრებში, ამ ფონზე მე ერთობ საიმედოდ მესახება ახალგაზრდა რეჟისორის ვასილ ჩიგოგიძის, ოთარ ცერაძის, ლილი ბულუხიას მუშაობა მახარაძის, ფოთის, ზუგდიდის თეატრებში. ახლა გორის თეატრში მუშაობას შეუდგნენ შოთა კობიძე და ქეთევან ხარშილაძე, რომლებიც უკვე არიან რესპუბლიკის თეატრებში დადგმული რამდენიმე საინტერესო სპექტაკლის ავტორები.

პერიფერიულ თეატრების მოვლაპატრონობას, კოლექტივების იდეურ-პროფესიული დონის ამაღლებისათვის ზრუნვას, პრაქტიკულ დახმარებას არ უნდა ჰქონდეს კამპანიური ხასიათი. ასეთ დახმარებას უნდა განხორციელებდეთ სისტემატურად. გეგმიანად უნდა



ხდებოდა ჩვენი წამყვანი რეჟისორების მიწვევა დადგმებზე, მეტყველებისა და პლასტიკის, მსახიობის ოსტატობისა და გრიმის პედაგოგების მივლინება რაიონულ თეატრებში, თეატრმცოდნეთა ლექციებისა და კონსულტაციების ჩატარება ამათუმი სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით, დედაქალაქის საუკეთესო თეატრალური მხატვრებს, დიდი პრაქტიკული დახმარების გაწევა შეუძლიათ დეკორატიული გაფორმებისა და კოსტუმების შეკერვის საქმეში. ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ ქართველი საბჭოთა მსახიობის მორალისა და ეთიკის საკითხი. უფრო ხშირად უნდა ვისაუბროთ მათთან საბჭოთა რეჟისორისა და მსახიობის ყოფაქცევის და ცხოვრების ნორმების შესახებ. სტანისლავსკის „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ და „ეთიკა“ დღესაც ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას, იგი დღესაც სახელმძღვანელოა ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკთათვის.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შემოქმედებით პრაქტიკაში მრავალი გადაუწყვეტელი საკითხია, მაგრამ მე არ შემიძლია ამჯერად ყრილობის ყურადღება არ გავამახვილო ერთ-ერთ მათგანზე. ამასწინათ ცნობილმა თეატრმცოდნემ ვასილ კიკნაძემ გამოაქვეყნა წერილი „სპექტაკლები ზეზეურად კვდებიან“. ეს წერილი მე მიმაჩნია პრინციპულ და ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტად. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენს სპექტაკლებს ძალიან ხანმოკლე ცხოვრება აქვთ. როდესაც სპექტაკლი სუსტი, უფერული და მოძველებული თავისი თემატიკით, იგი კვდება მექანიკურად. თვითონ ცხოვრება ხსნის მას სცენიდან, მაგრამ არის სპექტაკლები, რომლებმაც საეტაპო როლი შეასრულეს ქართული თეატრის ისტორიაში და დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მხატვრული ღირებულება, რატომღაც ისინი თეატრის რეპერტუარიდან იხსნება და იხსნება გაუმართლებლად. სტანისლავსკის მიერ დადგმული „ლურჯი ფრინველი“, „გული“, ვახტანგოვის „პრინციესა ტურანდოტი“, დღესაც განაგრძობენ ცხოვრებას რუსულ სცენაზე. რა დააშავეს კ. მარჩანიშვილმა, ს. ახმეტელმა, ვ. ყუშიტაშვილმა, არჩილ ჩხარტიშვილმა, ალექსანდრე წუწუნავამ? მ. ყურულმა? თეატრის ყოველმა ახალმა ხელმძღვანელმა რომ წაშალოს ყველაფერი,

რაც მის მოსვლამდე თეატრში განხორციელდა, — ეს ხომ მისთვისაც თვითმკვლელობაა, რადგან თავის დროზე მასაც ეს დღე დაადგება, მის სპექტაკლებსაც ასევე წაშლიან. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ ეს სპექტაკლები ხომ ხალხს ეკუთვნის და არა ცალკეულ პიროვნებებს.

ჩვენი ეპოქა, ჩვენი დრო ისეთ პრობლემებს აყენებს ჩვენს წინაშე, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული იდენტურ-მხატვრული დონის ამაღლება ჩვენი თეატრალური ხელოვნებისა. მე არაერთხელ მითქვამს — მთელი ჩვენი თაობა აგებს პასუხს იმაზე, თუ როგორი იქნება ხვალინდელი ქართული თეატრი, რა: მემკვიდრეობას გადაცემთ ჩვენს მომავალს. კულტურის სამინისტროსთან ერთად თეატრალურმა საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს ამ საკითხზე. როგორც მოგხსენებათ, თეატრალური კადრების აღსაზრდელად საქართველოში ერთადერთი კერა არსებობს — შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის თეატრების წამყვან ძალას ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ. მე კარგად მახსოვს, რომ ინსტიტუტის ცხოვრების დასაწყისში მისი შტატი 60 კაცს არ აღემატებოდა. დღეს იგი ისე გაიზარდა, რომ შენობის ფართობი აღარა ჰყოფნის. გაიხსნა ახალი ფაკულტეტები — კინო-სარეჟისორო, საოპერატორო. კინომცოდნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა. ჩვენი ინსტიტუტი თავისი არსით ინტერნაციონალური გახდა, ქართველების გარდა ჩვენთან სწავლობენ რუსები, აფხაზები, ოსები, ლეკები. გვაქვს სპეციალური ჯგუფები გარკვეულ ქალაქების თეატრებისათვის.

მაგრამ თეატრალური კადრების მომზადების საქმეში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი, როგორც მეთოდოლოგიური, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თვალსაზრისით. პირველი და უმნიშვნელოვანესი საკითხი ეხება სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, რომლის სწორი ორგანიზაცია დაკავშირებულია სასწავლო თეატრის შექმნასთან. ამ თეატრისათვის ბრძოლა გრძელდებოდა ათეული წლის მანძილზე.

მინდა ჩვენი ყრილობის მონაწილეებს დღეს სასიხარულო ამბავი მოგახსენო.

F-4836

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ელუარდ ამბროსის ძე შვიგარდნაძემ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა — ახლო ხანში ჩვენ გვექნება სასწავლო თეატრი. საამისოდ თეატრალურ ინსტიტუტს გადმოეცა კინო-თეატრ „სპარტაკის“, შენობა. ნება მომეცით თქვენი სახელით, ყველას სახელით ვისაც კი თეატრი უყვარს, მადლობა გადაუხადო პირადად ელუარდ ამბროსის ძე შვიგარდნაძეს, რომელიც ასე ზრუნავს ქართული თეატრალური ხელოვნების ბედ-იღბალზე და რომელმაც უკვე ძალიან ბევრი რამ გააკეთა მისი განვითარებისა და აყვავებისათვის.

ახალგაზრდა კადრებს ადგილებზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ თეატრალურ ინსტიტუტდამთავრებულთ ადგილებზე ვერ უქმნიან შესაფერ კადრებს. რის გამოც ისინი იძულებულნი არიან დასტოვონ თეატრები, და უკან დაბრუნდნენ. ჩვენს ყრილობას ესწრებიან ხელმძღვანელი ამხანაგები რაიონებიდან. მე ვთხოვდი მათ თავიანთ გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმონ ამ საკითხს. ამასწინათ ცხინვალს დაუბრუნდა 18 ახალგაზრდა, რომლებმაც მოსკოვში დაამთავრეს შჩეკინის თეატრალური სასწავლებელი, დაამთავრეს კარგად. ისინი ცხინვალში სასწავლო სპექტაკლებით ჩამოვიდნენ, მათ შორის უკვე განხორციელებული ჰქონდათ შექსპირის „რიჩარდ მესამე“, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ახალგაზრდებს არ შეუქმნეს სათანადო პირობები, დაიქსაქსნენ.

ახალგაზრდობაზე ზრუნვით იყო განპირობებული საქართველოს კომკავშირის ცეკას და თეატრალური ინსტიტუტის ინიციატივა დაამთავრებული კურსების ბაზაზე სანდრო მრეკლიშვილის ხელმძღვანელობით მეტეხის თეატრ-სტუდიის შექმნის შესახებ. მას შემდეგ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე შეიქმნა თეატრალური სახელოსნო მის თუმანიშვილის ხელმძღვანელობით. მ. თუმანიშვილმა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოიკრიბა თავის ვარშემო და ძალიან საინტერესო შემოქმედებით ექსპერიმენტულ მუშაობას ეწევა. ამ თეატრალურ სახელოსნოში, უკვე შეიქმნა საინტერესო სპექტაკლები, რომლებმაც გამოავლინეს ნიჭიერ მსახიობ-

თა სახელები, არც თუ დიდი ხნის წინათ შეიქმნა აგრეთვე მარიონეტების თეატრი, იქმნება ფოლკლორული თეატრი.

ყრილობის წინაშე მინდა კიდევ ერთი საკითხი დავაყენო. დღეს საქართველო დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ქართული თეატრის პოპულარობა გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, მან საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი პასუხისმგებლობის გრძნობა, ფრთები შეგვასხა ახალი შემოქმედებითი ძიებებისათვის. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინადადებებს, მსგავსად ავინიონისა, იტალიისა, იუგოსლავიისა, საბერძნეთისა. ჩვენც მოვაწყოთ თეატრალური ფესტივალი, თუნდაც კახეთში, — კახეთის თეატრალური ფესტივალი, ჯერჯერობით ეს შეიძლება იყოს კლასიკური დრამატურის ფესტივალი და მოვიწვიოთ სოციალისტური ქვეყნების მოწინავე თეატრები, შემდეგ კი დრო გვაჩვენებს ყველაფერს.

კახეთის ფესტივალის დამკვიდრება ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში, და არა მარტო ჩვენში, მთელ საბჭოეთში თეატრალური კულტურის კიდევ უფრო ამაღლებას, მის პოპულარიზაციას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მთელი საქმიანობა განმსჭვალულია ერთი უმთავრესი მიზნით — იგი ქართული საბჭოთა თეატრის იდეურ-შემოქმედებითი დონის ამაღლებას, მისი ავტორიტეტის ზრდას მიიჩნევს თავის უწინარეს ამოცანად.

საზოგადოების მუშაობის უპირველეს დასაყრდენს წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, მათი სახელმძღვანელო მითითებანი. ამ დადგენილებათა შუქზე მიმდინარეობს თეატრალური საზოგადოების მთელი საქმიანობა, მის მიერ მოწყობილი პლენუმები, სამეცნიერო სესიები, შემოქმედებითი ხასიათის დისპუტები, თუ შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან.

ამჟამად ჩვენი მუშაობის მთავარ გეზის მიმცემ დოკუმენტად გვევლინება სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების დადგენილებანი. ხუთი წელი გავიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მერვე ყრი-

ლობის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე გაიმართა თორმეტი პლენუმი (ისინი ეძღვნებოდა სეზონების შეჯამებას, თეატრალური კრიტიკის, თეატრალური მხატვრობის და სხვა შემოქმედებითი ხასიათის საკითხებს). ამ პლენუმთა უპირველესი მოწოდება გახლდათ თეატრის კავშირის განმტკიცება ხალხთან, ცხოვრებასთან, სასცენო ხელოვნების პროფესიული დონის ამაღლება და ა. შ. თეატრალური საზოგადოება აქტიურად ცდილობს ამ პლენუმებზე გაიმართოს პრინციპული კამათი, ღირსეული შეფასება მიეცეს ყოველ თეატრალურ ფაქტს, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება ობიექტურობა, პრინციპულობის მიღწევა, ზოგჯერ ზვენი თეატრალური კრიტიკა გვერდს უვლის მეტად მნიშვნელოვანი თეატრალური პროცესების შეფასებას. ეს კი წარმოშობს არასწორ ორიენტაციას თეატრალურ ხელოვნებაში. ფართო საზოგადოებრიობას ყოველთვის არ ვაწვდით ამა თუ იმ თეატრალური მოვლენის ობიექტურ ანალიზს.

1982 წელს ვვინდა გამოვაცხადოთ კონკურსი იმ საუკეთესო დრამატული ქმნილების გამოსავლენად, რომელიც ასახავს ქართველი და რუსი ხალხების ძმობას. ეს კონკურსი გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნება.

დიდი ხანია ტრადიციად იქცა 14 იანვარს ქართული თეატრის დღის აღნიშვნა. საანგარიშო პერიოდში ჩვენ ეს დღე აღვნიშნეთ მახარაძეში, ცხაკაიაში, ბათუმში, დუშეთში. წელს დუშეთის სახალხო თეატრს 100 წელი შეუსრულდა. ასი წლის წინათ დუშეთის სცენისმოყვარეებმა ერთ საღამოს მაყურებელს უჩვენეს ორი სპექტაკლი — ერთი ქართულ, მეორე კი რუსულ ენაზე. ქართული თეატრის დღის ზეიმის გამართვას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ის ღირსება გააჩნია, რომ თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან იქ ჩასული თეატრალური მოღვაწეები ხვდებიან რაიონის მშრომელებს, ეცნობიან მათს საქმიანობას, ეს შეხვედრები და საუბრები ამდიდრებს ორივე მხარეს. აღავსებს მათ ახალი შთაბეჭდილებებით.

თეატრალური საზოგადოება სისტემატურად აწყობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს მაღალმთიანი რაიონის

მშრომელებისათვის, ასევე ხშირად ვხვდებით მესაზღვრეებს.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში და ქუთაისში შექმნილია თეატრალური საზოგადოების განყოფილებები, რომელთა მიზანია აქტიური ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს თეატრებს ადგილებზე, გააკეთოს ის, რასაც შესაძლოა აქედან ვერ მივწვდეთ. ყრილობის წინ ყველა განყოფილებაში ჩატარდა კონფერენცია. ამ კონფერენციებმა გამოავლინეს მუშაობის შედეგები, თვალსაჩინო გახადეს განყოფილებათა მუშაობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაინც შესძლეს ბევრი სასიკეთო საქმე გაეკეთებინათ. მე განსაკუთრებულად გამოვყავდი ქუთაისის (თავმჯდომარე დიდიმ ჭეიშვილი) და აფხაზეთის (თავმჯდომარე ეთერ კოლონია) განყოფილებათა ნაყოფიერ მუშაობას.

ყრილობისწინა კონფერენციებზე გაიმართა პრინციპული საუბარი მომავლის გეგმებზე. მე იმედი მაქვს, რომ მოპოვებული გამოცდილება განყოფილებებს ხელს შეუწყობს მომავალში უფრო ეფექტურად წარმართონ მუშაობა.

უკანასკნელ წლებში თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა „მეგობრობის თეატრის“ შექმნა, მას ჩვენ მივიჩნევთ ხალხთა შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებად. ამას გარდა, ეს არის ერთგვარი ინსტიტუტი, რომელსაც ძალუქს აამაღლოს ქართული აქტიორული, თეატრისორული სკოლის დონე, რადგან „მეგობრობის თეატრის“ მეოხებით ჩვენ წარმოდგენა გვექნება იმაზე. თუ რა პროცესები მიმდინარეობს დღეს რესპუბლიკის გარეთ თეატრებში. ამ უკანასკნელ წლებში არ დარჩენილა მოძვე რესპუბლიკებში შექმნილი არცერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი, რომელიც თბილისში არ ჩამოგვეტანოს. მაგრამ

თვით კრიტიკის სახით უნდა ვსთქვათ, რომ — „მეგობრობის თეატრმა“ ამ ბოლო ხანებში შეანელა ადრე აღებული ტემპი. რაც მთავარია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მის მიერ თბილისში ჩამოსატანად შერჩეული სპექტაკლები მხოლოდ მაღალ ხარისხისა უნდა იყოს,

სხვაგვარად ეს თეატრი დანიშნულებას ვერ გაამართლებს.

თეატრალური საზოგადოება არ კმაყოფილდება მხოლოდ რესპუბლიკაში მოწყობილი ღონისძიებებით, ჩვენ ხშირად გამოვდივართ მოკავშირე რესპუბლიკების აუდიტორიის წინაშეც, სხვადასხვა სახის შეხვედრები, სამეცნიერო სესიები, თუ შემოქმედებითი საღამოები ჩატარდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოსა და ერევანში. ამ ღონისძიებათა უმთავრესი დანიშნულებაა ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდა და თანამედროვე ქართული თეატრის მთავარი ტენდენციების საყოველთაოდ წარმოჩენა. ამასთან ერთად, „მეგობრობის თეატრის“ მეშვეობით ვეწევიტ დღევანდელი ქართული თეატრის მიღწევების პროპაგანდას. „მეგობრობის თეატრმა“ სწორედ ამ მიზნით მოაწყო რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ე. წ. მცირე გასტროლები მოსკოვში, კიევში, ბაქოსა და ერევანში.

რესპუბლიკის ქალაქებში (თელავი, ზუგდიდი, ჭიათურა, გორი, ფთი, ქუთაისი და სხვა.) სისტემატურად ეწყობა მყურებელთა კონფერენციები, რომლებსაც წარმართავენ თეატრალური საზოგადოების მიერ წარგზავნილი თეატრალური კრიტიკოსები.

თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება ქართველ მკითხველს აწვდის თეატრალურ ლიტერატურას. ამ გამოცემათა უმთავრესი პათოსი გახლავთ ქართული საბჭოთა თეატრალური აზროვნების მიღწევათა პროპაგანდა. განყოფილებამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, დაიბეჭდა ჩვენი ცნობილი დრამატურგების პიესების არაერთი კრებული, გამოიცა მონოგრაფიები, გამოკვლევები ქართული თეატრის მნიშვნელოვან საკითხებზე, მოგონებები, ალბომი, თუ სხვა სახის ლიტერატურა, მაგრამ ჭერჭერობით ვერ მოხერხდა, რომ განყოფილება დროულად ასრულებდეს გეგმებს და შეუფერხებლად გამოდიოდეს გეგმით გათვალისწინებული ლიტერატურა. ამ მხრივ ჩვენ პრეტენზიები გვაქვს გამსახკომთან, გამსახკომმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოების საგამომცემლო განყოფილებისათვის გამოყოფილი ლიმიტების შესრულებას სტამბების მიერ, თუ გამსახკომ-

მა სტამბებს მკაცრად არ მოსთხოვა მათ-დაში დაკისრებული მოვალეობის შესრულება, ჩვენი გეგმები მუდამ შეუსრულებელი დარჩება.

„თეატრალური მოამბე“ ანგარიშგასაწევ თეატრალურ ორგანოდ იქცა, მასში იბეჭდება რეცენზიები მიმდინარე სპექტაკლებზე. იგი ცდილობს ასახოს თანამედროვე თეატრალური პროცესება, ისტორიასაც მიაგოს თავისი.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ყოველწლიურად გამოდის ერთდროული გაზეთი „ქართული თეატრის დღე“.

თეატრალური საზოგადოება დღევანდელ ჩინებულ სცენოგრაფიასაც არ ტოვებს უყურადღებოდ, — ყოველწლიურად ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ეწყობა გასული თეატრალური სეზონის საუკეთესო სცენოგრაფიულ ნამუშევართა გამოფენა. ამისათვის საგამოფენო დარბაზიც გვაქვს, მაგრამ არსებული დარბაზი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და ახალი საგამოფენო გალერეაც მოვაწყეთ.

აქვე გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ თეატრალური საზოგადოების დასასვენებელი სახლების თაობაზეც. ჩვენ გვაქვს სამი დასასვენებელი სახლი: მანგლისში, ქობულეთსა და სოხუმში, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად მოემსახურონ 70 კაცს, მართალია, ქართული თეატრის მუშაკებს ზაფხულის ცხელ თვეებში საშუალება ეძლევათ დაისვენონ, მაგრამ არსებული სახლები უკვე აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ახლა მტკიცდება პროექტი 200 ადგილიანი დასასვენებელი სახლის ასაშენებლად სოხუმში. მანამ ახალ შენობას ავაშენებდეთ, სოხუმის სახლს დაემატება ორი სართული;

ამ რამდენიმე წლის წინათ თეატრალურმა საზოგადოებამ ენგურჰესზე შექმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის მეცადინეობა ყოველთვიურად ტარდებოდა და ამ მეცადინეობაზე სისტემატურად ვგზავნიდით მის რექტორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დ. მჭედლიძეს და სხვა გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებს. უნივერსიტეტის პროგრამა ამოიწურა. განზრახული გვაქვს ახალი უნივერსიტეტი შევქმნათ ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში, ვფიქრობთ, ეს სასარ-

გებლო იქნება ქარხნის მუშებისთვისაც და თეატრის მოღვაწეებისთვისაც.

ქუთაისში გავხსენით მსახიობის სახლი, რომელსაც დიდი ქართველი მსახიობის კოტე მესხის სახელი მიენიჭა.

ძვირფასო მეგობრებო, თქვენთვის ცნობილია, თეატრალური საზოგადოებების არსებობის წყაროს საწარმოები წარმოადგენს, ეს არის, ასე რომ ვთქვათ, პური ჩვენი არსობისა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენი მუშაობის ამ მხარეს. ამ უკანასკნელ წლებში თეატრალური საზოგადოების საწარმოო რგოლი დაკომპლექტდა კვალიფიცირებული, საქმის მცოდნე მუშაკებით. ამან კეთილსასურველი გავლენა მოახდინა, როგორც თბილისის კომბინატზე, ასევე ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის საწარმოო უბნებზე. თანდათან ვალწევთ თავს შრომის კუსტარულ მეთოდებს, ავამენით კომბინატის ახალი შენობა თბილისში, სადაც თავი მოვუყარეთ ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაბნეულ საწარმოებს. სასახელოა ის გარემოება, რომ ახლა ჩვენი კომბინატის რამდენიმე პროდუქციას ხარისხის ნიშანი მიენიჭა, ხოლო ზოგიერთი ნაწარმი სავალუტო ბაზარზეც კი იყიდება.

ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობას, რომ მომავალ წლებში კომბინატმა უკეთ გადაჭრას მის წინაშე მდგომი ამოცანები.

ამხანაგებო!

თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა, თუ კულტურის სხვა დარგებთან ერთად, აღმავლობას განიცდის, მას აქვს ისეთი მიღწევები, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომლის რეზონანსი დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და ღირსეული წვლილი შეაქვს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ხელოვნების განვითარებაში. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის საიუბილეოდღეს, ჩვენი რესპუბლიკის დიდმა სტუმარმა — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა. მხატვრული შემოქმედების

საგრძნობი აღმაფრენით აღნიშნა უკანასკნელი წლები... ეს მიღწევები შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“.

ასეთ შეფასებას ნამდვილად იმსახურებს დღეს საქართველოში არსებული შემოქმედებითი ძალების ინტენსიურობა და განწყობილება.

მე მინდა ჩემი მოხსენება დავამთავრო ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით:

„თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პირობებში ხელოვნანის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე უსაზღვროდ იზრდება, დღეს არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო დიდი მიზანი, ვიდრე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ ხელოვნების მოღვაწენი. ისინი ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებიც აღამიანებს აცნობენ სიმართლეს ჩვენი დროის შესახებ, უზომობენ ბოროტებისა და ჩავერის წინააღმდეგ საბრძოლველად. განამტკიცებენ პროგრესის ნათელ იდეალებს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საქართველოს თეატრალური საზოგადოება, სასცენო ხელოვნების მოღვაწენი ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა ვიყოთ ამ მოწოდების სიმადლეზე, ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა დროისა და პარტიის წინაშე, გვერდით ამოვუდგეთ პარტიას ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში დამატებითა შესანიშნავი

## მოთარევეების მოხსენება

ყველასათვის სასიხარულო აღმოჩნდა პროფ. ვასილ კიკნაძის შარშანდელი პუბლიკაცია, რომ 1881 წელს, 100 წლის წინათ უკვე გვქონდა ქართულ-რუსულ ენებზე დაბეჭდილი „ქართული დრამატული საზოგადოების წესდებულება“, ურომლისოდაც დღევანდელი საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნის ისტორიას მხოლოდ 1945 წლიდან ვიწყებდით. ახლა ისტორიის ეს ლაფსუსი გამოსწორებულია.

მაგრამ, 1881 წლიდან გავიდა დიდ დრო, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ვაბატონებულ რეაქციის წლებში და მსოფლიო ომის პერიოდში ქართული თეატრი დიდ სიძნელეებს შეხვდა და დრამატულმა საზოგადოებამაც ფაქტურად არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა პირობებში საჭირო გახდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნა.

37 წლის წინათ, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების მთავარ სამმართველოს უფროსად მუშაობისას, 1944 წლის 16 აპრილს, ბედნიერება მხვდა წილად მომეწვია პირველი საინიციატივო-ორგანიზაციული სხდომა თეატრალური საზოგადოების შესაქმნელად, რაც, როგორც შარშან გაირკვა, უკვე არსებულის, მაგრამ მივიწყებული თეატრალური საზოგადოების აღდგენას წარმოადგენს და არა ახლად შექმნას.

ჩვენს მიერ მთავრობაში წარდგენილი ოფიციალური წერილობითი წინადადება და წესდების პროექტი მოწონებული იქნა სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების მესამე თვის თავზე, 1945 წლის 9 აგვისტოს, სახკომსაბჭომ გამო-

იტანა დადგენილება თეატრალური საზოგადოების დაარსების შესახებ. 17-18 დეკემბერს კი ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დამატაცა დღემდე ძირითადში მოქმედი წესდება.

1966 წელს კვლავ მხვდა პატივი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით მეექვსე ყრილობისათვის მომეხსენებინა წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის საჭიროების შესახებ. ამჟამად კი მეცხრე ყრილობას განსახილველად ვუდგენთ თორმეტი მუხლისგან შემდგარ დამატებას, რათა უფრო სრულად აისახოს მასში განვითარებული სოციალიზმის პერიოდის თეატრალური ცხოვრების მოვლენებო.

### პირველი დამატება:

„საქართველოს თეატრალური საზოგადოება მტკიცედ იცავს კომუნისტური მორალის ნორმებს, უკომპრომისოდ ებრძვის ნეგატიური მოვლენების ყოველგვარ გამოვლენას თეატრალურ ცხოვრებაში, თუ ხალხის ყოფაში“.

ამ მნიშვნელოვანი მუხლის ფორმულირებისას ვხელმძღვანელობდით სკკპ XXVI ყრილობის დადგენილებით, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებითა და რჩევებით, მისი გამოსვლით საბჭოთა საქართველოს 60 წლის ზეიმზე თბილისში, რესპუბლიკაში დამკვიდრებული მომთხოვნელობით, რომ ხელოვნება და ლიტერატურა შეუთრეივებლად ებრძოდეს ობივტელობას, პროტექციონიზმს, ცინიზმს, უფროსილდებოდეს შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი კომუნის-

ტური პარტიის მფარველობას, ხელოვნებისადმი სულგრძელ დამყვანებლობას, ზრუნავდეს იმისათვის, რომ თეატრიც აქტიურად მოქმედებდეს რესპუბლიკის პრესტიჟის ასამაღლებლად, იღწვოდეს ხალხისა და პარტიის მონოლითურობის განსამტკიცებლად, გონივრული შემოქმედებითი რისკის გამწვითა დასაფასებლად, ინიციატივიანი ადამიანების პატივით მოსახსენიებლად.

ასეთმა პარტიულმა მიდგომამ, სწორმა პოლიტიკურმა ტონმა და პრინციპულმა მომთხოვნელობამ მკვეთრად აამოქმედა ჩვენი ხალხის შინაგანი სულიერი და ფიზიკური რეზერვები, რომელთა გამოყენება, როგორც ცნობილია, ადრე არ ხდებოდა.

მაგრამ თეატრის მხრივაც საჭირო გახდა ეფექტური უკუგება. აღარ კმარა საზოგადოებრივად წასაბაძი მაგალითის ობიექტივისტურად გატანა სცენაზე, ფაქტების გამიშვლებულად ჩამოთვლა, დადებითი გმირების ბავთაგან მხოლოდ დიდაქტიკის მოსმენა, ან მანკიერების გულცივად გაიციხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ პოზიტიური და ნეგატიური ფაქტების მშვიდი ჩაბუღბუღება მხოლოდ საწინააღმდეგოს წარმოშობს, ალერგიას იწვევს აუდიტორიაში, მანკიერებასთან ბრძოლის დაუსრულებლობით უიმედობის ვირუსს აჩენს მაყურებელში, შემტევ ოპტიმიზმს ანელებს.

თანამედროვე თეატრისაგან მგზნებარე სიტყვა-მოქმედება მოითხოვება, სპექტაკლმა მაყურებელს უნდა შეაყვაროს ჩვენი თანამედროვე, მანკიერებასთან მებრძოლი სცენური გმირები, წარმოშვას აუდიტორიაში პრინციპული ადამიანებისადმი თანადგომის სურვილი, დამუხტოს თეატრის დარბაზი ფსიქოლოგიურ ზამბარად, რათა, როგორც მინიმუმში, სოლიდარული გახადოს მაყურებელი დათა თუთამხიას ზნეობრივი ნორმებისადმი, მაგრამ მაქსიმალურად დააწაფოს გიორგი თორელის პარტიულ მორალს.

აი, მაშინ გვეტქმის ყველას, — თეატრალური საზოგადოების მესვეურებსაც და კულტურის სამინისტროს მეთაურებსაც, რომ სცენური გმირების შემწეობითაც ვახორციელებთ კომუნისტური მორალის კოდექსის ყველა მუხლს, რომელიც, როგორც მართებულად შენიშნა ე. ა. შევარდნაძემ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, კორესპონდენტ-

თან საუბარში, თავის არსში შეიცავს ზოგად ბიბლიურსაც და ადამიანის ბეკრად უფრო ამაღლებელ ლენინურ მორალს.

**მეორე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ზრუნავს მხატვრული შემოქმედების ხელწერის მრავალფეროვნებაზე, გამოჰსახველობითი ფორმების გაზიდილებაზე, ესთეტიკურად სასიამოვნო, გაბედული შემოქმედებითი ექსპერიმენტების ეფექტურობაზე“.

არც ამის მიღწევაა იოლი საქმე, მაგრამ თეატრს საამისო რწმენას აძლევს გონივრული ექსპერიმენტების ეფექტურად ჩატარების გაბედული კურსი, რამაც საერთო აღიარება მოუტანა რესპუბლიკას და მოწონების სიტყვები ათქმევინა ლ. ი. ბრეჟნევს, — „საქართველოში საქმეები კარგად მიდის... შემდეგშიაც გაბედულად იმოქმედეთო.“

ასეთი გაბედული ეფექტური ექსპერიმენტის მკაფიო მაგალითია დიდი წარმატება სოფლის მეურნეობაში, რომელიც ცნობილია სამსიტყვიანი სახელწოდებით — „რა მოხდა აბაშაში?“.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ორგანიზატორული წარმართველობით აბაშის რაიკომის მდივანმა გურამ მგელაძემ გაბედულად გაარღვია სოფლის მეურნეობაში ერთფეროვნების მანკიერი წრე და საქართველოს სახელი მთელს კავშირში გაიტანა.

ასეთივე გაბედული ეფექტური ექსპერიმენტის მკაფიო მაგალითია დიდი წარმატება თეატრალურ ხელოვნებაშიც, რომელიც ცნობილია აგრეთვე სამსიტყვიანი სახელწოდებით „კავკასიური ცარცის წრე“.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ნდობა — მხარდაჭერით რუსთაველის თეატრის რეჟისორმა რობერტ სტურუამ გაბედულად გაარღვია მხატვრულ შემოქმედებაში თეატრალური ერთფეროვნების წრე და საქართველოს სახელი მთელ მსოფლიოში გაიტანა.

გაბედული, გონივრული ექსპერიმენტების შედეგად აბაშელებმა ხუთჯერ მეტი სიმინდის ტარო მოტეხეს, რუსთაველებმა კი ხუთჯერ მეტი მაყურებლის აღფრთოვანებული ტაში მიიხლეს.

მიწიერი ტაროც და სულიერი ტაშიც ეროვნული მოსავალია, რაკი „პურაა

არსობა ჩვენი ცხოვრებისა“ ისევე, როგორც ხელოვნებაცაა „პური ჩვენი არსობისა“.

მგელაძე—სტურუას ნოვატორობას სხვებიც შეუერთდნენ. რევას ჩხეიძის სამსიტყვიანი სახელწოდების ფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ზნეობრივ-მაღირებულებამაც გაბედულად გარღვია კომუნისტი ლიდერის მხატვრული სახის სტერეოტიპულობის წრე და ლ. ი. ბრეჟნევის კმაყოფილებით ათქმევინა: — ნიჭიერი მხატვრული ინტელუგენცია ყავს საქართველოსო...

**მისამე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულ აღზრდა-დაწინაურებაზე. თეატრალური მათეურების ესთეტიკური გემოვნების ამაღლებაზე“.

ესეც მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაკი ახალგაზრდა მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი და თვით მათეურებელიც, ჩვენი თეატრის ხვალისდელი დღეა. სწორედ ამიტომ უნდა დავძლიოთ ნიჰილისტური ინერცია, რომელიც ამუხრუშებს ახალგაზრდა შემოქმედთა პოტენციის სრულყოფილად გამოვლენას. სამწუხაროდ, დღესაც გვესმის უმართებულო საყვედური, თითქოს ახალგაზრდობა ზედმეტად ჩქარობს. ჩვენ კი გვგონია, რომ ცოტა უფრო მეტად უნდა იჩქაროს, თორემ დრო შეუუმჩნევლად წამოეწევათ, მოიხედავენ და გასაკეთებელი გაუკეთებელი დარჩებათ, უკან ფეხდაფეხ მომყოლი ახალი თაობა წინ ჩაუდგება და მაშინ ჩამორჩენილებს საქმე მხოლოდ საწუწუნოდ გაუხდებათ.

ორმოცდაათიანი წლების თაობამ სტაბილურად დაიმკვიდრა წამყვანი ადგილი თეატრალურ შემოქმედებაში და განა მართო თეატრში, — კინოშიც, მხატვრობასა და მუსიკაშიც, მით უფრო მეტი შემოქმედებითი მიჯნების აღება დასჭირდებათ ოთხმოციან წლებში სცენაზე გამოსულ ახალგაზრდებს.

**მართხე დამატება**

„თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი საქიროების მიხედვით ქმნის და წარმართავს შემოქმედებით კაბინეტებს — დრამატურგიის, აქტიორის, რეჟისორის, სცენოგრაფიის, ქორეოგრაფიის, მუსიკის, საბავ-

შვო, თოჯინების, სახალხო თეატრის, ტელმრადიო თეატრის, სადადგმო ტექნიკის, ფოტო-კინოს, კრიტიკისა და სოციოლოგიური კვლევის კაბინეტებს ცალცალკე, ან გაერთიანებების სახით, დამტკიცებული ადმინისტრაციული და შემოქმედებითი სამტატო ერთეულების შიდა გადაჯგუფებით“.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ასეთი შემოქმედებითი კაბინეტი ფორმალურად არსებობს, თუნდაც სოციოლოგიის კვლევის კაბინეტი, რომელსაც დღესაც არ გააჩნია ცნობები, თუ რას მოითხოვს მათეურებელი თეატრისაგან და რას ვერ იღებს, როგორია თეატრალური საზოგადოებისა და მონათესავე შემოქმედებითი კავშირების ურთიერთშემოქმედება, ან ურთიერთდამორების კოეფიციენტი, თავისუფალი დროის რა ნაწილს გამოყოფს თეატრალური დადგმების სანახავად მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, მოსწავლე, როგორია ხელოვნების სხვა ჟანრზე დამსწრეთა რიცხვი?

ამიტომ ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პარტიული კონტროლის განყოფილებაში მიღებული სოციოლოგიური ხასიათის ინფორმაცია თბილისის და ლენინგრადის უნივერსიტეტების სტუდენტთა მაგალითზე.

გამოირკვა, რომ ლენინგრადის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტების 13 პროცენტი ერთხელაც არ ყოფილა დრამატულ თეატრში, თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსიდან კი 15 პროცენტი არ ყოფილა დრამატულ თეატრში.

ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტების 33 პროცენტი არც ერთხელ არ დასწრებია საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებიდან არ დასწრებია ორჯერ უფრო მეტი — 69 პროცენტი.

ლენინგრადელთაგან 44 პროცენტი არ დასწრებია კლასიკური მუსიკის კონცერტებს, თბილისელთაგან კი ბევრად მეტი — 72 პროცენტი.

ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ არასაკმარისად ვეკიდებით სტუდენტთა მოზიდვას თეატრებში. ან რატომ არ შეიძლება, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ, პროფკავშირებმა, კულტურის სამინისტრომ წილობრივი მონაწილეო-



ბა მიიღონ სოფლიდან მოსული ახალგაზრდობისათვის მიზნობრივი ბილეთების თუ სპეციალურად სტუდენტური აბონემენტების შესაძენად. განა დასაშვებია, რომ საოპერო და საბალეტო სპექტაკლები ცარიელ დარბაზში მიდიოდეს, ხოლო თბილისში ხუთი წლით ჩამოსულ სტუდენტობას კი გარეთ ვტოვებდეთ.

ეს ცნობა მკაფიოდ ადასტურებს, რომ სოციოლოგიური კვლევა სუფთა სარკეა, რომელშიც ყოველ დილა-სალამოს უნდა ვიხედებოდეთ და ვახედებდეთ სხვებსაც, — დრამატურგებსაც, რეჟისორებსაც, აქტიორებსაც, კომპოზიტორებსაც, მონათესავე შემოქმედებით კოლექტივებსაც, რათა ერთობლივი გაანალიზებით მივაწოდოთ საჭირო მეცნიერული დასკვნები რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს კომპეტენტური გადაწყვეტილებების გამოსატანად.

### მეხუთე ღამება

„თეატრალური საზოგადოება თავის მუშაობას შემოქმედებითად უხამებს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, ყურნალისტთა კავშირებს, საგუნდო-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას მჭეტი ფექტურობის მისაღწევად მოსახლეობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში“.

ამის განსახორციელებლადაც არსებობს რეალური საფუძველი, თუნდაც ქალაქ მხარაძის მაგალითის მიბაძვით, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციების დაქსაქსულ საშუალებათა კონცენტრირებით მიაღწიეს პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდას.

ვფიქრობ, შემოქმედებით ორგანიზაციებსაც შესწევთ უნარი მოახდინონ საკუთარი ძალების გააზრებული ნებაყოფლობითი კონცენტრირება კულტურის სფეროში უკეთესი იდეური და მხატვრული უკუგების მოსაპოვებლად.

სამწუხაროდ, შემოქმედებითი კავშირები დღემდე ვაკუუბივართ ერთმანეთს, ყრუ ავტონომიზმს ვამჯობინებთ.

განა მეტი საზოგადოებრივი რეზონანსი არ მიეცემა, თუნდაც ქართული თეატრის ყოველწლიურ ზეიმს, 14 იანვრის დღის ჩატარებას რესპუბლიკაში, თუ ამ ზეიმში მონაწილეობას მიიღებს ყველა შემოქმედებითი კავშირი, პირველ რიგში მწერალთა კავშირი, რაკი სწორედ მწერლობამ დაუდო სათავე

თეატრს. მწერალ გიორგი ერისთავის პიესა „გაყრამ“ შეაერთა დღეს უკვე გახუყრელი მწერლობა და თეატრი.

თავის მხრივ, მეტ ელფერს შემატებს ქართული პოეზიის დღეს თეატრალური საზოგადოების თანამონაწილეობა პოეტური ნაწარმოებების მხატვრული კითხვით, აგრეთვე კომპოზიტორთა კავშირის მიერ ქართველი პოეტების ლექსებზე დაწერილი სიმღერა — ორატორიების აქლერებით. ან რატომ არ შეიძლება კინოეკრანზე მსხვილი პლანით ვიხილოთ გამოჩენილი დეკლამატორები. განა სიაშოვნებით არ მოისმენდა ქალქისა და სოფლის აუდიტორია, მაგალითად, შოთა ნიშნიანძის ცნობილ ლექსს „კომუნისტი“. მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის ლექსებს. სასურველია შეიქმნას მხატვრული კითხვის ფონო-ფილმოტექები გურამ სალარაძის, ოთარ მელვიხეთუხუცესის, ტარიელ საყვარელიძის, ირაკლი უჩაიანიშვილის, თათია ხაინდრავას და სხვათა მონაწილეობით. არც ფირფიტების გამოშვება იქნება ურიგო.

საქმეს არგებს, თუ შემდგომში მაინც ერთმანეთთან ვიქნებით, ერთობლივად ვიმოქმედებთ, როგორც ეს ბრწყინვალედ ვაჩვენეთ ლ. ი. ბრეჟნევის შესახვედრად გამართულ საერთო-სახალხო ზეიმზე, როცა სცენამ და მოედანმა, სიმღერამ და ცეკვამ, ლექსმა და მხატვრობამ, აქტიორმა და რეჟისორმა, კომპოზიტორმა და გიმნასტმა, მთელმა საქართველომ ერთი დიდი საერთო პოლიტიკურ-ესთეტიკური მშვენიერება წარმოსახა და საბჭოთა კავშირის ტყელემასურებელი გულწრფელად აღაფრთოვანა.

ამის გარდა, ანგარიშგასაწევია ქართული ეროვნული ტრადიცია. საქართველოში ოდიდან პატივს სცემენ წლოვანებით უფროსებს. მწერალთა და მხატვართა კავშირები ორმოცდაათი წლისა, კომპოზიტორთა კავშირი ორმოცდა ხუთის, არქიტექტორთა კავშირი ცოტა პატარა, ყურნალისტთა კავშირი 30 წლის, კინემატოგრაფისტთა კავშირი ამდენისაც არა, საგუნდო-ქორეოგრაფიული საზოგადოება ბევრად უმცროსია, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება ლამის სკოლამდელი ასაკის, ხოლო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული თეატრალური საზოგადოება ასი წლისა

გახდა და ამიტომ ერთი ოჯახის ცხრა ძმათა შორის, უფროსი ძმის მორალური ვალდებულებებით მას მეტი მოეთხოვება და, მაშასადამე, მეტიც ეკისრება.

**მეექვსე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ხელს უწყობს ტელე-რადიო სპექტაკლების გადაცემათა მრავალფეროვნებასა და მხატვრული-იდეურობის ამაღლებას“.

ამაში დიდო დამსახურება მიუძღვის თვით ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, დასაწყისში გურამ ენუქიძის, ამჟამად კი ნუგზარ ფოფხაძის გარჯის შედეგად, თუნდაც იმით, რომ ტელეობიექტივი მრავალათასიან მაცურებელს მსხვილი პლანით უჩვენებს აქტიორისა თუ რეჟისორის ნამუშევარს, ვიზუალურად ამახსოვრებს მეტყველ მიზანსცენებს, მასობრივად ამზადებს თეატრისათვის დიდად საჭირო ახალ მაცურებელს.

მაგრამ, თვითკრიტიკულად ვიტყვით, რომ თეატრალური საზოგადოება დღემდე ნაკლებად ზრუნავდა ტელე-რადიო დადგმებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ჩაყოს ხიზნების“ განხილვას, სუსტად ვიცნობთ სატელევიზიო და რადიო-თეატრის მოღვაწეობას, თუმცა სავალდებულოა, რომ თეატრალური სეზონის შემაჯამებელ ყოველ პლენუმზე ცალკე მოხსენებაც კი მიუუძღვნათ ტელე-რადიო სპექტაკლებსაც.

**მეშვიდე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ეხმარება კულტურის სამინისტროს სათეატრო დონისძიებების ჩატარებაში, სარეპერტუარო პოლიტიკის სწორად გატარებაში, სპექტაკლების მიღებაში, ქადაგებასა და რაიონული ხელმძღვანელობის მიწვევით თეატრის საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებაში“.

ესეც მნიშვნელოვანი მუხლია და ამის ფორმულირებისას ვხელმძღვანელობდით საქართველოს კპ ცკ-ის ა. წ.

28 ივლისის დადგენილებით „საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სადღესო მდგომარეობა კი მკვეთრ გარდატეხას მოითხოვს, თეატრალურა საზოგადოების, კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივი პარტიულ ორგანოების გარჯას საჭიროებს, რათა ერთობლივადვე გამოვასწოროთ ერთობლივი სერიოზული ხარვეზები. საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება გვავალებს საქალაქო და რაიონული თეატრები რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონემდე ავიყვანოთ.

**მერვე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ზრუნავს დედაქალაქის თეატრალური ცენტრიდან დაშორებული ახალი დასახლებებიდან მაცურებლის მოზიდვის ორგანიზების საკითხებზე“.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თეიმურაზ დავითაშვილმა ბევრი რამ გააკეთა, რისთვისაც მაღლობა ეთქმის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ გლდანის ახალი დრამატული თეატრის პირველი სეზონის გახსნასა და მისი 200 ათასიანი მოსახლეობის მიზიდვის პრობლემას, აგრეთვე დიღმის, საბურთალოს, ვარკეთილის, საქარხნო რაიონის ნახევარნახევარ მილიონიანი მოსახლეობის ლტოლვას ცენტრში შეჯგუფებული დრამატული თუ საბავშვო თეატრების სპექტაკლების სანახავად, მით უფრო ოპერა-ბალეტზე დასასწრებლად, ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ხელმძღვანელობას იდეოლოგიურ, კეთილშობილურ მოღვაწეობად ჩაეთვლებათ, თუ მომავალი წლიდან მაინც მოაგვარებენ მაცურებლის მობილურად გადმოყვან-გადაყვანას მეტრომდე და უკან დასახლებამდე, ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებზე სავანგებოდ დამატებული ფირნიშნებით „თეატრში“ და „თეატრიდან“. ასეთივე მარშრუტები უნდა დააწესონ ქუთაისში და წყალტუ-

ბომ. წყალტუბოში ჩამოსულმა მრავალ-  
მა ათასმა დამსვენებელმა ერთხელ მა-  
ინც უნდა მოისმინოს ქუთაისის საოპერო  
და საბალეტო თეატრის დადგმა  
სანატორიუმების კულტგართობის გრა-  
ფიკით.

**მეცხრე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება ზრუნავს თა-  
ვისი წევრების საყოფაცხოვრებო პირობე-  
ბის გაუმჯობესებაზე, საამისო მატერიალუ-  
რი ბაზის გაფართოებაზე, თბილისში, სო-  
ხუში, ბათუმში, ქუთაისში, სხვა რეგიონში  
საწარმოო ობიექტების, საფირმო მალაჩე-  
ბის გახსნით, რომელთაც ევალებათ ივაქ-  
რონ როგორც თეატრალურ და კულტსაგან-  
მანათლებლო ორგანიზაციებთან. ასევე მო-  
სახლეობა ფართო შესებთან“.

ამ მხრივ უკვე ბევრი რამ კეთდება,  
თანაც წესიერების მტკიცე დაცვით,  
სახალხო კონტროლის კომიტეტის თავ-  
მჯდომარის ოთარ მეღაძის რჩევათა  
საფუძველზე და ეს გვაძლევს იმედს,  
რომ მისი რეკომენდაციების მტკიცედ  
გატარებით თავიდან ავიცილებთ დარღ-  
ვევებით გამოწვეულ უსიამოვნო  
გრძნობებს.

იმისათვის, რომ ხელმისაწვდომ ფა-  
სებში მოვემსახუროთ საზოგადოების  
წევრებს, მალე გადავაკეთებთ კომერ-  
ციულ რესტორან „დურუჯს“ „თეატრა-  
ლურ კაფედ“. აქვე გაიხსნება ნახევარ-  
ფაბრიკატების მალაჩიც, რომელიც მო-  
ემსახურება საზოგადოების წევრებს.

ყველა ამ სიკეთის მოთავეა საქართ-  
ველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი  
მდივანი და ესეც მეტყველებს პარტი-  
ის გაზრდილ ყურადღებაზე მხატვრუ-  
ლი ინტელიგენციისადმი, სოციალისტუ-  
რი საზოგადოების მთავარი მამოძრავე-  
ბელი ძალის — მუშათა კლასის თანაბ-  
რად.

**მეათე დამატება**

„თეატრალური საზოგადოება თბილისში,  
მუხათგვერდის ტერიტორიაზე შექმნის და  
კეთილმოაწყობს თეატრის მოღვაწეთა მე-  
მორიალურ სავანე-პანთეონს საზოგადოების  
პრეზიდენტის მიერ უკვე დამტკიცებული  
ტექნიკური ხარჯთაღრიცხვით. ამასთან დადგამს

სკულპტურულ ბიუსტებს, გადააქცევს თე-  
ატრალურ სავანე-პანთეონს მხატვრულ-მე-  
მორიალურ გალერეად ღია ცის ქვეშ“.

იქნებ დამაღონებელიც არის ამ სა-  
კითხზე ლაპარაკი, მაგრამ თეატრალურ-  
მა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს არა  
მარტო ცოცხლებზე, არამედ განსვენე-  
ბულ თეატრალურ მოღვაწეებზეც, რაკი  
ხსოვნა აწმყოს დაფასებაც არის და მო-  
მავლის პატივისცემა.

ამ ასპექტში მადლიერებით აღვნიშ-  
ნავთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის  
თანაგრძნობას, რის შედეგად განახლე-  
ბული ქართული თეატრის ფუძემდებ-  
ლის გიორგი ერისთავის ბიუსტს აღვ-  
მართავთ მის მშობლიურ სოფელ ოძის-  
ში, ავრთვე ქართული და რუსული  
სცენის გამოჩენილი მსახიობის ლალო  
ალექსი-მესხიშვილის ბიუსტს უახლოეს  
ხანში დავდგამთ დიდუბის პანთეონში.

ლალო ალექსი-მესხიშვილმა პირველ-  
მა აღმართა თავის კოლეგებს შორის სა-  
ქართველოსა და რუსეთში 1905 წლის  
რევოლუციის დროს ბრძოლის ბარიკა-  
დები და თვითმპყრობელობას დამუქ-  
რა:

„ბარიკადას ჩვენ არ დავშლით, თუ  
საჭირო შეიქმნა, აქვე მოვიყვანთ ჩვენ  
ცოლშვილს, დაე, ამ უმანკო მსხვერპლ-  
თა გვამზე გადაიარონ ალიხანოვ-ავარი-  
ელის სისხლისმსმელმა ურდოებმა. რე-  
ვოლუცია მსხვერპლს მოითხოვს,  
მსხვერპლს კი შურისძიება მოაქვს  
მტრებისათვის“.

ასეთ მსახიობს ხალხი არ ივიწყებს.  
არ დავივიწყოთ სხვებიც, ამიტომ მუ-  
ხათგვერდის ტერიტორიის ერთ ლამაზ  
გორაკზე თეატრალური სავანე-პანთე-  
ონის მოწყობით ცოცხლებსაც სიმშვი-  
დეს მოვვკრით. ამასთან მემორიალური  
კულტურის გონივრულ ნორმებსაც დავ-  
ნერგავთ საზოგადოების იმ ნაწილში,  
ვინც ჭირისუფლურ მწუხარებას ძვი-  
რად ღირებულნი მარმარილოს ძეგლე-  
ბით იქარვებს.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ილია  
ჭავჭავაძემ, ვილაც სოვდაგარისგან პატა-  
რა მიწაც კი შეისყიდა თეატრის მოღვა-  
წეთა სავანეს მოსაწყობად. მით უფრო

შესწევს ამის ძალა მის მიერ დაარსებულ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას.

### მეთერთმეტე დამატება

„თეატრალური საზოგადოების წევრები სარგებლობენ შედეგებით სხვა შემოქმედებითი კავშირის წევრების თანხარად, კერძოდ, უფლება ეძლევათ 20 კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართის ერთმანე ქირაზე, თეატრალური საზოგადოების მიერ მოცემული ტურისტული, აგრეთვე საზოგადოების დასახვეწებელი სახლების საგზურები შეიძინონ 25-75% დაკლებით მათი საზოგადოებრივი აქტივობის გათვალისწინებით. სამაშულო ოპის ვეტერანები უფასოდ იღებენ დასახვეწებელი სახლის საგზურს. ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც მივიღინებულნი იქნებიან ქვეყნის თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელში, შეიძლება დაენიშნოს მიზნობრივი სტიპენდია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოქმედ წევრებს ეძლევათ შემოქმედებითი მივიღინებები თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, პერიმისა თუ სხვა ქალაქების თეატრებში ინდივიდუალური თუ ჯგუფური გასვლებით, აგრეთვე, პერიფერიის თეატრების მთელ კოლექტივებსაც თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული თეატრების სპექტაკლების სანახავად, სემინარული ლექციების მოწყობით, ან თვით თეატრების მივიღინებით სოხუში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, თელავში სახელმწიფო და სახალხო თეატრების ზონის აქტიორთათვის და საუბარ-პრაქტიკუმების ჩატარებით. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების სარედაქციო საბჭოს წევრებს მიეცემათ საგამომცემლო განყოფილების მიერ გამოცემული წიგნების თითო ეგზემპლარი მხატვრულ-იდეური კონტროლის გასაწევად. წელიწადში ორჯერ პრეზიდიუმის სხდომაზე წერილობითი რევენუიების წარმოსადგენად, აგრეთვე გამგეობის სპეციალურ პლენუმზე ანგარიშის განსახილველად წელიწადში ერთხელ“.

### მეთორმეტე დამატება

„თეატრალური საზოგადოების ყრილობა ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ, ან რიგგარეშედ და გამგეობას ირჩევს ღია კენჭის ყრით“.

როგორც ვხედავთ, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას ბევრი კარგის გაკეთება ევალება და ძალაც შესწევს, თუ ვიმოქმედებთ მცნებით— „ნაკლები სიტყვები, მეტი საქმე!“

ამის რწმენას გვაძლევს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრაქტიკული დახმარება, პარტიის ცენტრალური კომიტეტის კონკრეტული წარმმართველობა, პირადად ე. ა. შევარდნაძის შეუწყნებელი ყურადღება თეატრისადმი, რათა თითოეული ჩვენგანი მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას ვიჩვენებთ საზოგადოებრივი მოვალეობისადმი, საკუთარ მოქმედებაში ვალვივებდეთ პასუხისმგებლობის მაღალ გრძობას და ამასვე ვწერგავდეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამათასიან მრევლშიც.

### გ ა ს წ ო რ ე ბ ა

27-ე გვერდზე, პირველი სვეტის მე-13 სტრიქონში ზევიდან, არის — 25-27%; უნდა იყოს — 25-75%.

# კახეთი სანაგარეო მოხსენების გარშემო

მოსხენებათა მოხმენის შემდეგ იწყება კამათი, პირველი გამოდის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ანს. ია ბაბრქაძე, იგი ამბობს:

— ყველას კარგად გვახსოვს ის დაუვიწყარი დღეები, როდესაც საბჭოთა საქართველო და მასთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირი ზეიმობდა ჩვენი რესპუბლიკის შექმნის 60 წლის-თავს, ძვირფას სტუმრებს შორის, დღესასწაულს ესწრებოდა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა, როგორც თვით ზეიმს, ასევე საქართველოს ხელოვნებას.

ამ ქებას ინაწილებს ქართული საბჭოთა თეატრი, მაგრამ ეს მაღალი შეფასება სრულიადაც არ გვაძლევს დამწიფებებს, თვითკმაყოფილების უფლებას, რადგან მიღწევებთან ერთად გასაკეთებელიც ბევრი იგვიქვს.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის დოკუმენტებში მეტად პრინციპული შეფასება მიეცა ჩვენი სანაგარეო დაწესებულებების მუშაობას, საკმაოდ სერიოზული შენიშვნა გამოითქვა ჩვენი თეატრის მიმართაც.

ყრილობამ დაავალა სპეციალისტებს, სოციოლოგებს, ყველა დაინტერესებულ უწყებას შეესწავლათ გამომწვევი მიზეზები, თუ რატომაც ცარიელი საკონცერტო დარბაზები და ზოგაერთი თეატრალური დარბაზი, რა განაპირობებს იმას, რომ კლასიკური მუსიკის საუკეთესო შემსრულებლებს არ ჰყავთ მსმენელი, რატომ არის, რომ საქართველოს თეატრებს საშუალო საკავშიროზე ნაკლები მსაყურებელი ჰყავს?

ეს მეტად რთული და სერიოზული ამოცანა იყო. სანუხაროა, მაგრამ ფაქტი, და ჩვენ თვითკრიტიკით უნდა ვთქვათ, რომ დღემდე არავითარი სერიოზული გამოკვლევა ამ მიმართულებით არ ჩავატარებია.

ზოგიერთი იტყვის — რა არის შესასწავლი? აბა, იყო მაღალი ხარისხის სპექტაკლები — მსაყურებელიც იქნება! რა თქმა უნდა, მეტნაკლებად ასეა, მაგრამ ჩვენი აზრით, აუცილებელია მეტი სიღრმით მოვკვიდრო ჩვენი თეატ-

რების განვითარების პროცესების შესწავლას, როგორც იტყვიან, ნამდვილი მეცნიერული მიდგომა გამოვიჩინოთ ამ მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესის მიმართ, ეს თანაბრად გვეხება ყველას და, პირველ რიგში, სპეციალისტებს, თეატრმცოდნეებს, თეატრალურ საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, კულტურის სამინისტროს შესაბამის განყოფილებებს.

აქვე, თვითკრიტიკით უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სამინისტროს თეატრების განყოფილებას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, უფრო სწორად, უნდა გადაისინჯოს თავისი დამოკიდებულება თეატრებთან თანამშრომლობის საკითხში.

სწორედ ამ საკითხზე აქვს გამახვილებული ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავის 1981 წლის დადგენილებაში „საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონულ თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქალაქო და რიონული თეატრების უდავო მიღწევების მიუხედავად მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელი დროის გაზრდილ მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებში მკაფიოდაა ნათქვამი, თუ როდენ გაიზარდა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის სანაგარეო მოხსენებაში წერს: „ხალხის ინტერესებით ცხოვრება, მისი ჭირისა და ღონის გაზიარება, ცხოვრებისეული სიმართლის, ჩვენი ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრება, კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა — სწორედ ეს არის ხელოვნების ქეშმარიტი ხალხურობა, ქეშმარიტი პარტიულობა“.

მასუბოხს კი ყველა ჩვენი თეატრის დღევანდელი დონე, მისი სარეპერტუარო პოლიტიკა და სპექტაკლების ხარისხი პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს? გულახდილად უნდა ითქვას, რომ ყოველთვის არა, ბევრი რამ არის დამაფიქრებ-

ლი და გასაკეთებელი. ბევრი რამ გადახალი-  
სებას, განახლებას, ახლებურ მიდგომას მოი-  
ხოვს.

ეს მეთად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომე-  
ლიც მიმართულია რესპუბლიკის თეატრების  
ცხოვრების საკვანძო პრობლემების გადაწყვეტი-  
სათვის და ჩვენ ყველას გვპირთებს დაუყოვნებ-  
ლივ მოვახდინოთ მასზე რეაგირება.

საჭირო იქნება უკლებლივ ყველა თეატრმა  
ღრმად შეისწავლოს და საერთო კრებაზე განი-  
ხილოს ეს დოკუმენტი. თვითთულმა კოლექ-  
ტივმა უნდა დასახოს კონკრეტული გეგმები ამ  
დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.  
ჩვენი მხრივ მოგახსენებთ, რომ ზოგიერთი ნაბი-  
ჯი უკვე გადაიდგა. მიღწეულია შეთანხმება დე-  
დაქალაქის მთელ რიგ წამყვან რეჟისორებთან  
იმის თაობაზე, რომ ისინი სარაიონო თეატრებ-  
ში დადგამენ სპექტაკლებს.

მიღებულია ზომები რიგი რაიონული თეატ-  
რების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯო-  
ბებისათვის. ეს პირველი ნაბიჯებია.

ისევე, როგორც ბოლო წლებში, გასულ თე-  
ატრალურ სეზონში, თბილისის თეატრების რე-  
პერტუარის ძირითად ბირთვის შეადგენდა თანა-  
მედროვე თემაზე დაწერილი პიესები. რესპუბ-  
ლიკის თეატრებში განხორციელებულ 114  
სპექტაკლიდან თანამედროვე ქართულ ავტო-  
რებს ეკუთვნოდა 48, რომლებშიც საკმაოდ მკა-  
ფიოდ გამოიხატა ქართული საბჭოთა დრამა-  
ტურგიის სახე, მიმართულებანი, მხატვრული  
თავისებურებანი, დაიწერა პიესები, რომლებიც  
განმარტებენ თანამედროვეობის, სოციალის-  
ტური სინამდვილის მძაფრ პრობლემატიკას,  
ასახვენ იმ პროცესებს, რომლებიც ჩვენს რეს-  
პუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე მიმდი-  
ნარეობს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ამ ეტაპ-  
ზე, თანამედროვეობის პრობლემატიკის შუქზე,  
მხატვრულად საინტერესოდ აისახა მორალის,  
პიროვნების ჩამოყალიბების, ოჯახის, მოზარდი  
თაობის, ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემე-  
ბი. პრობლემატიკის სწორედ ამ სფერომ, რო-  
მელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგა-  
დოების სრულყოფის გზაზე და აქტიური სოცი-  
ალური უღერადობის შემცველია, ჰპოვა ყველა-  
ზე ხარისხიანი და ორიგინალური მხატვრული  
განსახიერება. სწორედ ამგვარმა ნაწარმოებებმა  
მიიქციეს თეატრებისა და მათეურების საგანგებ-  
ო ყურადღება და ფრიად აქტიური ადგილიც  
დაიკავეს რეპერტუარში.

პირველად, დედაქალაქის თეატრალურ აფი-  
შებზე გამოჩნდნენ რ. სტურუას „ვარიაციები  
თანამედროვე თემაზე“, ა. ჩხიკვიშვილის „გზა“,  
ნ. წულესიკირის „ძველი საშრეკლო“, თ. მეტ-  
რეველის „შემოილი, შემოილი ახალი წელი“,

ლ. როსებას „პროვინციული ამბავი“, ა. ჩხეიძის  
„ჩემი ეიფელის კოშკი“, ე. ნიჟარაძის „ელოდ  
ვარსკვლავთცვენას“.

მეტი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა რე-  
ჟისორთა დაოსტატებას პროფესიულ სცენაზე,  
გავხდით არაერთი წარმატებული დებიუტის  
მოწმე.

შემდეგ ორატორი ეხება თეატრების სარე-  
პერტუარო პოლიტიკას და აღნიშნავს:

ჭერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როდესაც თე-  
ატრები თვითნებურად ცვლიან სამინისტროს  
კოლეგიის მიერ დამტკიცებულ რეპერტუარს.  
როდესაც ეს ცვლილება გაძლიერებისკენაა მი-  
მართული, ამის მოთმენა კიდევ შეიძლება, მაგ-  
რამ, საშწუნხაროდ, ეს ასე არაა, ხშირად თე-  
ატრები ისეთ პიესებს კიდებენ ხელს, რომლის  
არც დაძლევა შეუძლიათ და მათი დადგმა არც  
რადივე სხვა აუცილებლობითაა გამოწვეული.  
მაგალითად, გასულ სეზონში რამდენიმე თე-  
ატრმა წარმოადგინა დასამტკიცებლად „ლედი  
მაკბეტი“. ათამდე თეატრმა მოინდომა „მე-18  
თავმჯდომარის“ დადგმა. სოხუმის თეატრი შე-  
ეტიდა „ტრამვის სურვილი“ და მრავალი სხვა.

კვლავ პრეტენზიები გვაქვს ჩვენ მოზარდ მა-  
ყურებელთა თეატრის რეპერტუარისადმი, მან  
გასულ წელს რეპერტუარში არცერთი ქართუ-  
ლი წარმოდგენა არ ჩართო. სოხუმის ქართული  
თეატრის რეპერტუარში ქართული ნაწარმოე-  
ბები წარმოდგენილია მხოლოდ იური კაკულიას  
ნაწარმოებებით. გრიბოედოვის სახელობის თე-  
ატრის რეპერტუარში ძალზე ცოტაა სამხედრო  
თემატიკის ნაწარმოებები.

ორივე მოზარდ-მაყურებელთა თეატრი რა-  
ტომლაც გაურბის სასკოლო-სასწავლო პროგრამა-  
მით გათვალისწინებული ნაწარმოებების გან-  
ხორციელებას.

სომხური დრამის თეატრს მეთად მრავალფე-  
როვანი რეპერტუარი აქვს. იქ წარმოდგენილია  
სომხური, ქართული, რუსული და სხვა მოძმე  
რესპუბლიკების ნაწარმოებები, მაგრამ იგი ერთ-  
ფეროვანია იმ მხრივ, რომ შეიქცეს და ეს გა-  
სართობი, კომიკური ჟანრის პიესებია.

კიდევ ერთ რთულ პრობლემასთან გვაქვს  
საქმე ჩვენს საქმიანობაში, ეს არის თბილისის  
თეატრებში დასის დატვირთვის პრობლემა.  
მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დასი და-  
ტვირთულია მხოლოდ 30%, ასეთივე მაჩვენე-  
ბელია რუსთაველის თეატრშიც. ეს მეთად და-  
მაფიქრებელია ჩვენთვისაც და თვით თეატრის-  
თვისაც, არც იმას შეიძლება ავუაროთ გვერ-  
დი, — ამბობს ორატორი, — რომ ძალზე მძიმე  
მდგომარეობაა რაიონულ თეატრებში კადრების  
მხრივ.

მუსიკალური თეატრები კი, როგორც ჩანს,

თეატრალურ საზოგადოებას თავისი მხედველობის არედან ერთგვარად გამორჩა.

შემდეგ ორატორი ეხება მოახლოებულ ისტორიულ თარიღებს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და გიორგიევსკის ტრაქტატის 260 წლისთავის საიუბილეო თარიღებს და აღნიშნავს, რომ თეატრებმა ამ წეიმებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ.

ქართველი დრამატურგებია გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს საგანგებო პიესებს უძღვნიან. თეატრები ეძებენ ახალ ფორმებს, გამოყენებული იქნება აგრეთვე ამ თარიღის შესატყვისი, უკვე აღიარებული ქართული დრამატურგიის ნიმუშები.

ამ საიუბილეო პროგრამაში გამორჩეული ადგილი დაეთმობა რუსულ კლასიკას.

პარტიისა და ხელისუფლების უოველდღიური ზრუნვა გვავალდებს ვამრავლოთ წარმატებები, შევქმნათ მაღალიდღიური და მხატვრულად გამორჩეული სპექტაკლები, რომლებშიც სათანადოდ აისახება იმათი შრომა, სიყვთე, თავდადება. ვინც აშენებს ჩვენს ნათელ მომავალს.

აქარის ასსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, დრამატურგი ბლემსსნდრემ ჩხბ-

იძმ შეეხო რაიონთაშორისო და საქალაქო თეატრების მდგომარეობას და არაერთი მტკივნეული საკითხი დააყენა, რომელთაც უფრო საფუძვლიანი შესწავლა და გადაჭრა ესაჭიროება.

— მართალია, ადგილებზე გამართულ წინასაყრილოო კონფერენციებსა თუ პლენუმებზე ჩვენ შევეცადეთ ავად თუ კარგად გვესმეკელა თეატრალური ცხოვრების საქირბოროტო საკითხებზე. პრობლემებზე, თქვა მან. — მაგრამ ყველა ჩენის მთავარი სათქმელი მაინც აქ იყრის თავს. აქ მოითხოვს პასუხს, ჩენს მთავარ თავურლომაზე. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ არ გამოვეკიდებით წვრილმანებს, გვერდზე გადავდებთ პირადულს თუ პატივიოყვარულ ემოციებს და მსჯელობის საგნად გავხდით საერთო სატიკვარს, რაც აწუხებს და აღელვებს ყველა თეატრს. ბათუმშიც და თელავშიც, სოხუშიც და რუსთავშიც, ლიხს გადაღმაც და ლიხს გადმოღმაცო. იგი ეხება პერიფერიული თეატრების შემოქმედებითი მუშაობის რთულ პირობებს, განსაკუთრებით კრიტიკულად განიხილავს გასვლითი სპექტაკლების სისტემას, მიაჩნია, რომ ეს გასვლითი სპექტაკლები მორყეული ავტობუსებით, განახევრებული დეკორაციებით, შემცირებული პერსონაჟით, მბუჟუტავი განათებით, გაყი-



ყრილობის სსლომათა დარბაზი

ნულ კლუბებსა და კულტურის სახლებში გათამაშებული, ელემენტარული ტექნიკური პირობების გარეშე თავის მაღალ დანიშნულებას ვერ ასრულებს. ისინი თეატრალური ხელოვნებისადმი მსაყურებელში ერთგვარ გულგრილობას იწვევენ და თეატრისადმი ინტერესს ანელებენ.

ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, რომ სოფლისა და კოლმეურნეობათა თავკაცები შორიგებაზე მიდიან თეატრის ხელმძღვანელებთან. ნუ შეიწუხებთ თავს, ნუ ჩამოხვალთ, არ გვინდა სპექტაკლი, აჰა, ფული, ოღონდ თავი დაგვანებეთო, და თეატრი, სამწუხაროდ, მიდის ამ კომპრომისზე, რადგან მას გახვლითი სპექტაკლების, მსაყურებელთა მოზიდვის, სოფლის მშრომელთა მომსახურების უსაშველოდ გაბერილი გეგმები აქვს.

ახლა ისიც ვთქვათ, რა ღონისაა ის ასზე მეტი სპექტაკლი, რომელსაც უოველწლიურად ვთავაზობთ მსაყურებელს? იქნებ თავი დავანებოთ მსაყურებელს, მის სამართლიან თუ უსაფუძვლო პრეტენზიას და საკუთარ თავს შევეციოთხოთ, რამდენი სპექტაკლი იქცა სეზონის ასი პრემიერიდან თეატრალური ცხოვრების ისეთ მოვლენად, რაც ჩვენ პროფესიონალებს, საქმიანთა და მთელი ცხოვრებით თეატრთან დაკავშირებულ ადამიანებს, გვაძიულებს ქუთაისიდან ჩავიდეთ ბათუმში, სოსხუმიდან — ცხინვალში, თბილისიდან, — ფოთში და ასე შემდეგ? ყველა ეს თეატრი ხომ პროფესიული თეატრია, სახელმწიფო თეატრალური კოლექტივია, სადაც უმაღლესდამთავრებული მსახიობები და რეჟისორები მუშაობენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბევრგან სპექტო გემოვნებით, თეატრის პოტენციური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად დგება რეპერტუარი, კულტურის სამინისტროც ზედმეტ ლიბერალობას იჩენს ამ საქმეში, გადამეტებულ ნდობას უცხადებს თეატრის ხელმძღვანელობას, ირეჟისურას, როდესაც ესა თუ ის თეატრი „ოტელოს“ ან „მაკბეტის“ დადგმის პრეტენზიას აცხადებს. სამინისტრო, სხვა თუ არაფერი, იმაში მაინც უნდა იყოს დარწმუნებული, ჰყავს თუ არა თეატრს ამ როლების შემსრულებელი მსახიობები.

კომპრომისებითაა აღსავსე ახალი სპექტაკლების ჩაბარება-მიღება, სამინისტროს თეატრალური განყოფილებისა და სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მცირე კოლექტივი, ბუნებრივია, ვერ გაწვდება მისეულ თეატრში დადგმულ ასზე მეტ სპექტაკლს. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, უნდა ამაღლდეს თავად თეატრის, მისი დირექციის, სახმატრო საბჭოს, მთელი კოლექტივის, ადგილობრივი ხელმძღვანელობის როლი და პასუხისმგებლობა ყოველი ახალი სპექტაკლის ხარისხისადმი.

საქალაქო და რაიონული თეატრების ნაკლოვა-

ნებათა შესახებ ასე ხმამაღლა ლაპარაკის უფლებას გვაძლევს, — დაასკვნის ორატორი, — სწორედ ახლახანს მიღებული მეტად მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესებას ღონისძიებათა შესახებ.

მართლაცდა, ქართული თეატრის ესოდენ მაღალი საერთაშორისო აღიარების ფონზე ყოველად მოუთმენელია რესპუბლიკის პერიფერიების თეატრების დღევანდელი დონე, რის მიზნების დადგენა და აღმოფხვრა სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ქუთაისის ლ. შეხსიშვილის სახ. თეატრის სახმატრო ხელმძღვანელი გიორგი შაჰმთარაძე ამბობს:

„თეატრალურმა წარმოდგენამ არ იცის არც „გუშინ“, არც „ხვალ“, თეატრი დღევანდელი დღის ხელოვნებაა. აი ამ საათს, აი ამ წუთს, ამ წამს, „გუშინდელი დღე“ — ეს გადმოცემებია დღევანდელში. „ხვალინდელი დღე“ მხატვრის ხელოვნების ოცნებაა, მაგრამ ნაღდი თეატრი, ეს მხოლოდ დღევანდელი დღეა“ — წერდა ვსევოლოდ მიეერსოლდი. ჩემის აზრით აქ დიდი, ძალზე დიდი აზრია ჩადებული. კონკრეტული, საქმიანი და ქმედითი. აქ გამოხატულია თეატრის პოზიცია, მისი ყოველდღიურობა, ჩემის აზრით აქ არავითარი პარადოქსი არ იქნება, თეატრი გაზეთით დრამატული უნდა იყოს, პირველ რიგში აზრით, პრობლემებით ტკივილებით, საზოგადოების აქტიური საკითხების გადაწყვეტით.

მე მაწუხებს რამდენიმე პრობლემა, რომელიც დღევანდელი მსახიობისთანაა მაქსიმალურად დაკავშირებული და მიმაჩნია, რომ ისინი დღევანდელი ყრილობის მსჯელობის საგანი უნდა გახდნენ, რა საკითხებია ეს?

ერთი პერიოდი, სხვადასხვა წარმატებების მიუხედავად, ქართული თეატრი ერთგვარ ჩიხში იყო მოაწყვედი. უცებ დაიწყო ახალი ექსპერიმენტი, ახალი ძიებანი, რასაც თავისი შედეგებიც მოჰყვა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ თეატრში (მე ვგულისხმობ წარმატებებს) ძირითადი ადგილი ეთმობა მხოლოდ ექსპერიმენტს. ქართული ხელოვნება დღეს, ისევე, როგორც ლიტერატურა, დიდ აღმავლობას განიცდის, ისეთივე დიდი რეზონანსი აქვს, როგორც ქართულ თეატრს, დიდი წარმატებები აქვს ქართულ პოეზიას, ქართულ ქანდაკებას, ქართულ კინოს ეს ყოველივე მართო ფორმის ძიება კი არ არის, არამედ პირველ რიგში პრობლემებია, აზრთა სიახლეა, ეროვნული ტკივილებია, ხელოვნებაში, თეატრში, პირველ პლანზე, წაშვეან ფორმაში გამოხატული სიახლეა, მაგრამ



ახალი ექსპერიმენტის ავტორების მხრივ. (ეს არ ეხება რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს) არის რაღაც შეგებობა სწორედ ამ ექსპერიმენტში, ჩვენ უკვე გვეშინია „ჩვეულებრივი“ კარგი სპექტაკლების დადგმის, „ჩვეულებრივი“ დეკორაციებით, მაგრამ არაჩვეულებრივი სათქმელით, არა საინტერესო და ყველაზე სავალალო ისაა, რომ უხმაურო, მაგრამ მნიშვნელოვანი თავისი შინაარსით ქმნილებები ჩრდილშია მოქცეული, ხოლო ყუბადალებული, მაგრამ არასაქმიანი — წინა პლანზე მიიწევს.

დღეს ეს მნიშვნელოვანი საკითხია. საკმაოდ დიდი დრო დაიხარჯა ექსპერიმენტზე, ახალ სიღრმეებში შესვლის დროა!

არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად მიმაჩნია ძალზე ძველი, მაგრამ ასევე მოუფლებელი პრობლემა, მსახიობთა გარდასახვის საკითხი. ამას წინათ ქუთაისიდან მგზავრობის დროს, ერთ-ერთი მგზავრი მეტივებდა: „ბატონო გოგი! იქნებ თქვენ ამიხსნათ რაშია საქმე, რატომ აღარ არიან ჩვენს თეატრებში ისეთი არტისტები, როგორებიც იყვნენ ვასო გომიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გიორგი შავგულიძე, სერგო ზაქარიაძე, აკაკი კვანტალიანი და მრავალი სხვა“. მე ვუპა-

სუხე — არიან, როგორ არ არიან, მაგრამ ახლა მათ სხვა გვარები აქვთ და სხვა სახელები, იმიტომ, რომ თქვენ ისე აქტიურად აღარ დადიხართ თეატრში, როგორც მაშინ-შეთქი. მე კი ვფიქრობ, რომ ის კაცი რაღაცაში მართალი იყო, ჩვენ ძალიან მივეჩვიეთ სიტყვებს, შტამებს. მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა თეატრისათვის ის, რომ არის უღიმღამობა, ერთფეროვნება, ჩვენ მივეჩვიეთ მსახიობის ერთ ყალიბში თამაშს, ერთი მიმართულების შეუქმედებას. კინოშიც ხომ ჩვენი არტისტებია, თეატრში მსახიობი აღარ იწვის თავისი სახის გარდასახვისათვის, მაყურებელი მიეჩვია, მათ, აღარ აქვთ ინტერესი გარდასახვისა. მახსოვს, ვასო გომიაშვილი გამოდიოდა ერთ სპექტაკლში, სადაც ის ძალიან პატარა როლს ასრულებდა, ისე იყო გარდასახული და ისე შესანიშნავად ითამაშა ეს პატარა როლი, რომ იგი ყველასათვის დაუვიწყარი დარჩა. ჩვენი წამყვანი მსახიობები აღარ თამაშობენ პატარა როლებს.

აღრე სცენაზე შემოსულ მსახიობს ხუთი წუთის შემდეგ ძლივს იცნობდა მაყურებელი, რა იყო ამაში ცუდი?



ყრილობის დელეგატა ერთი ჯგუფი.

ახლა ჩვენს თეატრებში არიან მსახიობები, რომლებიც გაპირობებული არიან მთავარ როლების შემსრულებლებად. არიან მსახიობები, რომლებიც საშუალო როლებს ასრულებენ და პატარა როლების შემსრულებლებიც არიან.

ახლა ჩვენი არტისტები დაყოფილია არა აშკარად, არამედ როლის სიდიდის მიხედვით. დიდ, საშუალო და ეპიზოდურ როლების შემსრულებლებად. რეჟისორს აქტიური მარაგი აღარ რჩება, ჩემის აზრით, ეს სერიოზული საკითხია და რეჟისორს დიდი დავიკრება სჭირდება ამასთან დაკავშირებით.

შემდეგი საკითხია: მსახიობთა, რეჟისორთა დამაგრება თეატრებში. მსახიობის გაშვება თეატრიდან ლამის ტრაგედია იქცევა. ახლა იცით, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული პრობლემის წინაშე დადგება. მე ერთ მტკივნეულ საკითხს მინდა შევეხო. რატომ გადაეჩვენენ ჩვენ რეჟისორები და მსახიობები მომთაბარე ცხოვრებას. ეს ხომ ჩვენი პროფესიის შემადგენელი ნაწილია. მე არ ვიცი, ვინ დააწესა ასე. თუ ერთი რეჟისორი ან მსახიობი მოვიდა საშუალო ან ამა თუ იმ თეატრში, იგი ამ თეატრიდან უნდა გაასვენონ. ეს დიდი პრობლემაა, დღეს ქართულ თეატრში აღარ შეიძლება განახლდეს არავითარი აქტიური სკოლა. განა არ შეიძლება სხვა თეატრებში განახორციელოს რაიმე ახალი დადგენილება ან ამა თუ იმ რეჟისორმა, ჩვენ კი ერთ ადგილას ვართ მიჩაჭყვლედი. ეს პროვინციაში, ახლა წარმოადგინეთ რა ხდება თბილისში.

მსახიობი ერთ თეატრში მუშაობს 30-40 წელი. მისი ადგილიდან დაძვრა შეუძლებელია. ყველამ იცის, რომ პროვინციაში მსახიობს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუშვებ. თუ თეატრს ციცილი არ წაეკოდა.

რატომ, იმიტომ ხომ არა, რომ ეს კაცი აქ დაიბადა, აქ ცხოვრობს, აქაურია. ეს შე მიმაჩნია ყველაზე უფრო მოუთმენელ მდგომარეობად, როდესაც პატარა საქართველო ასე საქიროებს აქტიური ხელოვნების გაცნობას.

აღრე იყო ასეთი პრაქტიკა, ახალგაზრდა რეჟისორები, მსახიობები მიდიოდნენ ჯერ პერიფერიებში და მერე გადმოდიოდნენ დედაქალაქის თეატრებში. ასე, მაგალითად, რეჟისორები: არჩილ ჩხარტიშვილი, ვასილ ყუშიტაშვილი, გიგა ლორთქიფანიძე და სხვანი, ახლა ეს პრაქტიკა შეწყდა.

ახლა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა ის გაიგოს, რომ რობერტ სტურუა, ვიქვათ, ქუთაისის თეატრში სპექტაკლის დასადგმელად მიდის, ჩვენ ამაზე დიდი ხანია ვოცნებობთ, იქნებ დავითანხმო კიდევ. არ შეიძლება არ დამეთანხმოს და თითონაც არ გამოუწიოს გულმა ჩვენსკენ.

ჩემი დიდი ხნის ფიქრია ჩემი პედაგოგისა და მსახიობის მიხედვით თუ მანისვილის ქუთაისში მი-

წვევა. თუ ეს ასე მოხდა, მას მთელი ნაკადი მიჰყვება ახალგაზრდა რეჟისორებისა.

ყველამ უნდა დინახოს ის საქიროება, რომელიც სჭირდება პერიფერიის თეატრებს. კარგი მსახიობი და რეჟისორი სჭირდება თელავს, ბათუმს, სოხუმს, მაგალითად, სახელმწიფო არის ისეთი ქვეყნები. ვიქვათ ბულგარეთი, ვიდრე თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ორ წელიწადს არ იმუშავეს პერიფერიის თეატრში. მას დიპლომს არ მისცემენ.

ამ მიმართულებით ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი მომავალი გზის განსაზღვრა თეატრის მომავალზე ზრუნვაა, აქ იმაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, როგორ გვჭირდება ყველგან ახალგაზრდა კადრები, არამედ ის, რომ ეს ახალგაზრდა მომავალში კარგი მოქალაქე და პატრიოტი იყოს თავისი ქვეყნისა, — ეს უნდა აღზარდოს მასში!

ჩვენც გადავწყვიტეთ ამ საქმეში რაღაცა სიახლე შევიტანოთ. თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან ერთად ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი გამოვაცხადეთ სარეჟისორო ფაკულტეტის სასწავლო ბაზად. 7 წარმოდგენიდან ჩვენ ნახევარი შეგვიძლია მომავალ რეჟისორებს დავუთმოთ. ეს დიდი ექსპერიმენტია, სასარგებლო და სისასიხის, მომავალი რეჟისორისთვის. ქუთაისში 3 თეატრია, მათ სხვაგანაც შეუძლიათ მუშაობა, ამაში ქალაქის ხელმძღვანელობაც დაგვეხმარება. ესაა სვალნიდელ დღეზე ზრუნვა, რაც ხელოვნებაზე ფიქრია და ოცნებაც.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მწერალი თბამბა ჭილაძე:

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში მოხდა, არის ჩვენი თეატრის საერთაშორისო აღიარება. მართლაც, დღეს საქვეყნოდ ცნობილია ქართული თეატრის დიდი წარმატებების ამბავი. ეს წარმატებები კი ერთბაშად არ გაჩენილა, ციდან არ ჩამოვარდნილა. წლებით მზადდება, წვეთ-წვეთობით ემატებოდა ერთმანეთს და ასე თანდათანობით იქმნებოდა ის ფენომენი, რასაც დღევანდელი ქართული თეატრი ჰქვია. ასე შექმნილი, ასე განვადებული სამშობლოსა თუ მის საზღვრებს გარეთ.

ამას წინათ, ჩვენი რესპუბლიკის ზეიშვე, სამართლიანად აღიანიშნა, რომ საქართველოში გამოიხატა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი დამოკიდებულების სწორი ტონი. დაახ. ეს „სწორი ტონი“ გახლავთ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ნდობისა და რწმენის პოლიცია. ადამიანი კი სასწაულმოქმედი, როდესაც მისი სწავით!

ჩვენ, მართლა, შექსპირის დადგმა კი არ ვას-

წავლეთ ინგლისელებს, რაც, სხვა თუ არაფერი, სასაცილოდ უღერს, არამედ დავანახეთ კლასიკისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე ფორმა. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ არა მარტო ის დავამტკიცეთ (თუკი ამას კიდევ დამტკიცება სჭირდება), რომ დიადი შექსპირი ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა, არამედ ის, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, რომ ჩვენ მსოფლიო განვითარების ამ ეტაპზე, როცა სახელოვნო აზრის ერთგვარი განვლდება შეიმჩნევა, შეგვიძლია ზოგადსაკაცობრიო მხატვრული სახეებით აზროვნება.

სწორედ ჩვენი აზროვნების სიმახვილემ, აქტუალობამ მიიქცია უცხო მაყურებლის ყურადღება. თურმე შექსპირის ტრაგედიაში ჩვენ გვაინტერესებდა საკუთარი ბიოგრაფიის დრამატიზმი, რომელიც აღმოვაჩინეთ კიდევ მისი ღვთაებრივი პოეზიის სიღრმეში. ეს კი, ანუ ასეთი სითამამე, თავისთავად მეტად მოულოდნელი, მაგრამ, ამასთანავე, მახლობელი და მომხიბლავი გამოდგა შექსპირის თანამედროვეობისათვის, და არა მარტო მათთვის. ერთხელ კიდევ გაფრთხილებასავით გაიღვა იმ აზრმა, რომ უველანი პაწაწინა პლანეტაზე ვცხოვრობთ, რომ ამ გლობალური მდიდარების ეპოქაში საერთო ბედით ვართ ერთმანეთზე გადაბმული და ამ საერთო ბედზე უველამ ერთნაირად უნდა ვიფიქროთ, რომ ერთნაირ ეროვნებას განიცდის, როგორც

ტირანის, ასევე მონის სული, რადგან ადამიანი არც ტირანად არის გაჩენილი და არც მონად, ის თავისუფლებისათვის არის დაბადებული. დავინახეთ, როგორ ამდებლებს ძალმომრეობა ადამიანის გონებას სამყაროს გამნათებელ ცეცხლიდან, მემპოხეთა დამსჯელ კოცონამდე.

თეატრს, ისევე, როგორც საერთოდ ხელოვნებას, სათქმელი უნდა ჰქონდეს, საზოგადოებრივად აუცილებელი, მნიშვნელოვანი, სათქმელი ბევრის მაგივრად, რომელიც შეიძლება გადმოიცეს არა მხოლოდ ქართული პიესებით, რომელიც ამ შემთხვევაში შეესატყვისება სათქმელს, იქცევა მის მხატვრულ ფორმად, ტყუილად კი არ უწოდებენ შექსპირს-ფრანგული თეატრის დონორს. სხვათაშორის, შექსპირმა ივანე მაჩაბელის გენიალური თარგმნის წყალობით, ქართული თეატრისათვისაც დონორის როლი შეასრულა. მაგრამ რამდენად დიდი ბედნიერებაა, როდესაც თეატრი თავის სათქმელს ეროვნული დრამატურგის საშუალებით გადმოცემს! ამიტომაც, ვისაც ჩვენი თეატრის სიკეთე უნდა, იმან უფრო მეტი უნდა იფიქროს ქართულ დრამატურგიაზე, უნდა ითქვას, რომ მწერალთა კავშირი, რომელსაც უველაზე მეტად ევალება ამაზე ზრუნვა, თითქოს არაფერს აკეთებდა. ჭერჭერობით ასეა, ვნახოთ რა იქნება მომავალში, ყოველ შემთხვევაში, უმოქმედობა ნამდვილად აღარ შეიძლება. პირველი ნაბიჯი, რომელიც მწერალთა კავშირმა



ყრილობის სტუმრები:

თეატრალური კრიტიკოსი ნ. აბაღინი, მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე მ. აპოსტოლოვი, მოსკოვის ნ. გოგოლის სახ. თეატრის მთავარი რეჟისორი ბ. გოლუბოვსკი, ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტი მუსინ შახანდ

გადადგა ამ მხრივ, იყო ახალგაზრდა დრამატურგთა რესპუბლიკური სემინარი, სოხუმში, რომ გაიშარა.

აქვე მინდა მაღლობა მოვახსენო თეატრალურ საზოგადოებას, საქმიანი მხარდაჭერისათვის, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ სემინარის შედეგი რამდენიმე წლის მერე — სასიკეთოდ იჩენს თავს. ამასთანავე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, მხოლოდ თეატრალური საზოგადოების პატარა გამოცემლობაში იბეჭდება დღეს დრამატურგთა წიგნები, ესეც ეროვნული დრამატურგიის დიდი მხარდაჭერაა. არ შეიძლება მაღლობის გრძნობით არ მოვიხსენიოთ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის მეტად ნაყოფიერი მუშაობა.

დრამატურგიას ქალივთ ორი სახლი აქვს — მამისა — მწერლობა და ქმრისა — თეატრი. თუ ქალმა დაიყინა, ქმრის სახლს მამაჩემის სახლი მიჩვენებია, რა თქმა უნდა, უკან გამოაბრუნებენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჭრჭერობით ჩვენს დრამატურგიას თეატრში ისე უნდა შევიდეს, რომ არაფერი ეცხოს თეატრისა. ამიტომაცაა, რომ ტროსს ცხენის როლს უფრო ასრულებს თეატრში, ვიდრე ღირსეული პარტიორისა. რა თქმა უნდა, ცოტათი ვამუქებ საქმის ვითარებას, მაგრამ ესეც იმიტომ მჭირდება, რომ ზოგიერთ დრამატურგს ვავაგონო: როგორმე უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ თეატრი ისეთივე დამოუკიდებელი სამყაროა, როგორც ლიტერატურა და ამავე დროს — ძალიან მკაცრი კანონები გააჩნია. დრამატურგი, უპირველეს ყოვლისა, ის მწერალია, რომელსაც თეატრიდან სწავლა შეუძლია.

სცენაზე არ არსებობს წარსული დრო, იქ რაც ხდება, ყველაფერი აღიქმება, აი ახლა ამ წუთის, ჩვენს თვალწინ მომხდარი ამბავი. თეატრი ისტორიას დღევანდელად აქცევს და თუ ეს არ ხდება, ის ცუდი თეატრია. ამდენად, თეატრისათვის ის დრამატურგიაა ყოველთვის აქტუალური, რომელიც კეთილშობილური პოეზიითაა აღბეჭდილი, ანუ რომელსაც შეუძლია თვითუფლები ადამიანის ცხოვრება კაცობრიობის დიად ზვედრს დაუკავშიროს.

დრამატურგს უნდა ახსოვდეს, ისიც, რომ თეატრი მაყურებელს კი არ ზრდის, არამედ ადამიანს, რომელსაც აქვს საკუთარი შეხედულება ყველაფერზე, აქვს საკუთარი ნება.

აი, ცნობილი მსახიობი მიხეილ ულიანოვი ფიქრობს, რომ „დაპროგრამებული ადამიანი არაინდივიდუალურია და საზოგადოება მისგან ვერაფერს მიიღებს“-ო.

ყველაფერი ეს დრამატურგს უნდა ახსოვდეს, მაგრამ თავის მხრივ თეატრსაც უნდა ახსოვდეს, რომ დრამატურგია მწერლობაა, რომ ეს სცენარი არ გახლავთ, რომლის შესაკოწიწებლად საკმარისია მაკრატელი და წებო, მხო-

ლოდ ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე შეიძლება შეიქმნას ნამდვილი ნაწარმოები.

რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნება, თუკი დრამატურგიის ჩამორჩენის მიზეზებს დრამატურგთა ნაწარმოებებში დავუწიებთ ძებნას და არა თეატრში, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ თეატრს დრამატურგიის განვითარებისათვის დიდი როლის შესრულება შეუძლია. ჩვენ გვაიწყებება, რომ მსოფლიოს საუკეთესო თეატრები ამაყობენ, მე ვიტყვოდი, ტრაბახობენ იმ დრამატურგებით, რომლებიც მათ აღმოაჩინეს, მხარი დაუჭირეს, დაიმეგობრეს. ჩვენში კი ვერცერთი თეატრი ამით თავს ვერ მოიწონებს. შეიძლება ჩვენი ზოგიერთი ნაკლის საფუძველი ამაშიც იმალებოდეს. ზოგიერთი ჩვენი თეატრმცოდნე ირწმუნება, — თეატრმა დრამატურგიას გაუსწრო. მაპატიონ ჩვენმა თეატრმცოდნეებმა, მე მათ პატივს ვცემ, მაგრამ ისინი დღეს ერთს ირწმუნებიან და ხვალ მეორეს. თუ ზოგადად შევხედავთ ამას, ეს არ შეიძლება მოხდეს. მე, საერთოდ, ვერც კი წარმომიდგენია თეატრალური ფორმა, რომელიც როდესმე გაუსწრებს შექსპირის პოეტურ სიტყვას, ნეტავი რა გუნებაზე იყო ის დიდი ინგლისელი, როცა თავის მიერ დაწერილ ფრაზას ან თითონ წარმოსთქვამდა, ან სხვისგან ისმენდა „გლობუსის“ სცენაზე!

თუ კი კონკრეტულად ჩვენს დრამატურგიასა და თეატრს დავუპირისპირებთ, მანაც ჩემის აზრით, საკითხის ასე „სპორტულად“ დაყენება არაფერს მოგვცემს. ეს მეტად რთული საკითხია, ჩემის აზრით აქ ის კი არ არის მთავარი, თუ ვინ ვის უსწრებს, არამედ ის, თუ რატომ გაჩნდა ასეთი დაპირისპირების სურვილი. ამის მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ დრამატურგია ჩვენში, საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რამდენადაც დრამის მკეთებლები დაეპატრონენ მას და არა პოეტები ანუ შემოქმედები. დროა საერთოდ შეიცვალოს დამოკიდებულება დრამატურგიის მიმართ, დროა მწერლობის ამ დარგს აღვუდგინოთ თავისი უფლებები, ვიზრუნოთ მის დამბეჭდვაზე, წიგნად გამოცემაზე. როგორც უკვე მოვახსენეთ, მხოლოდ თეატრალური საზოგადოების გამოცემლობა ბეჭდავს დრამატურგთა კრებულებს. ეს ბუნებრივიცაა, მართლაც ვინ უნდა უპატრონოს პიესას, თუ არა თეატრმა, როცა მას მწერლობა არ პატრონობს? ჩემის აზრით, კარგი იქნება, თუკი სხვა ლიტერატურას მძლავრ გამოცემლობას დავუთმობთ, თითონ კი ამ კეთილშობილურ საქმეს მოეკიდება მთლიანად. ეს საშუალებას მოგვცემს დავაარსოთ დრამატურგიის ყოველწლიური აღმანახიც.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თეატრალური საზოგადოება უკვე ასი წლის გახდა,

ვიცი ეს თარიღი მალე შეიშთაც აღინიშნება, მხოლოდ იმას ვიტყვოდი, რომ დღეს ვიხსენებთ რა საუკეთესო წინანდელ პირველ ნაბიჯებს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების არცერთ გზაზე არ ყოფილა გაუგებრობის ჯებირი უფრო მაღალი, გულგრილობის უფსკრული უფრო ღრმა და დაუნდობლობის მახვილი უფრო ბასრი, ვიდრე აქ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსება მაშინ, როდესაც იმედის ნატამალიც კი არ ბუუტავდა ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევისა და თავისუფლებისა — იყო უზარმაზარი რწმენის ღოდის მოკიდება მომავლის აღმართში ასატანად, ამას კი აგიოგრაფიული წმინდანის სიკერპე და სულის ძალა სჭირდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენში იყვნენ ადამიანები, რომელთაც აღმოაჩნდათ ეს ძალა, ანუ აღმოაჩნდათ უნარი მომავლის ოცნებით განქვრეტისა, ოცნებისა, რომელიც თუნდაც ჩვენს დღევანდელ შეკრებას გულისხმობდა. ამიტომაც, კიდევ ერთხელ უღრმესი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ვახსენოთ სახელები ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, სახელები მათი თანამებრძოლებისა, ანუ მათი, ვისი თაოსნობითაც შეიქმნა ჩვენი თეატრალური საზოგადოება, კიდევ ერთხელ მოვიხაროთ ქედი დიდი ქართული მწერლობის წინაშე, დიდი ქართული თეატრის წინაშე, ქართული მწერლობისა და თეატრის დიდი შეგობრობის წინაშე!..

სიტყვა ეძლევა რუსთაველის თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს რიზბერტ სტუარტს.

ჩემი გამოსვლა, — ამბობს იგი, — აღ-

ბათ, ძალიან მოკლე იქნება. თქვენ მოგეხსენებათ, რა რთულ მდგომარეობაში ვართ ახლა ჩვენ, თითქმის ისეთივე მდგომარეობაში, როგორც იყვნენ ბატონი დოდო და მისი თანამშრომლები, როცა აშაადებდნენ ამ ყრილობას.

თქვენ იცით, რომ 30 ოქტომბერს ტარდება ჩვენი იუბილე, და გამოუსვლელია არ შემძლო, რადგან ტყუპის ცალი ვართ თეატრალური საზოგადოების, რადგან ერთად დავიბადეთ, ერთად შევიქმენით 100 წლის წინათ. ამიტომ ჩემს გამოსვლას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.


ადამიანის ცხოვრებაში წლების მომატება საზეიმო ფაქტი არ არის, მაგრამ როცა საქმე ეხება დაწესებულებას, ხანდაზმულობა ძალიან საპატიოა და გამოსვლისას საჭიროა საინტერესო სიტყვები, ვიდრე მე ვამბობ. ამიტომ მეორედ ვიხდი ბოდიშს.

ჩვენ ვეცდებით 30 ოქტომბერს გავიხსენოთ ჩვენი თეატრისა და თეატრალური საზოგადოების წარსული ფურცლები, რომელიც შეიცავს კარგ და ცუდ მხარეებს. შეიცავს ჩვენი თეატრის და თეატრალური საზოგადოების ცხოვრებას, შეიცავს ბედნიერ და მძიმე დღეებს. ჩვენ გავიხსენებთ ისეთ პერიოდს, როცა თეატრალური საზოგადოება კონფლიქტში იყო ჩვენს თეატრთან, რაც, აღბათ, იშტომ ხდებოდა, რომ თეატრი თეატრია და საზოგადოება საზოგადოებაა. ჩვენ უნდა გავუმლოთ კონფლიქტებს, რადგან მთავარი ისაა, რომ ჩვენ შორის არ მოხდეს შემოქმედებითი და საქმიანი კონფლიქტი.

ჩვენი თეატრი ამ იუბილეთი ამთავრებს გარკვეულ ეტაპს. ეს ჩვენი სურვილიც არის.

ჩვენ გვინდა მოვძებნოთ ახალი გზები, უფრო

მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების  
თავმჯდომარე მ. აბისტოლოვი, რესპუბლიკის  
სახალხო არტისტი ბ. კობახიძე.



ობიექტურად შევხედოთ ახალ პრობლემებს და შევქმნათ ახალი, შეიძლება არ გამოვიდეს, ეს ძნელი საქმეა.

მე ვუსურვებ ამ საზოგადოებას ძალების მოკრებას, რათა იმუშაოს ახალი მეთოდებით და ფორმებით, რადგან ჩვენ გვინდა, რომ მომავალში თეატრალური კულტურა უფრო კარგი იყოს.

ტრიზნაზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი თამაზ ჩხეიძე.

—სრულიად სხვადასხვა პრობლემები დგას რობერტ სტურუას, გოგი ქავთარაძისა და ჩემს წინაშე, — თქვა ორატორმა, — მაგრამ გ. ქავთარაძემ თავის გამოსვლაში დაახლოებით უკვე თქვა, რაც მე უნდა შეთქვა. ამიტომ ჩემს გამოსვლას სხვაგვარად ავაგებ.

ბატონმა დოდო აღექისიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ რამდენი ახალი ხელმძღვანელიც მოდის თეატრში, იმდენი ცვლილებები იწყება და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი თეატრიდან აღარაფერი დარჩებაო.

ეს ჩვენ თეატრზე არ ითქმის, იმიტომ, რომ ახალი სეზონი ჩვენ დავიწყეთ „ურიელ აკოსტაო“. თუ ეს იგივე სპექტაკლია, რაც წარსულში, იყო, სახელდობრ ისეთივე როგორც თავის დროზე დადგა კოტე მარჯანიშვილმა. ამაში გარკვევა გვჭირდება. ეს დადგმები, მე ვფიქრობ, კიდევ გადასახედია. იმიტომ, რომ ერთი და იგივე სპექტაკლი წლების განმავლობაში არ შეიძლება დარჩეს ერთი და იგივე სპექტაკლად. თეატრი ცოცხალი ორგანიზმია და არა სამუშეუშო ნიშუში, მას წლების განმავლობაში შეცვლა და განახლება სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევეცადეთ „ურიელ აკოსტა“ ისევე დავედგა, როგორც ის წინათ იყო დადგმული. კოტე მარჯანიშვილი, რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო, ის აუცილებლად ბევრ რაიმეს შეცვლიდა ამ სპექტაკლში და ახალ შემოქმედებით რელსებზე გადაიყვანდა მას. თუ ამ საფუძველზე დავდგებით, ბევრი რამ მართლაც გადასახედია ჩვენს შემოქმედებაში, იმიტომ, რომ დასი შესანიშნავია, მსახიობები შესანიშნავია, მაგრამ მთლიანად დასი ვერ დაიკვების შესანიშნავი სპექტაკლებით. თითქმის ასე იყო ადრე და ახლა იწყება ახალი ერა თეატრის შემოქმედებაში.

ცხადია, ახალმა ხელმძღვანელმა კრიტიკული თვლით უნდა შეხედოს თეატრის შემოქმედებას, სასარგებლო დატოვოს და უსარგებლო ჩამოიტოვოს. წარმოუდგენელია რა შედეგს მიიღებს მხოლოდ ტრადიციებს ჩამოხაუჭებული თეატრი?

თქვენ მოწმენი ხართ და იცით რა შესანიშნავი სპექტაკლები აქვს განხორციელებული რუსთაველის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს.

მაგრამ ვიდრე ასეთ წარმატებებს მიაღწევდა, იცით რა მტკიცნეული პროცესები გაიარა ამ თეატრმა. რუსთაველები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის რომ, რაც უინტერესო და მოძველებულია თავიდან მოიშორონ. შეიძლება გარკვეულ დროს არც ამ თეატრში კეთდებოდა ყველაფერი სწორად და მოსაწონად, მაგრამ რადგან თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, მან თავის შემოქმედებით პროცესში შექმნა ახლა უკვე ბევრი საინტერესო რამ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს უნდა აღმოაჩნდეს ეს უნარი.

ყველაზე მთავარი, რასაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება, ეს ის არის, რომ მარჯანიშვილის თეატრი აპირებს ეროვნულ საფუძვლებზე იდგეს. მე მხოლოდ დეკემბრის ბოლოდან ვარ ამ თეატრში და რაც ამის შემდეგ გამოვიდა, ქართულ პიესაზე იყო შექმნილი, თუმცა ყველა პიესა ხარისხიანი არ არის და სასურველია დაიდგას ხარისხიანი პიესები.

ჩვენ ვიცით, რომ დღეი კამათი იყო და გამოხმაურება ჰქონდა როსებას პიესას. იგი ერთბაშად არ იყო მიღებული. ზოგიერთი თვლის, რომ იგი ნიჭიერი დრამატურგია, ზოგი თვლის, რომ მიუღებელია მისი თამაში. ჩვენ თეატრში მიდის ორი პიესა — „პრემიერა“ და „პროვინციული ამბავი“. შეიძლება გარკვეულწილად თვითონ როსება იძლევა ამის უფლებას, ის ჩაეცთოს არის თავის სფეროში, მაგრამ მას აქვს ორი პიესა, რომელიც საინტერესოა, უბრალოდ, ჩვენ არ შეგვიძლია მისი სამსახში პიესა ვდგათ. ეს თეატრი როსებას სახელობისა არ არის. არის ასეთი აზრიც — ნუთუ კოლსტოის როსებას დახმარება სჭირდებაო. არავითარი დახმარება. როსებამ გააყეთა „ანა კარენინას“ ინსცენირება. ეს თეატრს სჭირდება.

ლიტერატურული მასალა, დრამატურგია, რომელიც როსებამ შექმნა, საინტერესოა, თუ არ დააკვირდებით, გარკვევა გაგიჭირდებთ. მე გამიჭირდა იმ ადგილის მოძებნა და გარკვევა, რომელი არის როსებასი და რომელია კოლსტოის, ისე ნიჭიერად არის დაწერილი.

და ბოლოს, ვინაიდან დღეს ერთგვარად საიუბილეო განწყობილება — საზოგადოების ასიწლიც თავია და რუსთაველის თეატრის საუკუნოვანი იუბილე მოდის, ერთი სურვილი მინდა გამოვთქვა, — სანამ ჩვენ გვექნება უნარი იმისა, რომ საკუთარ თავში აღმოვაჩინოთ ყოველგვარი შეცდომა და არავის არ დავაბრალოთ მიზეზები, მე მგონი, გაცილებით უკეთესად წავა საქმე.

სიტყვა ეძლევა საქ. კვ. ახალციხის რაიკომის პირველ მდივანს მერაბ ჭაჭაბავს. ახალციხის თეატრს შორეული ისტორია აქვს. მალე ასი წელი შესრულდება, მას შემდეგ რაც

ჩვენს ქალაქში პირველი სპექტაკლი იქნა წარ-  
მოდგენილი — ამბოხის ორატორი.

მას შემდეგ განვლილი საუკუნე უდიდესი  
ქართველებით იყო აღსავსე. ისეთ პირობებში  
თეატრალურ ხელოვნებას ფართო განვითარება  
არ ეწეოდა. აი ახლა, ქართული თეატრის საერ-  
თო აღმავლობის პერიოდში ჩვენ მოწმენი ვხედ-  
ვით მესხეთში თეატრალური ცხოვრების სრულ-  
ბით განახლებისა.

1967 წელს თეატრალური ინსტიტუტის კურს-  
დამთავრებულთა ჯგუფი, რეჟისორ ნანა დემეტ-  
რაშვილის თაოსნობით ეწვია მესხეთს და დიდი  
გზნებით, გატაცებით, თავდადებით შეუდგა მუ-  
შაობას.

უქვევლია, რომ თეატრის დასს ჰქონდა საკუ-  
თარი ძალების მოსინჯვის, სირთულეების და-  
ძლევის ხანა, რომელსაც უმტივიწეულოდ არ  
ჩაუვლია, მაგრამ ამ ტკივილში იბადებოდა რწმე-  
ნაც, იმედიც, იბადებოდა ძიების უნიც და,  
აღბათ, ყუვილივე ამან განაპირობა თეატრის  
შემდგომი თვალსაჩინო წარმატება, რაც 1971  
წელს საქართველოს კომკავშირის პრემიით აღი-  
ნიშნა. მინდა ხაზგასმით ავლენიშნო, რომ თეატ-  
რის არსებობა მესხეთში — ეს უბრალო, გენე-  
ბავთ, ჩვეულებრივი მოვლენა არაა! იგი თავისი  
მიზანდასახული სპექტაკლებით დიდ განმანათ-  
ლებლურ როლს ასრულებს მრავალ ქირ-ვარამ  
გადატანილი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ჩვე-  
ნი სახელმწიფო თეატრი ამ 15 წლის მანძილზე  
გადაიქცა ამ მხარის კულტურული ცხოვრების  
ცენტრად. ამის თეატრმა მიაღწია უკვე ტრადი-  
ციადქცეული საგასტროლო მოგზაურობებით  
რაიონის სოფლებში, და არა მარტო ჩვენი რაი-  
ონის სოფლებში. საქართველოს თითქმის არც  
ერთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც მას თაყვა-  
ნისმცემლები არ გაეჩინოს. მესხეთის თეატრს  
დიდ თანაგრძნობას უწევს ჩვენი საზოგადოებ-  
რიობაც, თეატრის საქიროებაზე დაულალოვად  
ზარუნავს რაიკომიც და სახალხო დეპუტატების  
რაიადმასკომიც.

ასეთი ყურადღების შედეგია, რომ 1975 წელს  
თეატრს გადაეცა შესანიშნავი შენობა, რომ  
მსახიობთა თუ თეატრის სხვა მომსახურე პერ-  
სონალის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილე-  
ბის საქმეში არასოდეს ყოფილა შეფერხება.  
სიამოვნებით შემიძლია განვაცხადო, რომ მსახი-  
ობს, რომელმაც ამა წლის სექტემბერში შემო-  
დგა მესხეთის მიწაში ფეხი და თეატრის დასის  
წევრი გახდა, დღეს, თეატრალური საზოგადოე-  
ბის ყრილობასთან დაკავშირებით, მიენიჭება სი-  
ხარული ბინის ორდერის მიღებით.

ის მსახიობები, რომლებიც წამოვიდნენ თე-  
ატრიდან, და სურვილი აქვთ ისევ ჩვენთან და-  
ბრუნდნენ, მიიღებენ ბინას, მიწის ნაკვეთსა  
და მანქანას რიგგარეშე.

მესხეთის თეატრმა ბევრი ურთულესი პრობ-  
ლემა გადაჭრა არსებობის მანძილზე. მის წინაშე  
ახლაც დგას ზოგიერთი მათგანი: ასეთია —  
ახალგაზრდა მსახიობთა ნაკლებობა. ეს ამოცანა  
დადებითად გადაწყდება, რადგან რუსთაველის  
სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, სადაც  
ჩვენი ჭაბუკებისათვის და ქალიშვილებისათვის  
შექმნილია სამსახიობო ჯგუფი, უახლოეს მომავ-  
ალში მათ გზას დაულოცავს მესხეთისაკენ.

სხვა ტკივილიც აწუხებს თეატრს, წლების  
განმავლობაში შეტატი გათვალისწინებული 2  
რეჟისორის ნაცვლად თეატრს მხოლოდ ერთი  
რეჟისორი ემსახურება, კარგი იქნება თუ თეატ-  
რალური ინსტიტუტი ამ საქმეშიც გამოავიწე-  
დის მეგობრულ ხელს და დაგვეხმარება სარე-  
ჟისორო ფაკულტეტზე აღგილობრივი კადრების  
მომზადებით. ასევე სიძნელეს განვიცდით პრო-  
ფესიული მხატვრის არყოფნით.

მესხებს გული სტიკივთ, — ამბობს, —  
ორატორი, — იმის გამო, რომ იშვიათად მოდიან  
იქ ჩვენი დედაქალაქის პროფესიული დასები.

ამხ. ქაჯია ყრილობას გადასცემს ახალციხის  
რაიონის მშრომელთა საერთო სურვილს — ქარ-  
თული თეატრის დღე მომავალი წლის 14  
იანვარს ახალციხეში ჩატარდეს, რაც ემთხვევა  
მესხეთის თეატრის დაარსების 105 და აღდგენის  
15 წლისთავს. ახალციხელთა ამ სურვილს ყრი-  
ლობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის  
საოლქო კომიტეტის აგტაციისა და პროპაგან-  
დის განყოფილების გამგე ვ. ბუშაბაძე რაპა-  
რაკობს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვან მო-  
მენტში შეიკრება საქართველოს თეატრალური  
საზოგადოების ყრილობა. აღნიშნავს მიმდინარე  
წლის მნიშვნელოვან მოვლენებს, სკკ და  
საქართველოს კომპარტიათა XXVI ყრილობების  
კეთილისმოყველ გავლენას ჩვენი ხალხების  
ცხოვრებაზე. შემდეგ იგი ამბობს:

— მხატვრული კულტურის განვითარებაზე, სა-  
ერთოდ, და მათ შორის თეატრალურ ხელოვნე-  
ბაზე ძალზე კეთილისმოყველი გავლენა იქო-  
ნიეს იმ გარდაქმნებმა, რომელიც ჩვენს რეს-  
პუბლიკაში დაიწყო სკკ ცენტრალური კომიტე-  
ტის დადგენილების მეოხებით, დადგენილებისა,  
საქართველოს კ პ თბილისის საქალაქო კომიტე-  
ტის მუშაობას რომ ეხებოდა. ამ დადგენილების  
შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლურმა კომიტეტმა მიიღო ზომები, რომ საზო-  
გადოებაში შექმნილიყო ჯანსაღი მორალურ-  
პოლიტიკური ატმოსფერო, ატმოსფერო, რომე-  
ლიც ხელს შეუწყობდა საქმიანი, ამხანაგური  
ურთიერთობების, ადამიანისადმი პატივისცემის  
განწყობილების შექმნას.

აქედან გამომდინარე პარტიის სამხრეთ ოსე-  
თის საოლქო კომიტეტმა მთლიანად გარდაქმნა

თავისი მუშაობა და შეუწელებელ ყურადღებას უთმობს კულტურის შემდგომ განვითარებას.

ოსური თეატრის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს რუსული და ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციებმა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პირველი ოსური სპექტაკლი გაიმართა თბილისში სასტუმრო „ვეტცელების“ შენობაში 1906 წელს. ეს დრამწერ შედგენილი იყო ოს ინტელიგენტთა და მშრომელთა მიერ. იმ საღამოს შესრულდა ოსური ლიტერატურის კლასიკოსის ბრიტაევის ორი ერთმოქმედებიანი პიესა. თბილისის მაშინდელი საზოგადოებრიობა განსაკუთრებული გულისყურით მოეცა ოსური დრამატული წრის შექმნისა და მისი პირველი წარმოდგენის ფაქტს. იგი სამართლიანად მიიჩნეოდა, რომ ეს წარმოდგენები საფუძვლად დასდებოდა ოსური ეროვნული თეატრის ჩამოყალიბებას.

თავისი შექმნის პირველსავე დღიდან ოსური თეატრი ესწრაფოდა ხალხთან კავშირს, სიახლოვეს ქართულ თეატრალურ კულტურასთან, რომელიც მუდამ დიდ დახმარებას უწევდა და ახლაც უწევს მას. ჩვენი ოლქის საზოგადოებრიობამ, მისმა შემოქმედებებმა ინტელიგენციამ კარგად იცის ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელები, რომლებიც ავლენდნენ და ავლენებრა საბჭოთა ინტერნაციონალიზმს, უდიდეს სამსახურს უწევდნენ და უწევენ ოსურ თეატრალურ ხელოვნებას, ესენია: სანდრო ახმეტელი, ირაკლი გამრეკელი, აკაკი ხორავა, არჩილ ჩხარტიშვილი, დიმიტრი ალექსიძე, დიმიტრი ჭანელიძე.

საოლქო კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კადრების მომზადების საკითხს. იყო დრო, როცა ჩვენი თეატრის ოსური დასი სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა, რადგან არა ჰყავდა მთავარი რეჟისორი, ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ დასი ვერ მუშაობდა ახალ სპექტაკლებზე. ახლა ყველაფერი ეს გამოსწორებულია უფრო მეტიც — ჩვენ გავითვალისწინეთ თეატრის განვითარების პერსპექტივები და სამი მსახიობი, რომლებიც რეჟისურისაკენ მისწრაფებას ავლენდნენ, გვაგზავნეთ რეჟისორის პროფესიის დასაუფლებლად — ერთი უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე, ორი შ. რუსთაველის სახ. თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს კულტურის სამინისტროს.

ამხ. დიმიტრი ალექსიძის მოხსენებაში სამართლიანად იყო საუბარი იმაზე, რომ ცხინვალს ჩამოსული ახალგაზრდა მსახიობთა ჩინებული ჯგუფი დაიშალა. ახლა ამ ჯგუფის წევრები სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ. სამართლიანად გავაკრიტიკეს საანგარიშო მოხსენებაში,

მაგრამ ისიც უნდა გაუწყოთ, რომ ამ საკითხზე იმსჯელა საოლქო კომიტეტმა და უახლოეს ორ თვეში მდგომარეობა გამოსწორდება.

სიტყვა ეძლევა საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარეს ეთიმერ კონდონიძეს. იგი ამბობს:

— უდიდესი ბედნიერება ხვდათ წილად ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ მოღვაწეებს, — საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა ტარდება საბჭოთა ხალხის, განსაკუთრებით კი, ჩვენი რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან საზეიმო წელიწადს.

რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა სკკპ XXVI ყრილობა. ერთი თვით ადრე ჩატარდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა. დღეს ყველას თვალწინ გვიდგას ის დიდი დღესასწაულები, რომელიც მოეწყო საქართველოს კომპარტიის შექმნისა და საბჭოთა საქართველოს 60 წელთან დაკავშირებით, ამას მოჰყვა საბჭოთა აფხაზეთის 60 წლისთავი.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის, მშვიდობის სადარაჯოზე მდგომი კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის უმთავრესი ამოცანა იყო ზრუნვა ადამიანის ბედნიერებისათვის, რადგან ყველა აქტუალურ საკითხს, მკაფიოდ დასმულ ყველა ამოცანას, ცხოვრების რომელ სფეროშიც არ უნდა ეხებოდნენ ისინი, აერთიანებდა ერთი მთავარი რამ — ზრუნვა ადამიანისათვის.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი კომუნისტური იდეალების უმთავრესი დასაყრდენი, უდიდესი ღირებულება არის ადამიანი.

აი რატომაა, რომ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი ასეთი გულითადობით მიიღო ჩვენმა ხალხმა. ეს გადაწყვეტილებანი პასუხობენ ჩვენი საზოგადოების ძირეულ ინტერესებს.

ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების წყაროს მისი უდიდესი ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, ერთგულმა ლენინელმა, მედგარმა კომუნისტმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელიც თავად გვაძლევს უმაღლესი ინტერნაციონალიზმის მაგალითს, თავის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, „ინტერნაციონალიზმი მხოლოდ ხალხთა ურთიერთობის პირობებში ვითარდება და მტკიცდება“.

ახლა ჩვენში კილითკიდემდე გაისმის ფრთიანი სიტყვა „ძმავ, ძმითა ხარ ძლიერი“. ძმათა სიყვარულის ეს ბრძნული ანდერძი აყალიბებს ხალხების სულს, ამრავლებს ადამიანურ სიკეთეს, მშვიდობისმოყვარეობას.

საბჭოთა ხალხის ურთიერთდახმარების ინტე-



რწაცონალური პოლიტიკა საუკეთესოდ გამოვლინდა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აფხაზეთის თაობაზე. ეს დადგენილება შეეხო ჩვენი ცხოვრების ყოველ ასპექტს.

მეტად სასიხარულოა და მნიშვნელოვანი ეროვნული თეატრების წარმატებანი.

ამასწინათ, აფხაზეთის საზოგადოებრიობამ აღნიშნა თავისი ეროვნული თეატრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ახლა თეატრს „საპატიო ნიშნის“ ორდენი ამშვენებს. დღეს უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ თეატრის შემოქმედებითი პოტენციალის ზრდაზე. მას ხელეწიფება დადასტოვორც „ვიი ჭკუსიგან“ აღ. გრიბოედოვისა, ისე „მაკბეტი“ შექსპირისა, „თეთრი ბაირადები“ ნოდარ დუმბაძისა და აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსთა დიმატრი გულიას, მიხეილ ლაქერბაის, სამსონ ჭანბას და სხვათა ნაწარმოებები.

რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში დიდად მნიშვნელოვანი გამოდგა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მიხედვით „აღორძინების“ დადგმა. ეს არის ნაწარმოები, რომელიც აღსავსება საბჭოთა ადამიანების სიმამაცის გამოუმხატველი პასუებით.

აფხაზურმა თეატრმა კარგად ჩააბარა გამოც-

და და ამაში დიდია რესპუბლიკის სახალხო არტისტების აზიზ აგრბას, ნურბეი კამკიას, შარბ ფაჩლიას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტების სოფიო აგუმბას, ა. ერმილოვის, ვიოლეტა მანის, ომარ ლაგვილავას და სხვათა წვლილი.

ნყოფიერ „საინტერესო მუშაობას ეწევა სოხუმის ქართული სახელმწიფო თეატრი. მის სცენაზე ჩინებული განხორციელება ჰპოვეს ისეთმა ნაწარმოებებმა, როგორცა თამაზ ჭილაძის „ანო“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“, ლ. ტოლსტოის „კავკასიაში“.

ქართული თეატრის ცხოვრებაში საინტერესო მოვლენად იქცა მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით განხორციელებული „ახალგაზრდა გვარდიელთა ბალადა“, რომლის ინსცენირებაც და დადგმაც ეკუთვნის იური კაკულიას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება თავის მთავარ ამოცანად მიიჩნევს ზრუნვას თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის, ხალხისა და თეატრის დაახლოებისათვის, სწორედ ამ მიზნით, ამ მიმართებით ვაწუხოთ შეხვედრებს „სოხუმელ-ხელსაწყო“ მუშებთან, თუ ტყვარჩიელ მუშებლებთან, სოჭის რაიონის ქართული სოფლის



ყრილობის სტუმრები და დელეგატები, მარცხნიდან მარჯვნივ: ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი შიხ. ზილოვი, მ. აპოსტოლოვი, რესპ. სახ. არტიტი გ. გეგეჭკორი, პროფესორი ნ. ურუშაძე, თეატრალური კრიტიკოსები ელ. კრასნოვსკაია, ბ. პოიუროვსკი.

პლასტუნკას მშრომელებთან, თუ გალელ კოლ-  
მეურნეებთან, ეს შეხვედრები, როგორც წესი,  
თეატრის მოღვაწეთა და მასუბრებელთა დიდ  
დღესასწაულად გადაიქცევა ხოლმე.

დღითიდღე იზრდება ჩვენი საქმიანობის მას-  
შტაბები, დღითიდღე ფართოვდება მისი არე-  
განყოფილების მუშაობის შემდგომი გაუმჯო-  
ბესების მიზნით საქ. კა აფხაზეთის საოლქო  
კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოხუმში  
„მსახიობის სახლის“ გახსნის თაობაზე. ახლა  
განხილვის პროცესშია საწარმოო კომბინატის  
ჩამოყალიბების საკითხი.

ცხადია, ყველა ამ საკითხის დადებითი გადაწ-  
ვება კიდევ უფრო გააუმჯობესებს განყოფი-  
ლების მუშაობას, მისცემს მას საშუალებას უფ-  
რო ფართოდ გაშალოს მხრები, აქტიურად იბრ-  
ძოლოს თეატრალური ხელოვნების დონის ამაღ-  
ლებისათვის.

არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა თე-  
ატრალური საზოგადოების წესდების ჩამატება-  
თა თაობაზე. ყველა ეს პუნქტი ხელს შეუწყობს  
ჩვენს მუშაობას, მე მინდა განსაკუთრებით გა-  
მოვეყუ პუნქტ, რომელიც აღიარებს არჩევნებს  
დია კენჭისყრით, ეს გარემოება კიდევ უფრო  
ზრდის საზოგადოების წევრთა პასუხისმგებლო-  
ბასა და ნდობას. ასეთი ნდობა აამაღლებს ჩვე-  
ნი მუშაობის დონეს.

სხდომის თავმჯდომარე დ. ალექსიძე დღე-  
გატებს აცნობს საქართველოს თეატრალური  
საზოგადოების IX ყრილობაზე ჩამოსულ სტუმ-  
რებს. საქართველოს თეატრალური საზოგადოე-  
ბის ყრილობას ეწვივნენ:

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე აბალკინი —  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რსფსრ თე-  
ატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მო-  
ადგილე, მიხეილ სირბაის ძე ზილოვი — ხე-  
ლოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, გორის  
გაბრიელის ძე გოლუბოვსკი — რსფსრ სა-  
ხალხო არტისტი, რსფსრ სახელმწიფო პრემიის  
ლაურეატი, მოსკოვის ნ. გოგოლის სახ. სახელ-  
მწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი, ალექსან-  
დრე ლომენიძის ძე დიკინი — ამავე თეატ-  
რის დირექტორი, გორის მიხეილის ძე პრი-  
შროვსკი — თეატრალური კრიტიკოსი, ელ-  
მონოზ მათას ასული კრანოვსკაია —  
თეატრმცოდნე, აპქსანტი გამსახურია —  
საქ. ხელ. დამხ. მოღვაწე, მოსკოვის ნ. გოგო-  
ლის სახ. თეატრის რეჟისორი, რუზან სირბაის  
ძე ალამირჯიანი — რსფსრ სახალხო არტის-  
ტი, ლენინგრადის კომისარუევსკაიას სახ. სა-  
ხელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი, შამ-  
სი ბადლის ძე ბადლაზილი — აზერბაი-  
ჯანის სახალხო არტისტი, აზერბაიჯანის თეატ-  
რალური საზოგადოების თავმჯდომარე, რეჟიმ  
სიმილ ჯადე — აზერბაიჯანის „მეგობრობის“

თეატრის დირექტორი, რაჩია ნიპიტას ძე  
პაპლანიანი — სსრკ სახალხო არტისტი, სა-  
ხელმწიფო პრემიის ლაურეატი, სომხეთის თე-  
ატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ოლ-  
ღა იპაოვის ასული კუხენაძე — სსრკ სახ.  
არტისტი, უკრაინის თეატრალური საზოგადოე-  
ბის თავმჯდომარე, ვალერი ბრიგოლის ძე  
ბოლშაკი — მწერალი, უურნალი „უკრაინის  
თეატრის“ მთავარი რედაქტორი, რადიონი იპა-  
ნის ძე იანაოვსკი — სსრკ სახ. არტისტი  
(მინსკი), ლიდია ელუარდის ასული ვრემი-  
მანე-პასტერნაკი — სსრკ სახ. არტისტი, ლა-  
ტვიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდო-  
მარე, იანის აპუხსტის ძე რუხას — ლატვიის  
თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი  
განყოფილების გამგე, მეთოდო მასკიმის ძე  
პროსტოლოვი — მოლდავეთის სახ. არტისტი,  
მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების თავ-  
მჯდომარე, სარა აბელკაპანის ასული იუან-  
ტურავა — სსრკ სახ. არტისტი, უზბეკეთის  
თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე,  
მაქან რუხმანის ძე რუხმანოვი — ხელოვნე-  
ნებათმცოდნეობის დოქტორი, ტაშკენტის თეატ-  
რალური ინსტიტუტის რექტორი, ნურბი ხურ-  
მურადოვი — თურქმენეთის თეატრალური სა-  
ზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ელისა-  
ბედ პარავა — თურქმენეთის დამსახურებუ-  
ლი არტისტი, ნაჯირინ ვაზას-ძე აბდულაჰი  
— ტაჯიკეთის თეატრალური საზოგადოების თავ-  
მჯდომარის პირველი მოადგილე, მუსინ შახანი  
— ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
IX ყრილობას მიესალმნენ: ნ. აბალკინი, ო.  
კუხენაძე, ლ. ე. ვრემიმანე-პასტერნაკი, მ.  
რუხმანოვი, რ. პაპლანიანი, შ. ბადლაზი-  
ლი, შახან მუსიმი, ნურბი ნურმურატოვი,  
ნ. აბდულაჰი.

ყრილობაზე ვრცელი შეინარსიანი სიტყვა  
წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის მდივანმა აშხ. გურამ ენუ-  
შიძემ.

აშხ. გ. ენუშიძის სიტყვა დაიბეჭდება „თეატ-  
რალური მზომის“ მომდევნო ნომერში.

ყრილობამ აირჩია საქართველოს თეატრალური  
საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
ყრილობამ, დიდი აღზველობის ვითარებაში მი-  
სალმება გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტე-  
ტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს აშხა-  
ნაგ ლომენილ ილიას ძე ბრეჟნევს.

ყრილობამ საქართველოს თეატრალური საზო-  
გადოების განვლილი მუშაობა დამაკმაყოფი-  
ლებლად შეაფასა, აირჩია ახალი გამგეობა და  
სარევიზიო კომისია.

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების გე-9 ურილოგის მიერ არჩეული გაგებოების წევრები

აბესაძე გურამ ალექსანდრეს ძე  
 აგუმაა სოფიო ხარიტონის ასული  
 აზმაიფარაშვილი გივი ვასილის ძე  
 ალექსიძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე  
 ამამუყელი ელგუჯა დავითის ძე  
 ამამუყელი გიორგი პლატონის ძე  
 ამირანაშვილი მედეა პეტრეს ასული  
 ანდლულაძე ნოდარ დავითის ძე  
 ანჯაფარიძე ვერიკო ივლიანეს ასული  
 ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე  
 ახმეტელი მანანა შალვას ასული  
 ბათიაშვილი გურამ აბრამის ძე  
 ბარათაშვილი მარიკა გერვასის ასული  
 ბასილაშვილი ევგენი ლეონის ძე  
 ბელოუსოვა თამარ ვასილის ასული  
 ბოლქვაძე თინათინ ალექსის ასული  
 გაბრიაძე რევაზ ლევანის ძე  
 გაგნიძე ჭემალ ვლადიმერის ძე  
 გამრეკელი ია ბორისის ძე  
 გაწერელია შალვა ვლადიმერის ძე  
 გეგეჭკორი გიორგი ვლადიმერის ძე  
 გეწაძე აკაკი ისმაილის ძე  
 გვათუა იამზე შოთას ასული  
 გორდელი ოთარ მიხეილის ძე  
 გუგუშვილი ეთერი ნიკოლოზის ასული  
 გუნია გიორგი კონსტანტინეს ძე  
 გუნია ნონა ვალერიანის ასული  
 გურაბანიძე ნოდარ სარდიონის ძე  
 დემეტრაშვილი ნანა ალექსანდრეს ას.  
 დვალისვილი აკაკი არჩილის ძე  
 დუმბაძე ნოდარ ვლადიმერის ძე  
 ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე  
 ეგაძე ეთერი ოთარის ასული  
 ეკუტია ალექსანდრე პარმენის ძე  
 თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე  
 თავართქილაძე რევაზ პლატონის ძე

თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე  
 თოიძე ალექსანდრა მოსეს ასული  
 თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე  
 თუშიშვილი თამარ იაგორის ასული  
 თუხარელი ია ვახტანგის ასული  
 იაქაშვილი ვლადიმერ ილიას ძე  
 იაკაშვილი გაიოზ ილიას ძე  
 კაკულია იური სიმონის ძე  
 კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ასული  
 კვიციანიშვილი ზინაიდა ვასილის ას.  
 კიკნაძე ვასილ პავლეს ძე  
 კილოსანიძე შალვა მიხეილის ძე  
 კიტია ნოზრევეან ვალერიანეს ძე  
 კობახიძე ბადრი პეტრეს ძე  
 კობიძე შოთა მიხეილის ძე  
 კოვე ვალერი მიხეილის ძე  
 კოლონია ეთერი კონსტანტინეს ასული  
 ლაპიაშვილი ფარნაოზ გიორგის ძე  
 ლაფაჩი ნინო იოსების ასული  
 ლითანიშვილი ოთარ ანტონის ძე  
 ლოლაძე ვახტანგ ვიქტორის ძე  
 ლომთათიძე ლილი ნიკოლოზის ასული  
 ლორთქიფანიძე გიორგი დავითის ძე  
 ლორთქიფანიძე ნუგზარ ლევანის ძე  
 მალაზონია მამია ვლადიმერის ძე  
 მამაკაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე  
 მანჯგალაძე ეროსი აკაკის ძე  
 მაქსონაშვილი ილია შალვას ძე  
 მაჭავარიანი ალექსი დავითის ძე  
 მახარაძე კონსტანტინე ივანეს ძე  
 მახარაძე ავთანდილ ივანეს ძე  
 მეგრელიძე გუბაზ იოსების ძე  
 მელიძე გურამ თომას ძე  
 მესხიშვილი გიორგი ვლადიმერის ძე  
 მეღვინეთუხუცესი ოთარ ვახტანგის ძე  
 მინდიაშვილი უშანგი შალვას ძე

მირველოვი პავლე გრიგოლის ძე  
მირცხულავა ლევან გერმანეს ძე  
მონიავა ჯემალ გრიგოლის ძე  
მრეველიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე  
მჭედლიძე დიმიტრი სიმონის ძე  
ნინიკაშვილი კონსტანტინე გიორგის ძე  
ორჯონიკიძე გივი შიოს ძე  
პაპიტაშვილი ოთარ დავითის ძე  
პაქსაშვილი ლერი ვარლამის ძე  
პირველი შოთა მიხეილის ძე  
ჟორდანია გაიოზ ვუკოლის ძე  
სარჩიმელიძე გივი გიორგის ძე  
საყვარელიძე ტარიელ იოველის ძე  
სერგია გივი პროკოფის ძე  
სვანაძე ერემია ვლადიმერის ძე  
სტურუა რობერტ რობერტის ძე  
სხირტლაძე დიეგო გრიგოლის ძე  
ტორონჯაძე ნიკოლოზ (გივი) სიმონის ძე  
ტრაპაიძე ანზორ ალფეის ძე  
ურუშაძე ნათელა ამბერკის ასული  
ფანცულაია პაატა აპოლონის ძე  
ფაჩალია შარახ აბზაგის ძე  
ქავთარაძე გიორგი გიორგის ძე  
ქარელიშვილი ერემია დარჩოს ძე  
ქართველიშვილი ვახტანგ გიორგის ძე  
ქუთათელაძე ანზორ კონსტანტინეს ძე  
ღლონტი ლევან მიტროფანეს ძე  
ყანჩელი გია ალექსანდრეს ძე  
შალიკაშვილი ამირან ვალერიანის ძე  
შალუტაშვილი ნადია ნიკოლოზის ასული  
შალუტაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე  
შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე  
შვანგირაძე ნინო იასონის ასული  
ჩაბიევა ზელიხან მიხეილის ასული  
ჩალტიკიანი რომან კარპეს ძე  
ჩანტლაძე თენგიზ ვასილის ძე  
ჩაჩანიძე ნოდარ გრიგოლის ძე  
ჩახავა მედეა ვასილის ასული  
ჩიგოგიძე ვასილ კლავდიუსის ძე  
ჩხაიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე  
ჩხეიძე თემურ ნოდარის ძე  
ჩხეიძე რევაზ დავითის ძე  
ჩხიკვაძე რამაზ გრიგოლის ძე  
ცანავა იური გიორგის ძე  
ციციშვილი გიორგი შალვას ძე  
ძნელაძე გივი გრიგოლის ძე  
წულაძე ბიძინა პლატონის ძე  
წულუკიძე მარინა მიხეილის ასული  
წულუკიძე ანტონ გრიგოლის ძე  
ჭეიშვილი დიდმ ბიქტორის ძე  
ჭიაურელი სოფიკო მიხეილის ასული  
ჭილაძე თამაზ ივანეს ძე  
ჭყონია ლამარა გრიგოლის ასული  
ხობუა ია აკაკის ასული

ხინიკაძე მურად მემედის ძე  
ხუხაშვილი გიორგი მიხეილის ძე  
ჯანელიძე დიმიტრი სევასტის ძე  
ჯანელიძე თენგიზ იონას ძე  
ჯაფარიძე მედეა ვალერიანის ასული  
ჯაფარიძე გიგა შალვას ძე  
ჯინორია მურმან ვასილის ძე

**საქართველოს თეატრალური  
საზოგადოებრივ საარქივო  
კომისიის წევრები:**

აბრამიშვილი გიორგი იოსების ძე  
ბაღდავაძე მიხეილ რაფიელის ძე  
გოგოლაშვილი მარგო კონსტანტინეს ას.  
გოცირიძე ირინე ალექსანდრეს ასული  
დოლიძე ვალერიან სერგოს ძე  
კორტავა დიმიტრი ვარლამის ძე  
ნინიძე ვიქტორ ვიქტორის ძე (თავმჯდომარე)

ქემაშვილი კახი გიორგის ძე  
შანიძე აკაკი ემელიანეს ძე  
ცხადაძე გერვასი ალექსანდრეს ძე  
ჭედია ალექსანდრე ნესტორის ძე  
ჭილაძე ნესტორ ეზეკის ძე  
ხერხეულიძე შალვა ნიკოლოზის ძე

## საქართველოს თეატრალური საზოგადოებრივი პლენუმი

**ამავე** დღეს შედგა ახლად არჩეული გამგეობის პლენუმი, რომელმაც საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **დიმიტრი ალექსიძე**, გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ოთარ ევაძე**, მდივნად — **კოტე ნინიაშვილი** და პრეზიდიუმის შემადგენლობა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. გ. ნ. ენუქიძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ამხ. ნ. შ. ჯანბერიძე**.

მირცხულავა ლევან გერმანეს ძე,  
მჭედლიძე დიმიტრი სიმონის ძე,  
ნინიკაშვილი კონსტანტინე გიორგის ძე,  
პაპიტაშვილი ოთარ დავითის ძე,  
ჟორდანიას გაიოზ ვუკოლის ძე,  
სტურუა რობერტ რობერტის ძე,  
ტორონჯაძე გივი სიმონის ძე,  
ქავთარაძე გიორგი გიორგის ძე,  
ქუთათელიძე ანზორ კონსტანტინეს ძე,  
შალუტაშვილი ნადია ნიკოლოზის ას.  
შვანგირაძე ნინო იასონის ასული,  
ჩაბიევა ზელიხან მიხეილის ასული,  
ჩხაიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე,  
ჩხეიძე თემურ ნოდარის ძე,  
ჩხიკვაძე რამაზ გრიგოლის ძე,  
ჭეიშვილი დიდიმ ვიქტორის ძე,  
ჭილაძე თამაზ ივანეს ძე,  
ჯანელიძე დიმიტრი სევასტის ძე,  
ჯინორია მურმან ვასილის ძე.

## საკავშირო კომისიის სხდომა

### საქართველოს თეატრალური საზოგადოებრივი პრეზიდიუმის წევრები:

ალექსიძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე,  
ანჯაფარიძე ვერიკო ივლიანეს ასული,  
ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე,  
ბელოუსოვა თამარ ვასილის ასული,  
გამრეკელი ია ბორისის ძე,  
გეგეჭკორი გიორგი ვლადიმერის ძე,  
გვათუა იამზე შოთას ასული,  
გუგუშვილი ეთერი ნიკოლოზის ასული,  
გუნია გიორგი კონსტანტინეს ძე,  
გურაბანიძე ნოდარ სარდიონის ძე,  
ევაძე ოთარ ნიკოლოზის ძე,  
თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე,  
იაქაშვილი ვლადიმერ ილიას ძე,  
კიკნაძე ვასილ პავლეს ძე,  
კიტია ნოშრევან ვალერიანის ძე,  
კობახიძე ბადრი პეტრეს ძე,  
კოლონია ეთერი კონსტანტინეს ასული,  
ლორთქიფანიძე გიორგი დავითის ძე,  
მანჯავლაძე ეროსი აკაკის ძე,  
მახარაძე კონსტანტინე ივანეს ძე,  
მელვინეთუხუცესი ოთარ ვახტანგის ძე,  
მირველოვი პავლე გიორგის ძე,

ამავე დღეს შედგა ყრილობის მიერ ახლადარჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელმაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის მსახიობი **ვიქტორ ვიქტორისძე ნინიძე**.

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობის ჩაზომუცხია

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა, რომელმაც მოსმინა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, სსრკ-სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის საანგარიშო მოხსენება „ქართული საბჭოთა თეატრის პრობლემები და ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“. აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის თეატრების შემოქმედებითი ცხოვრება აღმავლობის გზით მიემართებოდა, რაც განაპირობა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის დაუდალავმა ზრუნვამ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, რესპუბლიკაში მორალურ-ხელოვნობრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის. ეკონომიკისა და კულტურის სფეროში მომხდარმა ძვრებმა სასიკეთო გავლენა იქონია თეატრალური ხელოვნების განვითარებაზეც. განმტკიცდა თეატრის კავშირი ცხოვრებასთან, ფართო გასაქანი მიეცა გაბედულ შემოქმედებით ძიებებს, გაიზარდა ქართული თეატრის ავტორიტეტი, მისი საერთაშორისო რეზონანსი. ახლა ქართული თეატრი ებიებს რესპუბლიკის ინტენსიური ცხოვრების თეატრალურა ფორმით ასახვის ახალ-ახალ გზებს. ამ პერიოდში იგი გაბედულად მუშაობდა ჩვენი ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ყრილობა მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის თეატრები ღირსეულად შეიკვებნენ სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობებს. ამ მნიშვნელოვან მოვლენებს ყველა ქართულმა თეატრმა მიუძღვნა სპეჩიალი, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა დღევანდელ ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესები, მისი უმთავრესი დადებითი ტენდენციები.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე დიდად სასიკეთო გავლენას ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებანი და წინადადებები. მისი მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ზეიმში, ამ ზეიმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა და ქართული ხელოვნების მაღალი შეფასება გვიკვლინება მასტიმულირებელ ძალად, რომელიც ქართული თეატრის მოღვაწეებს ახალი შემოქმედებითი ძიებებისაკენ წარმართავს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, პირადად ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას და, კერძოდ, თეატრს. ყოველივე ეს ქმნის სასურველ შემოქმედებით ატმოსფეროს. ქართული თეატრის ყოველ მუშაკს კარნახობს კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი ინტენსივობით იბრძოლოს მაღალიდებურობისა და მაღალმხატვრობისათვის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა მიიჩნევს, რომ ქართული თეატრის შემდგომ განვითარებაზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას მოახდენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სარაიონო და საქალაქო თეატრების განვითარების საკითხზე. ამ დადგენილებაში გამოხატულება ჰპოვა სადღეისო მდგომარეობამ. ჩვენ დაუღალავად უნდა ვიბრძოლოთ სარაიონო და საქალაქო თეატრების შემოქმედებითი დონის ამაღლებისათვის. ყრილობა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე ქართული დრამატურგიის დონე. ახლა ჩვენი დრამატურგები უფრო გაბედულად წამოსჭრიან დღევანდელი მნიშვნელოვან პრობლემებს.

ყრილობა აღნიშნავს, თანამედროვე ქართული თეატრის მჭიდრო კავშირს ეროვნულ ტრადიციებთან, მის გაუნელებელ ერთგულებას სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისადმი. ამასთან ყოველად გაუმართლებლად სთვლის იდეურად სუსტი, მხატვრულად უმწეო სპექტაკლების დაბადებას, რაც ქართულ თეატრში ჯერ კიდევ გვხვდება. ამ სპექტაკლებს აკლიათ არა მარტო იდეური ძალა, არამედ მხატვრული განზოგადებულობაც. რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოებრიობა ვერ შეურიგდება ამგვარ განოვლინებებს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ნიჭიერი ახალგაზრდობა როგორც აქტიორულ ხელოვნებაში, რეჟისურაში, ასევე დრამატურგიაში. ამ გარემოებამ გაამრავალფეროვნა ქართული თეატრი.

ყრილობა დამაკმაყოფილებლად სთვლის თეატრალური საზოგადოების მუშაობას, მაგრამ ამასთან მიიჩნევს, რომ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ქართული თეატრის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის, მისი ყოველი კომპონენტის: რეჟისურის, აქტიორული ხელოვნების, დრამატურგიის, სცენოგრაფიის შემდგომი ზრდისათვის.

თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა გამგებობას ავალებს:

1. სრულყოს თეატრალური კულტურის შემდგომი განვითარების საკითხზე სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების სისტემა.

2. გაუნელებლად იზრუნოს ჩვენი ეპოქის მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების შესაფერი მაღალიდეური და მაღალმხატვრული სპექტაკლების შექმნისათვის.

3. მხარი დაუჭიროს ჯანსაღ ძიებებს, გაბედულ ექსპერიმენტებს, რაც კიდევ უფრო გამოავლენს სოციალისტური რეალიზმის დიდ შესაძლებლობებს სისტემატურად მოაწყოს დისპუტები, რათა განუხილველი არ დარჩეს არცერთი ახალი სპექტაკლი.

4. ხელი შეუწყოს რეჟისორობა, მსახიობთა, თეატრალურ მხატვართა პროფესიული დონის ამაღლებას, განზოგადოს თანამედროვე რეჟისურის, აქტიორული ხელოვნების, თეატრალური მხატვრობის საგულისხმო მოვლენები.

5. ებრძოდოს შტამპებს, შაბლონს, სტერეოტიპს.

6. განავრცოს და გაამრავალფეროვნოს თეატრალური კონტაქტები.

7. იზრუნოს იმისათვის, რომ თეატრალური კოლექტივები უფრო ხშირად მიდიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, სისტემატურად ეწყობოდნენ თეატრის მოღვაწეთა შეხვედრები მოწინავე მუშებთან, კოლმეურნეებთან, უფრო ხშირად ეწყვიოს ფაბრიკა-ქარხნებს.

8. ყოველნაირად შეუწყოს ხელი მაყურებლის ესთეტიკური კულტურის ამაღლებას, რეგულარულად მოაწყოს მაყურებელთა კონფერენციები, ღია კარის დღეები.

9. იზრუნოს ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებისათვის, ჩაატაროს თათბირ-სემინარები, დაეხმაროს დრამატურგებს ახალი ნაწარმოებების შექმნაში, გაგზავნოს ისინი შემოქმედებით მივლინებებში.

10. იზრუნოს თეატრალური ახალგაზრდობის — რეჟისორთა, მსახიობთა შემოქმედებითი დაწინაურებისათვის. აქტიურად შეუწყოს ხელი მათს დაოსტატებას, პროფესიულ ზრდას. უზრუნველყოს თეატრალური საზოგადოების წესდების განუხრელი შესრულება.

11. განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებები სარაიონო და საქალაქო თეატრების იდეურ-მხატვრული ღონის ამაღლებისათვის. მიავლინოს იქ სპექტაკლების დასადგმელად მაღალპროფესიული რეჟისორები, ხელი შეუწყოს ამ თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას.

12. იზრუნოს თეატრალური საზოგადოების დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნისათვის.

13. იბრძოდოს რესპუბლიკის თეატრებში სპექტაკლების ნაადრევი დაბეჭდების წინააღმდეგ.

14. მოაწყოს თეატრალური ფესტივალები.

15. უფრო მეტად განამტკიცოს კავშირი შემოქმედებით ორგანიზაციებთან. ხელი შეუწყოს დრამატურგთა, თეატრალურ მხატვართა და კომპოზიტორთა შემოქმედებითი ურთიერთობის გაღრმავებას.

16. რადიკალურად გააუმჯობესოს „მეგობრობის თეატრის“ მუშაობა. ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ „მეგობრობის თეატრს“ ჩამოჰქონდეს მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა მოწინავე თეატრების საუკეთესო სპექტაკლები, მიღწეულ იქნას მისი რენტაბელობა.

17. დაიცვას და უპატრონოს თეატრალურ მიმკვიდრეობას, მოამზადოს და გამოსცეს მემუარები, მონოგრაფიები, პიესები, თეატრმცოდნეობითი ლიტერატურა. კიდევ უფრო ოპერატიული, ქმედითი გახადოს „თეატრალური მოამბის“ მუშაობა.

18. იზრუნოს თეატრის მუშაკთა მატერიალური და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

19. გაძლიერდეს ყურადღება და კონტროლი საწარმოთა მუშაობაზე, მათი პროფილის დაცვაზე და შრომითი დისციპლინის ამაღლებაზე, ნაწარმთა ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ყრილობა გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ახლადარჩეული გამგეობა და პრეზიდიუმი კიდევ უფრო შეამკიდროვებს და დარახმავს ქართული თეატრის მოღვაწეებს საბჭოთა თეატრის წინსვლისა და აღმავლობისათვის.



## მოგავლის გადლოვა

**ყრილობა** საქმიანი, სამომავლო საქმით დამშვივებული — ასეთი სულისკვეთებით ემზადებოდა საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავისი მე-9 ყრილობისათვის და მონახა კიდევ მისი კონკრეტული ფორმა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მიმდინარე წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღე დუშეთში აღინიშნა. ამავე დღეს გიორგი ერისთავის კარმიდამოში საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრის განმანახლებლის, „გაყარის“ ავტორის გიორგი ერისთავის ბიუსტს.

და აი, მე-9 ყრილობის წინ გადაწყდა სწორედ ყრილობასთან დაკავშირებით გახსნილიყო დიდი ქართველი მოღვაწის, მწერლის, ქართული თეატრის მეგობარბატრის გიორგი ერისთავის ბიუსტი.

ბიუსტის შექმნა მოქანდაკე ოთარ ფარულავას დაევალა. მოქანდაკემ, მართლაც, უმოკლეს ვადაში შექმნა ჩინებული ბიუსტი მწერლისა და მოღვაწის, ქართული კულტურის სახვალის დღევანდელი დაფიქრებული პიროვნებისა.

მე-9 ყრილობის დამთავრების მომდევნო დღეს, 13 ოქტომბერს ყრილობის დელეგატები, მისი სტუმრები სოფელ ოძისისაკენ გაემგზავრნენ.

დღის 2 საათია. გიორგი ერისთავის სახლმუზეუმის კარმიდამო ქართული კულტურის მოღვაწეებითა და რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებით გაივსო. გიორგი ერისთავის ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის საქართველოს კა დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ჰამლეტ კერესელიძე.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **დიმიტრი ალექსიძე** სიტყვას ამბობს ძეგლის გახსნისას.

— მაღლიერი შთამომავლობა სიყვარულით იხსენებს დიდ მოღვაწეს, ადამიანს, რომელმაც ამაგი დასდო ქართული მწერლობის, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას, აღადგინა ქართული თეატრი — ამბობს იგი. — გიორგი ერისთავის წამოწყებული საქმე დღეს იფურჩქნება და ვითარდება. თუ გიორგი ერისთავი ცდილობდა ქართული თეატრი ფეხზე დაეყენებინა, დღეს მისი სახელი ვაცდა სამშობლოს. სად, ქვეყნიერების რომელ კუთხეში არ გაისმის ახლა ქართული თეატრის ქებათა-ქება.

გიორგი ერისთავის ბიუსტს საბურველს ხსნიან. ჩნდება ნათელი სახე ადამიანისა, რომელიც ასე იღწვოდა საქართველოს მომავლისათვის, მისი ხვალის დელი ძლიერებისათვის.

სიტყვას ამბობს დიმიტრი ალექსიძე. მან ვრცლად ილაპარაკა ქართული თეატრის ამაგდარის შემოქმედებაზე, მის როლსა და ღვაწლზე ერის წინაშე.

სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ ევაძემ, პროფესორებმა ნადეჟდა შალუ-

ტაშვილმა და სოლომონ ხუციშვილმა, რსფსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ნიკოლოზ აბალინიმა, ლენინგრადის კომისარჟევსკაიას სახ. სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა რუბენ ალამირზიანმა, უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ოლა კუსენკომ, უფრონალ „უკრაინის თეატრის“ რედაქტორმა ვალერი ბოლშაკმა, ლატვიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ლიდა ფრეიმანე-პასტერნაკმა, მოქანდაკე ოთარ ფარულავამ, ტაშკენტის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა მა-

ჯან რახმანოვმა, მოლდავეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მეფოდი აპოსტოლოვმა და სხვ.

დასასრულს გ. ერისთავის კარმიდამოში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის თეატრების მსახიობები.

და დგას დღეს ბიუსტი გ. ერისთავისა იმ ეზოში, სადაც იგი არაერთხელ დაფიქრებულა ქართველი ხალხის, ქართული თეატრის ბედზე, მის მომავალზე. სწორედ მომავალი თაობის მადლიერების გრძნობამ შეჰქმნა ეს ბიუსტი — ნიშანი სიყვარულისა და ღვაწლის დიდი აღიარებისა.



საქართველოს კვლევითი რაიკომის პირველი მდივანი **ჰამლეტ კერესელიძე**, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ოთარ ევაძე** და საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე **ეთერ კოლონია**.

# შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის 100 წლისთავი

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო  
აკადემიური თეატრის კოლექტივის

**საქართველოს** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულმხურვალედ ესალმებიან და ულოცავენ თბილისის ლენინის ორდენისან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთელ კოლექტივს, ქართული ხელოვნების ყველა მოღვაწეს თეატრის დაარსების 100 წლისთავს.

ეს თარიღი მხოლოდ ქრონოლოგიას კი არ ნიშნავს, არამედ ამ ხნის მანძილზე თეატრის მიერ განვლილი სახელოვანი გზის დიდებული დადასტურებაცაა. იგი ეროვნული თეატრალური ხელოვნების შექმნისა და აღმავლობის, შესანიშნავი ტრადიციების დამკვიდრების, მუდმივი შემოქმედებითი ძიებებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების ტრიუმფული გზის ნიშანსვეტია.

თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ერის თვითშეგნების, მშობლიური ენის დახვეწის, ეროვნული დრამატურგიის განვითარებისა და საზოგადოების ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლის მამულიშვილურ საქმეში, ჭეშმარიტი ხელოვნების მაღლით ჩვენი ხალხის სულიერი საუნჯე საკაცობრიო გახდა და ღირსეულად იკისრა ხალხთა შორის კეთილი ნებით გასხივოსნებული შუამავლის როლი.

თეატრის ამჟამინდელი აღმავლობა მისი ახალი სპექტაკლების საერთო აღიარება, მაღალი დეიური და მაღალმხატვრული დონე ნათელი დადასტურებაა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მოქალაქეობრივი მრწამსის ამაღლებისა და იმ განსაკუთრებული შემოქმედებითი ატმოსფეროსი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ბოლო წლების მანძილზე.

საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის იუბილეზე ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მიღწევებს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული თეატრალური ხელოვნების ოსტატებს, რომელთაც თავიანთი უანგარო, დახვეწილი და მაღალპროფესიული მოღვაწეობით საყოველთაო აღიარება და ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვეს.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის 100 წლისთავი იმართება იმ ღირსსახსოვარ დღეებში, როდესაც რესპუბლიკის მშრომელები დიდი წარმატებით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

დღეს, როდესაც თეატრი ზეიმობს თავისი სახელოვანი არსებობის საუკუნოვან იუბილეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი კვლავაც სასახელოდ გადაჭრის ყველა იმ ამოცანას, რომლებსაც თანამედროვეობა უსახავს ხელოვნების ოსტატებს. ეს იქნება ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობის და მისი დიდებული მერმისის ჭეშმარიტი საწინდარი.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

# თეატრის გელნიერი ხანა

„ამბობენ, რუსთაველის თეატრი „რიჩარდ მესამის“ დადგმას აპირებს, და კლასიკურ შექსპირისეულ როლს დიდი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე ამზადებსო. დამერწმუნეთ, ბატონებო, მზად ვარ საქართველოში კარეტითაც კი გავიმგზავრო, ოღონდ ეს სპექტაკლი ვნახო“, თქვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რუსთაველეთა „კავკასიური ცარცის წრის“ ნახვის შემდეგ ცნობილმა ინგლისელმა თეატრმცოდნემ მაიკლ კოვენემ. კოვენსა და მის ბევრ თანამემამულეს ბედმა გაუღიმათ: შექსპირის სამშობლოში ქართულმა თეატრმა აჩვენა „რიჩარდ მესამე“. ამ გასტროლებს თან სდევდა „ბუმის“ ყველა ნიშანი, და როგორც ჩანს, ვნებათაღელვა, „მსოფლიოს ერთერთმა საუკეთესო აქტიორულმა ანსამბლმა რომ გააღვივა“, — წერდა გაზეთი „ტაიმსი“, — კიდევ დიდხანს არ დაცხრება. ვისაც ჩვენს ქვეყანაში ან საზღვარგარეთ ეს სპექტაკლი უნახავს, არასოდეს არ დააიწყებდა წარმოდგენა, რომელშიც ჰარმონიულად გადაჯაჭვულა ერთმანეთთან რეჟისორული გამოგონებლობა და მსახიობთა ბრწყინვალე თამაში, მხატვრის ოსტატობა და კომპოზიტორის ნიჭი. ეს არის სპექტაკლი-ზეიმი, რომელიც არა მარტო ღრმად აშუქებს დიდი შექსპირის ჩანაფიქრს, არამედ აერთიანებს კიდევ ქართული საბჭოთა თეატრის საუკეთესო ტრადიციებს — პლასტიკურობასა და ტრაგიზმს, თითოეული ექსტის, თითოეული რეპლიკის სიზუსტესა და დამაჯერებლობას. ეს სწორედ ის სინთეზური სპექტაკლია, რომელზეც დიდი მარჯანიშვილი ოცნებობდა.

და ყოველთვის, როცა „რიჩარდ მესამეს“ აჩვენებენ, ხდება საოცრება — მაყურებელი ეზიარება მაღალ ხელოვნებას. ამის დადასტურება იყო რუსთავე-

ლელთა მიერ 26 ოქტომბერს ნაჩვენები სპექტაკლიც, რომლითაც იუბილარმა თეატრმა დაიწყო თავისი საუკეთესო ნამუშევრების სადღესასწაულო ჩვენება.

სპექტაკლის დაწყების წინ თეატრის შემოქმედებითს კოლექტივსა და მაყურებლებს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ასი წლის თავი მიულოცა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

შემდეგ კი მაყურებლებმა, რომელთა შორის იყვნენ თეატრის საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სცენური ხელოვნების მოთავენი, საქართველოში საბჭოთა მოსიკის სააღაპირო თესტივალის მონაწილენი, ფიხზე ამდგრებმა ორაცია გაუმართეს დამდგმელ რეჟისორს რობერტ სტურუას. რამაზ ჩხიკვაძეს — რიჩარდს, მსახიობებს მედია ჩახაასა და სალომე ყანჩილს, გოგი ხარაბაძესა და გიორგი გეგეჭკორს, გურამ სალარაძესა და კახი კავსაძეს, მარინე თბილელსა და ჯემალ ლაიანიძეს, მხატვარ მირიან შიგლიძეს, კომპოზიტორ გია ყანჩილს, სპექტაკლის ყველა მონაწილეს.

სპექტაკლს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შიგარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. თ. კუხარსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე.

სპექტაკლის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩვი შეხვდა თეატრის კოლექტივს.

მან გულთბილად მიულოცა რუსთაველებს ასი წლის იუბილე და, კერძოდ, თქვა:

—ეს არა მარტო საქართველოს სს რესპუბლიკის ცხოვრების, არამედ მთელი საბჭოთა კულტურის უთვალსაზიროებსი მოვლენაა.

სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი პირადად მთხოვა მომელოცა თეატრის კოლექტივისათვის ეს სახელოვანი თარიღი და მესურვებინა ახალი დიდი შემოქმედებითი მიღწევები.

დღეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი საყოველთაოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც, თავის ასი წლის თავს იგი ეგებება ძალებითა და ენერგიით, შემოქმედებითი გზებით აღსავსე და სულიერად მოწიფული. ასი წლისთავი არა მარტო საწესებით დამსახურებული სადღესასწაულო სიტყვებისა და მილოცვების საფუძველს გვაძლევს, არამედ განგვაწყობს კიდევ სერიოზული ფიქრისათვის თეატრის წარმატების, ჩვენს დროში ადამიანთა გონებასა და გულზე მისი გავლენის სათავეების შესახებ.

ახლა შეიმჩნევა მაყურებლის განსაკუთრებით ძლიერი ლტოლვა თეატრისადმი. ეს არის ლტოლვა არა მარტოდენ თეატრალური სანახაობისადმი, არამედ თეატრისადმი, რომელიც საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცენტრია, სადაც ისმება დიდი აქტუალური პრობლემები, სადაც ვიღებთ ბრძნულ, ზუსტ პასუხებს ამ პრობლემებზე.

მაყურებელს სურს თვითონვე მონაწილეობდეს იმ სანახაობაში, რომელიც სცენაზე ხდება, გრძნობდეს უშუალო წილნაყარობას მოვლენებთან, რადგან ასეთი წილნაყარობა ხელს უწყობს მისი საკუთარი პოზიციების, ზნეობრივი და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას. მაყურებელს სურს უშუალო კონტაქტი ჰქონდეს საყვარელ მსახიობთან, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მისი პიროვნებისადმი, მისი თამაშის ფსიქოლოგიური ნიუანსებისადმი.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება, მისი ნოვატორული ძიება მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი დროის, ჩვენი რევოლუციური ეპოქის მაჯისცემასთან.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი იშვა გასული საუკუნის უკანასკ-

ნელ მეოთხედში, როცა ქვეყანაში ხდებოდა ღრმა სოციალური ცვლილებანი, როცა ყალბდებოდა ძირითადი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც აღდგენენ თვითმპყრობელობის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეს პროცესები ასახავს პოულობდა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, თეატრალურ სცენაზე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა თეატრის განვითარების ახალ ეტაპს. რევოლუციის შემდეგ უკვე პირველ წლებშივე თეატრს აქტიურად დაუჭირეს მხარი ლენინურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ. მის განვითარებაში განისაზღვრა ახალი ნაყოფიერი მიმართულება.

და დღეს დიდი მადლიერებითა და უღრმესი პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ, უწინარეს ყოვლისა, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი კოტე მარჯანიშვილი. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ მოძრაობასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა, მაქსიმ გორკისთან დაახლოებულმა კოტე მარჯანიშვილმა შეითვისა რუსული რეალისტური სცენური ხელოვნების მოწინავე ტრადიციები. მას კარგად ჰქონდა შეგნებული საქართველოს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების პრინციპულად ახალი ამოცანები, ხელოვნებისა, რომელიც, როგორც იგი ამბობდა, „ისეთივე დიდი უნდა იყოს, როგორც ჩვენი თანამედროვეობა“.

როცა თვალს ვავლებთ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ განვლილ გზას, ვხედავთ, რომ მისი განვითარების ყოველ ეტაპზე მოჩანს ღრმა შემოქმედებითი მუშაობა პრობლემებზე, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. მარჯანიშვილისეული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ დადგმიდან მოდის თეატრის მთავარი ხაზი, რომლის მიზანი იყო სრულფასოვანი, სოციალურად მნიშვნელოვანი რეპერტუარის შექმნა.

მარჯანიშვილისათვის დამახასიათებელი იყო თანამედროვეობის გრძნობა, ხალხის სულიერ ცხოვრებაში ღრმად წვდომა. მან კარგად იცოდა საქართველოს აწმყო და წარსული, ტრადიციები, ყოფა და წეს-ჩვეულებანი, განუმეორებელი მუსიკალური და ზეპირი ფოლკ-

ლორი, რომელსაც საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული. ყოველივე ამან ახალ თემასთან — ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის თემასთან, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეებთან შეხამებით განსახლვრა კიდევ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კრედო და ესთეტიკა, პეროიკულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკა.

სამოქალაქო ომი, ფაშიზმთან პროგრესის ძალების პირველი შეტაკებანი, სოციალისტური მშენებლობა, დიდი სამამულო ომი — ყველა ეს მოვლენა გავლენას ახდენს თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაზე, თავის ასახვას პოულობს მასში.

აქ უნდა გავიხსენოთ უნიჭიერესი რეჟისორი სანდრო ამბეტელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის პირველი გასტროლები მოსკოვში 1930 წელს. ეს იყო დედაქალაქში ის განთქმული გასტროლები, რომელზეც ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი წერდა: „რუსთაველის სახელობის თეატრმა გააოცა მოსკოვი. მას ჰგონია, და მეც ამ აზრისა ვარ, რომ იგი მსოფლიო თეატრების პირველ რიგებში დგება“.

მინდა დავასახელო მსახიობები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე თეატრის სიამაყესა და დიდებას წარმოადგენდნენ: ხორავა და ვასაძე, ჩხეიძე და ჭავჭავაძე, დავითაშვილი და ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და ბევრი სხვა შესანიშნავი ოსტატი.

მსოფლიოში იშვიათია თეატრი, რომლის მსახიობთა თანაგარსკვლავედთან ესოდენ დაკავშირებული იყოს მრავალფეროვანი სტილური მიმართულებების თანამედროვე ეროვნული სამსახიობო ოსტატობის ჩამოყალიბება.

თეატრის შემოქმედებითი პალიტრა გამდიდრეს გამოჩენილმა რეჟისორებმა დიმიტრი ალექსიძემ და მიხეილ თუმანიშვილმა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი საქმიანობა დღესაც გამოირჩევა რეალისტური ტრადიციების, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულებით, მისწრაფებით, შეესაბამებოდეს საბჭოთა ადამიანების იდეურ-ესთეტიკურ მოთხოვნებს.

თანამედროვეობის, დროის წინააღმ-

დეგობათა ღრმა გააზრება, მკაფიო იდეური პოზიციის შემუშავება, ადამიანის დაცვა მაღალი სოციალური და ზნეობრივი პრინციპების დამარღვეველი რეაქციული სულიერი ტენდენციებისაგან — ყოველივე ეს ამასთანავე საფუძვლად უდევს ისტორიის გაგებას, ქართული, რუსული და მსოფლიო კლასიკის ნაწარმოებების ცოცხალ ინტერპრეტაციას.

თანამედროვეობა გარდაუვალად უკავშირდება ისტორიას, რამეთუ იგი ისტორიიდან აღმოცენდება, მის შედეგს წარმოადგენს. მაგრამ ისტორიას ახლებურად ვხედავთ, როცა მას თანამედროვეობის მწვერვალებიდან გადავცქვებით ხოლმე.

თეატრალურ შემოქმედებაში ორგანულად ხორცშესხმული ეს დიალექტიკური ხედვა თანამედროვე მაცურებლის მხურვალე გამოხმაურებას პოვებს. რუსთაველის თეატრი ყოველთვის აღწევს დამსახურებულ წარმატებას იმის მეშვეობით, რომ უნარი შესწევს სერიოზულად ებასოს მაცურებელს, განიხილოს მასთან ერთად ზნეობრიობის, სიკეთისა და ბოროტების ფუძემდებელი პრობლემები, კაცობრიობის სოციალური და სულიერი განვითარების გზები.

მინდა აღვნიშნო ქართული თანამედროვე ხელოვნების ისეთი დიდმნიშვნელოვანი თვისებაც, როგორცაა საუკეთესო ეროვნული ტრადიციების სასოებით დაცვა და, ამასთანავე, მათი გამდიდრება და განვითარება უდიდესი ინტერნაციონალური გამოცდილების საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც ფართო აღიარება პოვებს თეატრის სცენაზე ხორცშესხმულმა პიესებმა „სამანიშვილის დედინაცვალმა“ და „კაკასიური ცარცის წრემ“. კოლექტივი აქტიურად განაგრძობს კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებას. ბევრ ქვეყანაში უდიდესი წარმატებით სარგებლობს ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი — თეატრის მთავარი რეჟისორის რობერტ სტურუას დადგმული სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“. ლონდონში, სადაც ნაჩვენებია იყო ეს სპექტაკლი, რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, გასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და მაცურებლისა და პრესის აღფრთოვანება გამოიწვია.

თეატრის წარმატებები განუყრელად

უკავშირდება მთელი კოლექტივის თავდადებულ შრომას. აქ არიან უფროსი და საშუალო თაობის მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, იზა გიგოშვილი, კახი კავსაძე, გიორგი გეგეჭკორი, მედეა ჩახავა, ზინაიდა კვერცხილაძე, ბადრი კობახიძე, ჟანო ლოლაშვილი, ედიშერ მაღალაშვილი, აქვია ხიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობა, რომელიც სულ უფრო აქტიურად ავლენს თავის ბოლო დროს.

თანამედროვე თეატრი ოსტატობის აკადემია, მსახიობის ჩამოყალიბების სკოლაა, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა საბჭოთა კინოსა და ტელევიზიის მიღწევები. თეატრი მაცოცხლებელი წყაროა, რომელიც საზოგადოების კულტურული ცხოვრების ბევრ სფეროს ასაზრდოებს, ამაშია თეატრის უჭკნობი ძალა და მისი მაღალი პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელოვნების წინაშე.

შოთა რუსთაველის თეატრს სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ შემოქმედებითი ლაბორატორია, რომელშიც მოწმდება ახალი იდეები, ხორცს ისხამს ხოკატორული ჩანაფიქრები. თეატრი ნამდვილ წარმატებას ყოველთვის აღწევდა ნოვატორობასთან საუკეთესო ტრადიციების ორგანული შერწყმის გზით, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე.

საბჭოთა თეატრის წინაშე ახლა დიდი, პასუხსაგები ამოცანები დგას. ამ ამოცანების მასშტაბი განსაზღვრა სკკპ XXVI ყრილობამ, იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სიღრმემ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ გარდაქმნათა ხასიათის, კომუნისტური მშენებლობის საკვანძო, ზოგჯერ ფრიად რთული ამოცანების გადაწყვეტა ახალ მოთხოვნებს უყენებს საბჭოთა ადამიანს მის ზნეობრივ, პროფესიულ, იდეურ-პოლიტიკურ თვისებებს. თეატრის საპატიო როლია, დაეხმაროს პარტიას თითოეული ადამიანის ამაღლებაში თანამედროვე ამოცანების დონემდე, ჩამოუყალიბოს მას ცხოვრებისეული პონიკია, საბჭოთაო ხასიათი.

ჩვენი თეატრი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. იდეალებს, რომ-

ლებსაც იგი ამკვიდრებს, პრინციპებს, რომლებსაც იგი მისდევს, დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს მთელ მსოფლიოში. ეს არის სოციალური პროგრესის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის, ქვეყნად მშვიდობის პრინციპები. ეს არის მოწინავე, მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაზე დაფუძნებული ხელოვნების პრინციპები, რომლებიც შემოქმედს ორიენტირად უსახავს საზოგადოების ცხოვრების ღრმა წვდომას, ადამიანის სულიერი სიჯანსაღისათვის ბრძოლას.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნება აყვავების პერიოდშია. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა თეატრალური კოლექტივები, რომლებიც მზად არიან იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში რომ უსახავს პარტია კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა ყველა რაზმს. მათ შორის არის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი აკადემიური თეატრის სახელგანთქმული კოლექტივიც.

ახლა, როცა ქვეყნის თეატრები ემზადებიან ჩვენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მოვლენის — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად, უფლება გვაქვს მოვილოდეთ თქვენგან ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, თქვა დასასრულ ამხ. პ. ნ. დემიჩევმა, რომ თქვენს სცენაზე გამოჩნდება მაღალი იდეურ-მხატვრული დონის ახალი სპექტაკლები, გაგრძელდება და განვითარდება საბჭოთა მრავალეროვანი თეატრის საუკეთესო ტრადიციები.

ამხ. პ. ნ. დემიჩევმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს გადასცა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მისასალმებელი ადრესი.

შემოქმედებითი კოლექტივის სახელით რ. სტურუამ მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ასი წლის იუბილეს მოლოცვისათვის, მულ-

მივი ყურადღებისა და ზრუნვისათვის მრავალეროვნული საბჭოთა სასცენო ხელოვნების განვითარებაზე.

რ. სტურუამ დამსწრეთ აღუთქვა, რომ თეატრის კოლექტივი კვლავაც აუწყობს ფიქს დროს, აქტიურად გაატარებს პარტიის იდეებს.

ქართული თეატრის მოღვაწენი, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის სასცენო ხელოვნების ოსტატები, მტკიცედ დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. ჰუმანიზმის იდეები, რომლებსაც ეს მეთოდი უწევს პროპაგანდას, ჩვენთვის ყოველთვის უმთავრესია ხელოვნების ნაწარმოებში. ჩვენი გზის სისწორის დადასტურებას, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების სიცოცხლისუნარიანობას განსაკუთრებით ნათლად ვგრძნობთ ჩვენი თეატრის საზღვარგარეთული გასტროლების დროს, სადაც ბევრი მაყურებელი, მსახიობი, რეჟისორი და თეატრის მოყვარული გულწრფელ მადლობას გვიხდის იმისათვის, რომ არ ვღალატობთ ჩვენს პრინციპებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. თ. კუხარსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი.

(საქინფორმი).

## თეატრის საუკუნა და ეპოქა

რუსთაველის თეატრი 100 წლისაა. ეს იუბილე აღინიშნა, როგორც მრავალეროვნული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდი დღესასწაული. ეს ყოველი ჩვენგანის, ყველა იმათგანის დღესასწაულია, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნობის ნოვატორული, ცხოველყოფილი ხელოვნება.

ჩვენი სასცენო ხელოვნების სიამაყე რუსთაველის თეატრი, ღირსეულად განაგრძობს და ავითარებს იმ დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწეების ტრადიციებს, რომლებმაც თავიანთ მემკვიდრეებს უნადერძეს სამსახიობო თამაშისა და რეჟისორული აზროვნების დიდებული რეალისტური სკოლა, თეატრი საზრდოობს ყოველივე საუკეთესოთი. რასაც შობს საბჭოთა თეატრი და ეპოქა. სწორედ ამ საძირკველზე ააშენა კოტე მარჯანიშვილმა ახალი თეატრი, თეატრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ახალი სამყაროს მშენებლობაში, თეატრი, რომელიც ხვალინდელ დღეს ესწრაფვის, თეატრი დღესასწაული. ასეთად დაუტოვა მან იგი თავის მოწაფეებს. და ამ თეატრს დღეს პატივს მიაგებენ ჩვენი რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის სასცენო ხელოვნების მოყვარულნი, მრავალრიცხოვანი სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ზემოთ ჩამოსულან.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. კურპეკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნიოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე



თეატრის ისტორია:

სახეები, დოკუმენტები, მოგონებები...

დგება საზეიმო წუთი... იხსნება ფარდა. სცენას მოეფინა მუსიკის ჰანგები, ცისარტყელის ფერები, იწყება არაჩვეულებრივი წარმოდგენა — თეატრის ისტორია, რომელსაც რუსთაველელთა მთელი შემოქმედებითი კოლექტივი ასრულებს. მაყურებელი მსახიობებთან ერთად თითქოსდა ფურცლავს შესანიშნავი წიგნის ფურცლებს: დღითიღღე, წლითიწლობით ათწლეულიდან ათწლეულამდე ხდება მისი ჩამოყალიბების, აღმადრენისა თუ მარცხის, წარმატებებისა და გარდაუვალი შეცდომების, აღორძინებისა და ახლანდელი ტრიუმფის თანაზიარი.

რუსთაველის თეატრი 100 წლისაა. იგი იმ შორეულ წლებში იწყებოდა, როცა არსებობა შეწყვიტა ქართული თეატრის პირველმა პროფესიულმა დასმა და საქართველოს დიდი შეილები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სათავეში ჩაუდგნენ ამ თეატრის აღორძინებას, რომელსაც უკვე ჩვენს დროში შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა.

საიუბილეო წარმოდგენა, რომელიც რეჟისორმა რობერტ სტურუამ შექმნა თეატრმცოდნე ლ. ფოფხაძესთან ერთად, კოლექტივის ისტორიის ძირითად მოვლენებს აცოცხლებს. წარმოდგენაში, ფოკუსივით აისახა თეატრის შემოქმედებითი კრედი — იუოს ტრაბუნა, რომლიდანაც მხურვალედ ბჭობენ საჭირბოროტო

პრობლემებზე ქადაგებენ დიდი აზრებისა და იდეების ხელოვნებას, აქ, ორიგინალური ჩანაფიქრის, სცენური რეტროსპექტივის მეშვეობით შეხვდნენ მაყურებლები მსახიობთა მთელ თანავარსკვლავედს, იმათაც, ვისაც უნდა შეენარჩუნებინა და განეგრძო რუსთაველელთა საუკეთესო ტრადიციები, უფროსი თაობის მსახიობებსაც და იმათაც, ვინც აქ მოგვიანებით მოვიდა, მიიღო ესტაფეტა უფროსებისაგან, თეატრის შემოქმედებითს ახალგაზრდობას, თეატრის ხვალისდელ დღეს.

ისტორიის ფურცლები გვიამბობენ, თუ როგორ იქმნებოდა სპექტაკლი „სამშობლო“, როგორ ჩამოვიდა 1883 წელს თბილისში დიდი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, რომელმაც თავისი „სარფიანი ადგილის“ ქართულ მსახიობთა მიერ განხორციელებული დადგმის შემდეგ, მთავარი როლის შემსრულებელს მაკო საფაროვა-აბაშიძეს უთხრა: „სანამ ცოცხალი ხართ, ჩემი პოლინა არ მოკვდება“.

...გადიოდა წლები, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან ერთად აღორძინდა ქართული თეატრი, მის სცენაზე აელვარდა დიდი კოტე მარჩანიშვილის ნიჭი რომლის ნამუშევრებიც აღსავსე იყო ახალგაზრდული სულისკვეთებით, გატაცებით და სიმხნევით. კოტე მარჩანიშვილს ესმოდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა თეატრს ვაჟკაცური, ოპტიმისტური, გამირული სულისკვეთებითა და სიცოცხლის დაუოკებელი სიყვა-



საქ. სსრ, სახალხო არტისტები: რამაზ ჩხიკვაძე, სალომე ყანჩელი, ეროსი მანჯგალაძე.

რულით გამსჭვალული დრამატურგია სჭირდება.

მის მიერ 1922 წელს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა გადაწყვიტა ქართული თეატრის ბედი. ნაწარმოებები, რომელიც თავისი შინაარსით დაშორებული იყო თანამედროვეობის მოვლენებს, გასაგები და ახლობელი გახდა ახალი სამყაროს მშენებელი ხალხისათვის. ეს იყო მარჩანიშვილის ხელოვნების არსი, რომელმაც პრაქტიკულად შეასხა ხორცი საბჭოეთის ახალგაზრდა ქვეყნის მთავრობის თეატრალურ პოლიტიკას.

შემდეგ კი თეატრში მოვიდა სანდრო ამბეტელი, რომელმაც მკაფიოდ გააოცა ელვისებური რიტმით, იშვიათი პლასტიკით, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ხასიათის სპექტაკლებით. „ანჰორ“, „ლამარა“, „ინტირანოს“ მკაფიობელთა დარბაზს იპყრობდნენ ბრძოლის პათოსით, რომანტიკული ამბოხის სულისკვეთებით.

...ამონაწერი თეატრის საგასტროლო დღიურიდან მოსკოვი, 1930 წლის 5 ივნისი:

„რუსთაველის სახელობის თეატრმა განაცვიფრა მოსკოვი. იგი და მეც ვფიქრობთ, რომ ეს დასი მსოფლიო თეატრების პირველ რიგებში დგება“. ანატოლი ლუნინარსკი.

„რუსთაველის თეატრი დიდ მხატვრულ ორგანიზმად იქცა, რაც თვალნათლივ ადასტურება საბჭოთა საქართველოს კულტურის აყვავებას. ქართულ-ეროვნული სტილის თავისებურებასთან შერწყმული შესრულების მაღალი ტექნიკა, სპექტაკლების ზუსტი აგება და რეჟისურა იმის უტყუარი გარანტიაა, რომ თეატრი ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს საბჭოთა თეატრალურ კულტურაში“. ვაჟეთი „პრავდა“.

„იმან რაც „რღვევაში“ ვხეხვ, დიდად ამაღელვა და სულით ხორცამდე შემძრა, სულითა და გულით ვუსურვებ თეატრის ყველა მუშაკს ასეთივე ენერგიითა და მხნეობით ევლოთ ეროვნული თეატრის განვითარების გზით. გულწრფელად მადლობელი ბორის ლავრენიოვი“.

თავის ნამუშევრებში, იქნება ეს ისტორია თუ თანამედროვეობა, თეატრი ყოველთვის ცდილობდა წარმოედგინა სცენაზე ცოცხალი ადამიანი მისი რთული, ღრმა ფსიქოლოგიური არსით. თეატრს ამშვენებდნენ დიდი მსახიობები აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვილი სერგო ზაქარიძე, ვერეკო ანჯაფარიძე და მრავალი, მრავალი სხვა შესანიშნავი ხელოვანი. თეატრის აყვავებაში დიდი წვლილი მიუძღვით რეჟისორებს მ. თუმანიშვილს, დ. ალექსიძეს, ა. ჩხარტიშვილს, რ. სტურუას, მსახიობებს ე. მანჯგალაძეს, გ. გეგეჭკორს, მ. თბილელს, ზ. კვერენჩილაძეს, კ. საკანდელიძეს, ე. მაღალაშვილს, კ. მახარაძეს, მ. ჩახავას, ს. ყანჩელს,

რ. ჩხიკვაძეს, მსახიობთა, რეჟისორთა ახალგაზრდა ცვლას.

თეატრის მარადიული სიჭაბუკის, მარადიული ცხოველმყოფელობის ლაიტმოტივად უდერს სცენიდან წარმოთქმული სიტყვები: „თაობები მიდიან, თაობები მოდიან, მაგრამ მარად ახალგაზრდა რუსთაველის თეატრი განაგრძობს ბრძოლათა და აღმავრენით აღსავსე ცხოვრებას“.

მაშ ასე, თეატრის პირველი ნაბიჯებიდან დღემდე მსახიობებმა და მკაფიობებმა ერთად განვლეს სახელოვანი გზა.

თეატრი ასი წლისაა. მაგრამ მისი გზა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება. რამეთუ ქემშარტი ხელოვნება უცვლავია.

ზემი. რუმელიც მუდამ თან გასლავს

ეს საღამო დიდხანს ეხსომება ყველას...

დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმებას თეატრის კოლექტივისადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს სახალხო არტიტმა ე. მანჯგალაძემ.

იუბილარი თეატრის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი, თბილისის თეატრების მსახიობები, სსრ კავშირის სახალხო არტიტი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ანჯაფარიძე, ინგლისის თეატრი „რაუნდ პაუზის“ დირექტორი ტელმა ჰოლტი, ინგლისელი თეატრალური კრიტიკოსი მაიკლ კოვენი, დიუსელდორფის თეატრის დირექტორი გიუნტერ ბელიცი, ავინიონის ფესტივალის დირექტორი პოლ პიო, რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი (გფრ). რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რუსთაველელთა კოლეგები მოსკოვიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

რუსთაველის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა თეატრის დირექტორმა, მთავარმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ.

ეს ამაღელვებელი საღამო თეატრალური ხელოვნების დღესასწაული დასრულდა კინოკრონიკის კადრებით, რომლებმაც აღბეჭდეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. დემიჩევის ამასწინანდელი შეხვედრა რუსთაველელებთან.

საქინფორმი

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ძართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის 100 წლის თავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

## „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

გიგოშვილს იზა შალვას ასულს — მსახიობს,

თალაკვაძეს გრიგოლ ანდრიას ძეს — მსახიობს,

კავსაძეს კახი დავითის ძეს — მსახიობს,

ლოლაშვილს ჟანრი გიორგის ძეს — მსახიობს,

ფაჩუაშვილს ნანა ლევანის ასულს — მსახიობს,

ჩხეიძეს თეიმურაზ ნოდარის ძეს — რეჟისორს,

ძიგრაშვილს ლეილა ამბერკის ასულს — მსახიობს,

## „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ოგანეზოვს ლევან ირაკლის ძეს — დირიჟორს,

ფოფხაძეს ლილი შალვას ასულს — სალიტერატურო ნაწილის გამგეს,

ჭილაძეს ნესტორ ეზიკის ძეს — დირექტორ-განმკარგულებელს,

ხატისკაცს ნანა გიორგის ასულს — რეჟისორს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

ალექსი-მესხიშვილს გიორგი ვლადიმერის ძეს — მხატვარს,

ლაფაჩს გიორგი შალვას ძეს — სადადგმო ნაწილის გამგეს,

ჭავჭავაძეს მიხეილ დავითის ძეს — მხატვარს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ბოცვაძე ზეინაბ ჭაიდარის ასულს — მსახიობს,

გუდაძეს ლიანა ილიას ასულს — მსახიობს,

ლოლიძეს თამარ ნარიმანის ასულს — მსახიობს,

ელოშვილს ვალერიან კონსტანტინეს ძეს — მსახიობს,

ჭაუტაშვილს ოთარ სიმონის ძეს — მსახიობს,

ლომიძეს ოთარ გიორგის ძეს — მსახიობს,

მარგველაშვილს ნოდარ ილიას ძეს — მსახიობს,

მალაყელიძეს მზია ბენედიქტეს ასულს — მსახიობს,

მაცაბერიძეს დეზდემონა შალვას ასულს — მსახიობს,

მიქაბერიძეს რუსლან გრიგოლის ძეს — მსახიობს,

პაპუაშვილს დავით გრიგოლის ძეს — მსახიობს,

სახლოშვილს ელდარ გერასიმეს ძეს — მსახიობს,

სიყმაშვილს ლეილა გიორგის ასულს — პიანისტს,

ყველაიძეს ტრისტან ილიას ძეს — მსახიობს,

ჩხაიძეს რევაზ კალისტრატეს ძეს — მსახიობს,  
ჩხიკვაძეს დავით პანტელეიმონის ძეს — მსახიობს,  
ჭიჭინაძეს გივი ლევანის ძეს — მსახიობს,  
ჯანაშიას მარიამ ივანეს ასულს — მსახიობს,

**„საპარტველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

აგაშენაშვილს ვლადიმერ ფილოს ძეს — ბუტაფორ-დეკორატორს,  
თვაურს მიხეილ თომას ძეს — სცენის მემანქანეს,  
კალანდიას კარლო გერასიმეს ძეს — მთავარ ადმინისტრატორს,  
მამულაშვილს გიორგი ვასილის ძეს — გამნათებელს,

სიმონოვს იური ქრისტეფოროს ძეს — ბუტაფორ-დეკორატორს,  
ურდულაშვილს ილია დავითის ძეს — სცენის მემანქანეს,  
ქურხულს ივანე ვასილის ძეს — ფოტოგრაფს,

შერმაზანოვს გიორგი სტეფანეს ძეს — სცენის მთავარ მემანქანეს,  
ჩადუნელს კონსტანტინე თევდორეს ძეს — ორკესტრის ყოფილ მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1981 წლის 29 ოქტომბერი.

**საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი აკადემიური დრამატული თეატრის 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი, „თეატრალური მოამბის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი მხურვალედ ულოცავენ ჩვენი საყვარელი თეატრის მსახიობებს საპატიო წოდებათა მინიჭებას.

## ვახტანგ ფალიაშვილი



ბამონჩენილი ქართველი ღირსი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი ქართული კულტურის უანგარო მოღვაწე იყო. იგი, როგორც ღირსი, მრავალი ახალი ნაწარმოების პირველი ინტერპრეტატორი გახლდათ და გამოიჩინოდა მაღალი თეორიული მომზადებით, მდიდარი შემოქმედებითი პრაქტიკით.

ფალიაშვილების გვარი ქართული საშუსიკო ხელოვნების კორიფეთა სახელებით ბრწყინავს. ვახტანგის პაპა პეტრე ფალიაშვილი ქართული კათოლიკური ეკლესიის მწიგნობარ მსახურობდა და ზოგჯერ საეკლესიო გუნდშიც მღეროდა. მისი ხუთი შვილი — ივანე, ზაქარია, პოლიკარპე, უნა და ლევანი მუსიკალურ პროფესიას გაჰყვედნენ. ზაქარია ქართული კლასიკური ოპერის მამამთავარი იყო, ივანე კი — ეროვნული საღირსი ურო სკოლის ფუძემდებელი. ვახტანგის მამა ლევან ფალიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. იგი მუსიკის თეორიის კარგი მცოდნე, პროფესორი და კომპოზიტორი გახლდათ, ავტორი იყო ოპერებისა: „დედა და შვილი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „იღბანა“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მუსიკის ელემენტარული თეორიისა და მარშონიის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.

ვახტანგი სრულიად ბავშვი იყო, როდესაც ურადლდე მიიქცია თავისი საზრიალობით და მუსიკისადმი ინტერესით. მამა ბავშვი ხშირად დაჰყვებოდა კონცერტებზე, მალე კონცერტების მოსმენა აუცილებელ მოთხოვნად გადაექცა,

იქდა დარბაზში და სულგანაბული ადევნებდა თვალს ღირსიორის ჭოხის მოძრაობას. ღირსიორი მისთვის უსასრულოდ დიდი და ზღაპრული პიროვნება შეიქმნა.

„კონცერტებზე პატარაობიდანვე მატარებდა მამა, — იგონებდა, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე და მომავალში წარუშლელი კვალი დაამჩნია ჩემს სულს. ვესწრებოდი არა მარტო კონცერტებს არამედ რეპეტიციებსაც. მე ვიჭექი ყოველთვის პარტიტურით ხელში, რომელიც მრავლად მოეძებნებოდა მამას...“

ვესწრებოდი აგრეთვე ჩვენი ბიძის — სახელგანთქმული ღირსიორის ივანე ფალიაშვილის კონცერტებს ოპერის თეატრში. ურადლდებით ვუსმენდი და თვალს ვადევნებდი ბიძაჩემს, რომელიც დიდი გრძნობით ღირსიორობდა ამა თუ იმ ოპერას. აქედანვე დავისახე მიზნად გავმზადარიყავი ღირსიორი“.

გარდა იმისა, რომ ოჯახმა და მდიდარმა მუსიკალურმა გარემომ ბავშვს მუსიკისადმი მისწრაფება გაუღვიძა, მასზე ძლიერ იმოქმედა სიმფონიურმა კონცერტებმა, რომლებსაც მართავდნენ საგასტროლოდ ჩამოსული სახელგანთქმული ღირსიორები: ფრიც შტიდრი, ოსკარ ფრიდი, გეორგ სებასტიანი, კალერიან შერტავეი, გუსტავ ბრესერი, პაულ ბრენხაზი, ალექსანდრე გაუცი და სხვები.

ერთ-ერთ კონცერტზე ვახტანგი შეხვდა ალექსანდრე გაუცს, ადამიანს, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მასზე, როგორც ხელოვანსა და პედაგოგზე გამოჩენილმა საბჭოთა ღირსიორმა მოხიბლა ცმაწვილი თავისი ხელოვნებით და იმ გულითალობით, რომელსაც

იგი იჩენდა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებისადმი. აღ. გაუჯი ყოველთვის სიამოვნებით ასრულებდა ზაქარაის მუსიკას და დიდულ პატივსცემდა მას.

ამ დროს ვახტანგი არასრულ საშუალო სკოლაში სწავლობდა, პარალელურად კი მუსიკალურ მუშაგაკში ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდა გამოჩენილი მწერლის ვასლ ბარნოვის შვილთან ნინო ბარნოვთან. ერთხანს საფორტეპიანო ხელოვნებას ქართული საფორტეპიანო სკოლის დიდ ოსტატთან ანასტასია ვირხალაძესთანაც ეუფლებოდა. იგი დაულაღვად შრომობდა, ენერგიას არ იშურებდა, რათა მამისა და სასიქადულო ბიძების უურადლება დაქება დაემსახურებია. „ზაქარია, მამაჩემის ძმა, ჩემი ბავშვობის კერპი იყო, მინდოდა სულ ბიძაჩემთან ვყოფილიყავი, ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი და მინდოდა მას მოვწონებოდი“, — იგონებდა ვ. ფალიაშვილი.

1927 წელს ჩვენი სასოფლოეპრობო ბეთშოვნის გარდაცვალების 100 წლისთავს აღნიშნავდა. ნაძალადეგში მუსიკალური მუშაგაკის კონცერტი იყო დანიშნული, სადაც 8 წლის ვახტანგი ბეთშოვნის სონატას უკრავდა. ბიძები ზაქარია და ივანე საგანგებოდ შივიდნენ მის მოსასმენად. კონცერტის შემდეგ ბიძებმა მოუაღერეს და შეაქეს იგი.

შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მე-14 საშუალო სკოლაში და, პარალელურად, I სამუსიკო სასწავლებელში საღირსიურო განყოფილებაზე პედაგოგ შალვა აზმაიფარაშვილის კლასში. 1937 წელს წარმატებით დამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის კონსერვატორიაში საღირსიურო ფაკულტეტზე, რომელსაც ოდისეი დიმიტრიადი ხელმძღვანელობდა. 1939 წელს ვახტანგი მოსკოვის კონსერვატორიის გ. სტოლიაროვის კლასში გადადის სწავლის გასაგრძელებლად. აქ მას კვლავ იზიდავს სახელოვანი დირიჟორის აღ. გაუჯის კონცერტები, რომლებიც გამოირჩეოდა პროგრამის მრავალფეროვნებით.

ვახტანგის სიმპათია გაუჯის სელოვნების მიმართ განპირობებული იყო, აღბათ, იმიტაც, რომ მასთან ოსტატებოდნენ საბჭოთა საღირსიურო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები, მათ შორის, ევგენი მიქელაძე და ალექსანდრე მელიქ-ფაშაევი.

ვ. ფალიაშვილი გაუჯის ერთი საუკეთესო სტუდენტთაგანი იყო. მომავალში მათი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა.

სამამულო ომის წლებში ვ. ფალიაშვილი სწავლის პარალელურად მუშაობას იწყებს სიმფონიურ ორკესტრში დასარტყამ საკრავებზე. ორკესტრში მუშაობა მომავალი დირიჟორი-

სათვის უდაოდ დიდ საშემსრულებლო პრაქტიკას წარმოადგენდა, მით უფრო, რომ ორკესტრში იხსდნენ საუკეთესო საშემსრულებლო ძალები, კარგი პროფესიული მუსიკოსები.

ორკესტრში მუშაობის პერიოდში ვახტანგს ზოგჯერ საშუალება ეძლეოდა ედირიუორა საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტის სიმფონიური ორკესტრისათვის. 1942-1943 წლებში მან შესარულა ზ. ფალიაშვილის სუიტა „აბესალომ და ეთერიან“, შენდელსონის „იტალიური სიმფონიის“ I ნაწილი, რახმანიოვის II საფორტეპიანო კონცერტის მეორე და მესამე ნაწილები. ლევან ფალიაშვილის ოპერა „დედა და შვილი“ მის მიერ მთლიანად იქნა შესრულებული და გადაცემული რადიოთი 1943 წლის 31 დეკემბერს.

1943 წელს ვ. ფალიაშვილმა დაამთავრა კონსერვატორია. სტუდენტობის წლებში მას რამდენჯერმე მოუხდა საჯარო გამოსვლა საღირსიურო პულტთან. აღსანიშნავია მისი პირველი გამოსვლა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში 1941 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. მაშინ მან „დაისის“ შესავალსა და გრ. კილამის პირველ სუიტას უღირიუორა.

1943 წელს 24 წლის ვახტანგი საჯაროდ გამოვიდა კონსერვატორიის გამოსაშვებ საზეიმო საღამოზე. ამ დღეს მან უღირიუორა შესავალს არაყიშვილის ოპერიდან „თქულება შოთა რუსთაველზე“, გლაჟუნოვის „საზეიმო უვერტიურას“, რახმანიოვის II საფორტეპიანო კონცერტის მეორე და მესამე ნაწილებს. ამის შემდეგ გაუკთან მეცადინეობა არ შეუწყვეტია, იგი მასთან დარჩა ასპირანტურაში.

1943-1944 წლებში ვახტანგი ფალიაშვილი მუშაობას იწყებს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. პარალელურად მუშაობს რადიოკომიტეტში.

1944 წელს 27 მარტს მუსიკალურმა საზოგადოებამ აღნიშნა ვ. ფალიაშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი. ამ დღეს ვახტანგმა უღირიუორა საცეკვაოს ფალიაშვილის ოპერებიდან: „აბესალომ და ეთერი“ და „ლატავრა“, სხვადასხვა საგუნდო პიესებს და ნაწყვეტებს ოპერა „დაისიდან“. ამავე წლის 17 აპრილს იგი ასრულებს ფრანკის სიმფონიას და რახმანიოვის II საფორტეპიანო კონცერტს. ეს იყო ძალზე პასუხსაგები გამოსვლა. რახმანიოვის საფორტეპიანო კონცერტს ასრულებდა უნიჭიერესი საბჭოთა პიანისტი სვიატოსლავ რინტერი.

ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დირიჟორი (ასპირანტი) მონაწილეობს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გამართულ ქართული მუსიკის კონცერტში. საბ-

ქოთა კავშირის რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ღირიურობს ა. ბლანჩივასის სიმფონიურ სურათს „რიწის ტბას“. ფრაგმენტებს ზ. ფალიაშვილისა და დ. არაუჯივილის ოპერებიდან. შ. აზმაიფარაშვილის სუიტას — „ძველი თბილისის სურათები“, ი. ტუსკიას ლირიკულ არიასა და ქართულს. მოსკოვის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა ღირიურობების ნიჭსა და უნარს. „შეორე კონცერტზე თავისი ოსტატობა გვაჩვენეს ახალგაზრდა ღირიურობმა ვახტანგ ფალიაშვილმა და ჭეშალ გოციელმა, რომლებიც უღაოდ ნიჭიერი და ალღოიანი მუსიკოსები“. — წერდნენ დედაქალაქის გაზეთები.

დაიწყო დამატული შრომით აღსავსე პერიოდი. 1944 წლის 28 აპრილს შედგა მისი სადებიუტო სპექტაკლი „დაისი“, „აბესალომ და ეთერსაც“ უღირიუორა“. სისტემატური შრომით მან ახალგაზრდობაშივე კარგ წარმატებას მიაღწია, საპასუხისმგებლო რეპერტუარის ერთერთი წაშუყვანი ღირიუორი გახდა.

1945 წლის 11 თებერვალს პირველად უღირიუორა ჩაიკოვსკის „ევგენი ონგინს“ (დადგმა ა. წუწუნავასი), ათიოდე დღის შემდეგ „გედის ტბას“. ამ დადგმის შესახებ გაზეთში ვკითხულობთ: „შესანიშნავად მიჰყავს ორკესტრი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გრ. კილაძეს. უნარიადა დკას საღირიუორო პულტთან მისი ასისტენტი, ახალგაზრდა ღირიუორი ვ. ფალიაშვილი, რომლის ხელმძღვანელობით 21 თებერვალს წავიდა „გედის ტბა“. ეს დებიუტი მის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს“.

1946 წელს ვ. ფალიაშვილი მონაწილეობს ლენინგრადის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ახალგაზრდა ღირიუორების დათვალეირებაში. ფალიაშვილმა საკონცერტოდ ფრანკის სიმფონია არჩია. აღნიშნულ პაექრობაში დ. შოსტაკოვიჩის ხელმოწერით ქების სიგელი დაიმსახურა.

1950-51 წლის სეზონში მან უღირიუორა ე. ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკის“. ამ სპექტაკლის შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში ვკითხულობთ: „ზომიერების გრძნობით მიჰყავს ორკესტრი ნიჭიერ ახალგაზრდა ღირიუორს ვ. ფალიაშვილს. მისი დაკვირვებული ხელმძღვანელობით ორკესტრი უღერდა რბილად და არასდროს ახშობდა ვოკალის ხმოვანებას. როგორც ჩანს, ფალიაშვილმა დეტალურად შეისწავლა ნაპრავნიკის პარტიტურა. ორკესტრი ღრმა განცდით, გულშიჩამწვდომი გრძნობით ასრულებს ცნობილ ლირიკულ „ღაშის ინტერმეოს“.

სამოცდაათიან წლებში თბილისის ოპერისა

და ბალეტის თეატრის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რეჟიზ გაბიჩვაძის სამმოქმედებიანი ბალეტი „ჰამლეტი“, რომელსაც ღირიუორობდა ვ. ფალიაშვილი.

„ჰამლეტმა“ დიდი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. სსრკ სახალხო არტისტმა, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ტ. სრენიკოვმა განაცხადა: „ეს გრანდიოზული სპექტაკლია მთელი თავისი კომპონენტებით... დიდებული მუსიკა ძალზე გამომსახველი და სახიერია, იგი ბრწყინვალედ იქნა გახსნილი ორკესტრის მიერ ვ. ფალიაშვილის ღირიუორობით“.

ვახტანგ ფალიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი საინტერესო ფურცელთაგანია საზღვარგარეთული გასტროლები. ღირიუორი ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირლანდიაში, ბრაზილიაში, კანადაში, გერმანიაში, ფილიპინებზე, პოლონეთში, არაბთა ქვეყნებში, კუბაში, კონგოში. ღირიუორის საგასტროლო მოგზაურობა კუბით დაიწყო. უღირიუორა ჰავანის სიმფონიურ ორკესტრს. პროგრამაში იყო ვაგნერის ფრანკის, შოსტაკოვიჩისა და ფალიაშვილის ნაწარმოებები. მისმა გასტროლებმა ყველგან საერთო მოწონება დაიმსახურა. კუბის კულტურის მინისტრი დეკემით იტყობინებოდა, რომ „მას წილად ხვდა უღიდესი წარმატება, როგორც მანამდე არც ერთ ღირიუორს არ ჰქონია... ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურა ვახტანგის საღირიუორო ხელოვნებამ სხვა ქვეყნებშიც“.

ვახტანგ ფალიაშვილი ფართო დიპაზონის მაღალნიჭიერი ხელოვანი გახლდათ, დაჭილდოებული იყო ანალიტიკური ნიჭით, ღრმად წვდებოდა მუსიკალური ნაწარმოების არსს, კლასიკური იყო ის თუ თანამედროვე. მათ გახსნაში იშვიათი თავისთავადობას აღწევდა. თავისი მაღალი კულტურით, დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობით, ფაქიზი გემოვნებით და ზომიერების იშვიათი გრძნობით მან მსმენელთა უზაზღვრო სიყვარული დაიმსახურა და წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

თეატრალური წიგნის თარო

ჯაბა იოსელიანის  
„სერგო ამაღლებელი“

სერგო ამაღლებელი ოციან-ოცდაათიანი წლების საბჭოთა მხატვრული კულტურის ფართოდ ერუდირებული მოღვაწე — გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე, თეატრალური კრიტიკოსი, დრამატურგი და ენერგიული პრაქტიკული მოღვაწე გახლდათ.

ჯაბა იოსელიანის წიგნის ღირსება სწორედ ის არის, რომ სერგო ამაღლებელის შემოქმედება და ორგანიზაციულ-პრაქტიკული საქმიანობა შესწავლილია ფართოდ მომცველი მრავალმხრივობით და ისტორიულობის ისეთი მასშტაბით, რომ იგი არა მარტო ერთი გამოჩენილი პიროვნების დამახასიათებელი მონოგრაფიაა, არამედ ოციანი და ოცდაათიანი წლების საბჭოთა მხატვრული კულტურის ისტორიული დახასიათებაცაა. რამდენადაც სერგო ამაღლებელი, ამ დროს, მხატვრული კულტურის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და ქმედით ცენტრალურ ძალას წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ რომში, პირველ საერთაშორისო თეატრალურ კონგრესზე, საბჭოთა დელეგაციას სერგო ამაღლებელი მეთაურობდა.

წარმოსადგენია, თუ რა დიდ სიძნელეს უნდა შესქილებოდა ჯაბა იოსელიანი, როდესაც სერგო ამაღლებელზე შრომის დაწერას ხელს კიდებდა. მასაღობი ძნელად მოსაპოვებელი იყო; და, მართლაც, ბევრი ოფიციალური საბუთი, ეპისტოლარული დოკუმენტი, თუ ავტორისეული შემოქმედებითი ხელნაწერი მოთმინებთ, საოცარი მიზანსწრაფვით, ხანგრძლივი ძიების შედეგად არის მიგნებული და აღმოჩენილი; მასალა ამ წიგნისათვის არა მარტო სახელმწიფო არქივებსა და მუზეუმებშია დაძებნილი და მოპოვებული, არამედ ზოგი საგულისხმო ცნობა და ხელნაწერი კერძო პირთა საცავებშია მიკვლეული. მაგალითად, ს. ამაღლებელის პიესა „ბედნიერების ოსტატები“ შემოწახსული აღმოჩნდა ალექსანდრე ოსტუევის (1874-1953) საცავში. ჯ. იოსელიანმა სრულიად მართებულად ამ ფაქტში ამოკითხა ოსტუევის მადლიერების გრძნობა ამაღლებელისადმი, რომელმაც ამ დროს ოსტატს დაუბრუნა მასუბრებელია აღტაცება. ამაღლებელმა ალექსანდრე ოსტუევის შექმნილი ოტელიოს როლი განესახიერებინა (1935), რითაც ამ სპექტაკლმა გარკვეული ეტაპი შექმნა საბჭოთა თეატრის განვითარებაში. 20-იანი და 30-იანი წლების პერიოდული გამოცემების შესწავლითაც ჯ. იოსელიანმა გამოავლინა ს. ამაღლებელის დღეს ნაკლებად ცნობილი და მივიწყებული ნარკვევები და წერილები. ურომოლსოდაც ვერ შეიქმნებოდა სრული წარმოდგენა

ს. ამაღლებელის შემოქმედებით შემკვიდრებოდა, მის წვლილზე საბჭოთა თეატრმცოდნეობის განვითარებაში. ამის დამატებით წიგნის ავტორმა თავი მოუყარა თითქმის ყოველივეს, რაც კი თქმულა და დაწერილა მასზე. მთელი ეს მრავალმხრივი მასალა, დაბეჯითებით შეაჯერა. გარკვეულ სისტემაში მოიყვანა, საფუძვლიანად შეისწავლა, რათა ცხადყო საბჭოთა თეატრმცოდნეობაში, საერთოდ, საბჭოთა მხატვრული კულტურის ისტორიაში ამ შესანიშნავი მოღვაწის როლი და მნიშვნელობა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჯაბა იოსელიანის წიგნის წარმომავლობა. მან თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლების კურსის დამთავრებისას, სადიპლომო შრომის თემად „სერგო ამაღლებელი“ აირჩია და წარჩინებითაც დაიცვა. შემდეგ წლებში, ის არ შეეშვა დაწეხულ შრომას. ფლობით და წლობით მუშაობდა თბილისის, მოსკოვის არქივებსა და მუზეუმებში; დაძებნა, მოიპოვა მეცნიერულ მიმოკცევაში შეზოიგანა ახალი მასალები, დაწერა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომა და ისეთი წარმატებით დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომ უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა მუშაობის ადმრულაციო ამ მნიშვნელოვანი შრომის გამოკვეყნებისათვის, ამის შემდეგაც ჯ. იოსელიანი განაგრძობს თავის შრომას მუშაობას, ახალი მასალებით ავსებს, დებულებებს აზუსტებს, სადისერტაციო შრომის დაცვისას პაექრებაზე მიღებულ შენიშვნების ანგარიშგაწევით, სრულყოფს თავის შრომას და ასეთი სახით აქვეყნებს მას წიგნად.

გარკვეული თემისადმი ერთგულება, წლობით ამ თემაზე თავადებლად, თავგანწირვით მუშაობა მოწივებს ჯ. იოსელიანის ნებისყოფას, ერთხელ ქმნილის სრულყოფისა და გაღრმავებისაკენ დაუცხრომელ მისწრაფებას, რაც ასე აუცილებელია შემოქმედი მკვლევარისათვის.

წიგნის დასაწყისში მოცემულია ს. ამაღლებელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დოკუმენტრებული ქრონიკა (გვ. 5-20). გამოყენებულია მონტაჟის ხერხი და, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ერთ მთლიანობაში მოყვანილი, წიგნის ავტორის ქრონიკალური, ხასრტად და მოკლედ გამოთქმული ცნობები, ნათელყოფილი და ხორცშესხმული სრულად სხვადასხვა ეპარის და სტილის მადოკუმენტრებული მასალებით. აქ ერთი მეორეს გვერდზეა ციტატები მხატვრული ნაწარმოებებიდან. მემუარული ლიტერატურებიდან, ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, კანცელარული ოფიციალური საბუთებიდან, არქივებიდან, ნაჩუქრობის წარწერებებიდანაც კი. ყოველივე ეს ისეთი ხერხიანი მონტაჟით არის შეკრული, რომ გამჭოლი ერთიანი მოქმედების ხაზი არის გავლებული, თავისებურ რიტმშია მოქცეული და საბოლოოდ ერთმთლიანობაში მოყვანის შედეგია რომელიც არის წამოჩენილი. ესეც უნდა ითქვას, რომ ასეთი ხერხი და მიდგომა მეცნიერული შრომისათვის სრულიად გამართლებული ჩანს, რამდენადაც მკითხველს ინტერესს აღძვრელი, მთელი წიგნის შინაარსის გადმოშვებში შესავლის სახით იკითხება.

თავის ამ წიგნში, ჯ. იოსელიანმა საჭიროდ ჩათვალა ს. ამაღლებელის გიმნაზიასა და უნი-



ვერსიტეტში სწავლის წლები, თავისებური პირობები და მასწავლებელ-პროფესორები გაეხსენებია. ამით ავტორმა გასაგებად აქცია ქაბუკი ამაღლობელის ცოდნის საფუძვლიანობა, რასაც ის სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ამუშავებდა. თუ ყოველივე ეს არ იქნებოდა გათვალისწინებული, მაშინ გაუგებარი დარჩებოდა საზოგადოებრივ, სამხატვრო და სამეცნიერო სარბიულზე ახალგაზრდა ს. ამაღლობელის თავბრულაშხვევი წარმატებები.

საკითხებისადმი ისტორიული, კლასობრივი მოდგომა ჯ. იოსელიანის წიგნის დასკვნებს მტკიცე საყრდენს უქნის. ეს ნამდვილად ამ შრომის ღირსებაა. ჯ. იოსელიანი კარგად ერკვევა, თუ ისტორიული პროცესის კონკრეტულ მომენტში რა ობიექტური ვითარება შეინიშნება და რომელი სოციალური ფენის, კლასის ინტერესები განაპირობებენ პროგრესს ამ კონკრეტულ ვითარებაში. სხვადასხვაგვარი იყო თეატრმცოდნეობის განვითარების გეზი ოციან და ოცდაათიან წლებში. თეატრის შემოქმედ მუშაკთა შორის ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ბურჟუაზიულ მეცნიერთა ფილოსოფიურ, სოციალურ და ესთეტიკურ მოძღვრებათა გავლენა. ამიტომაც, ოციან წლებში, საბჭოთა თეატრმცოდნეობის განვითარების პირველ ათეულ წლებში, დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ბრძოლას იდეალისტური ფილოსოფიის და ესთეტიკის წინააღმდეგ; ამიტომაც იყო, რომ ამ დროს, მარქსისტულ სოციალურ მდგომარეობაში კრიტიკები და პუბლიცისტები დიდ დროს და ენერჯიას ახმარდნენ ბურჟუაზიულ ხელოვნებათმცოდნეობის კრიტიკას.

მონოგრაფიის ავტორი ღრმა წვდომით და ისტორიულობის უზაოდ აღმოიხატა ახერხებს ს. ამაღლობელის ნაწერებში მთავარი და არსებითი ამოკითხვის და პასუხი გასცეს ყველა კითხვას, რაც ასეთი ღრმა ამოკითხვისას აღიჭრება. ეს კი შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ მთელი დიდი მასალა, რაც ჯ. იოსელიანს დაუბრავდა, ისეთ წესრიგშია მოყვანილი, ისეა დალაგებული და აწონილ-დაწონილი, რომ ობიექტური ანალიზის შესაძლებლობა არის განპირობებული. შრომის ავტორი არ უფრთხის და არ ერიდება მიუკეძოებლად აღნიშნოს ს. ამაღლობელის შემოქმედებაში ცალკეული ნაკლი შეცდომა, თუ მარცხი, ყოველივე ეს ამ წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა. ასეთი შეფასება რომ ლიტონ სიტყვად არ ჩამოშორდეს, რამდენიმე მაგალითს მოვიყვანო ჯ. იოსელიანის განსახილველი წიგნიდან. ავტორი განიხილავს რა „თეატრი დრამატურგის“ 1935 წლის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ ს. ამაღლობელის წერილს, რომელშიც ქართული საბჭოთა თეატრის მოკლე ანალიზია მოცემული, უარყოფითად ახასიათებს ს. ამაღლობელის დოქტორალურ ტონს, მოვლენათა უაქტუალო განმარტებას, თეატრალური ვითარების მისი უკიდურესი წერტილით განსაზღვრას. (გვ. 74). იქვე მარჯანშვილის და ახმეტელის შემოქმედებში ს. ამაღლობელის მიერ გაორების ხაზს ეხება და დასკვნის, რომ „ამაში რასაკვირველია არის თვალნათლივი გამოსახულება, მაგრამ ასეთი გაორებისა და შეუთავსებლობისაგან თვით ს. ამაღლობელის პოზიციაც არ არის დასველებული. ასეთი შემოქმედებითი გაორების პასუხი ეპოქის კომპლექსურ ანალიზში უნდა ვეძიოთო (გვ. 74).

მცდარად და შეცდომად მიაჩნია ს. ამაღლობელის მტკიცება, თითქმის თეატრის საწყის

სებზე რელიგიას არავითარი გავლენა არ ჰქონდეს.

განიხილავს რა წიგნში „ქართული თეატრი“ თეატრის განვითარების ამაღლობელის მიერ წარმოადგენულ სქემას, ჯ. იოსელიანს იგი შექანიკურად და არათანამიმდევრულად მიაჩნია... ასევე მართებულად არ მიაჩნია ჯ. იოსელიანს ისტორიის ს. ამაღლობელის მიერ გ. ერისთავის თეატრის სტილის ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარებასთან მიხედვება და ბურჟუაზიულ სტილად გამოცხადება. სადავოდ მიაჩნია ჯ. იოსელიანს ხელოვნების დარგში სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთ გავლენათა შემოფარგვლა ამ ქვეყნების საწარმო ძალების მსგავსება-იგივეობით, რაც მას იმდროინდელ ვულგარული სოციალოგიზმის გამოვლინებად მიაჩნია (გვ. 100). ვ. ვიშნევსკის შემოქმედების განხილვაშიაც ცალმხრივობა შეუმჩნევია და აღუნიშნავს (გვ. 142).

ამაღლობელის მსჯელობაში ხალხთა კულტურის კლასობრიობასა და გენიალური შემოქმედლის სოციალური წრით შემოფარგვლაზე ჯ. იოსელიანის განსჯით წინააღმდეგობებით არის სახვე; ასევე ლოგიკას მოკლებულად მიაჩნია, ამაღლობელის ახალი მსახიობით, ახალი განცდით გაპირობებული ახალი თეატრის შექმნის დებულება (გვ. 83-84).

მიუხედავად იმისა, რომ ს. ამაღლობელი ამ წიგნში ძირითადად შესანიშნავ მოაზროვნედ, მოღვაწედ და შემოქმედად არის დახასიათებული, ავტორი ვერ ეგუბა და ვერ ურიგდებდა ყოველივე იმას, რაც დოქტორალურ ტონს, უაქტუალო განმარტებებს, ვითარების მისი უკიდურესი წერტილით განსჯას, ზედმეტ პრინციპულობას, მექანიკურ და არა თანამიმდევრულ სქემებში ჩაქვევით ისტორიის წარმოსახვას, ულოგიკობას და წინააღმდეგობებს, ვულგარული სოციალოგიზმის გამოვლინებას შეადგენს და ამა თუ იმ დრამატურგის შემოქმედების ცალმხრივ განხილვას წარმოადგენს.

და აქვე ერთი შენიშვნაც, მიხილ ბულგაკოვის „ტურბინთა დღეების“ ამაღლობელის მიერ შეფასების შესახებ. ჯ. იოსელიანი ამ დღეების შესახებ ამაღლობელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში მისი ესთეტიკური პოზიციის გაორებას ხედავს. ჯ. იოსელიანის წიგნის 136-ე გვერდზე ვკითხვობთ — ს. ამაღლობელისათვის დახასიათებულ წინააღმდეგობათა — ზოგად აზრთა სუბიექტური მიმართებისა და კონკრეტულ ფაქტთა ობიექტური ბუნების აღიარების ნიმუშია სამხატვრო თეატრის სპექტაკლის — მ. ბულგაკოვის „ტურბინთა დღეების“ დახასიათება. მას არ მოსწონს მყურებლის რეაქცია, იგი თვლის, რომ აუდიტორია თერაპევტიკული მხარა და მომავლის უარყოფილ პიესას უნებლიეთ უმაღლეს შეფასებას აძლევს“ (გვ. 136). შეიძლებოდა ობიექტურობის მინდვით ისიც აღგვენიშნა, რომ ამ პიესის დადგმის მყურებელზე ზეგავლენის ასეთ დახასიათებათა გამო სამხატვრო თეატრის სპექტაკლი აკრძალულ იქნა. სტანისლავსკიმ წერილით მიმართა აბელ ენუქიძეს, რომელიც ამ დროს იმ კომისიის თავმჯდომარე იყო, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ავადმყოფი თეატრების ხელმძღვანელობა. სტანისლავსკი ითხოვდა ნებადართული ყოველივე „ტურბინთა დღეების“ აბელ ენუქიძემ ყოველივე იღონა და სამხატვრო თეატრს

ნება დაერთო ადვოკატი „ტურბინთა დღეები“ (დ. ჯანელიძე, სახიობა, წიგნი III, თბ., 1980, გვ. 247-248). ამ სპექტაკლის პარტიულმა შეფასებამ გამოხატულება ჰპოვა ი. სტალინის პასუხში ბილ-ბელოცეროვსკის წერილზე (1929 წ.): „რაც შეეხება თვით პიესას „ტურბინთა დღეებს“, იგი არამცოლ იხე ცუდად, ვინაიდან სარგებლობას მტეს იძლევა. ვიდრე ზიანს. ნუ დავიწყებთ, რომ ძირითადი შთაბეჭდილება, რომელიც ამ პიესიდან რჩება მყურებელს, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი შთაბეჭდილებაა: „თუ ტურბინებისთანა დაშვანებით კი იძლევა ბუღნი არიან იარაღი დაყარონ და ხალხის ნებას დაემორჩილონ, საბოლოოდ წაგებულად სცნონ თავისი საქმე. — ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველნი არიან, მათ, „ბოლშევიკებს, ვერაფერს უზამთ“. „ტურბინთა დღეები“ ბოლშევიკების ყოვლისმძლე ძალის დემონსტრაციაა“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. II, გვ. 364-365). თანამედროვე თეატრმცოდნეობაშიც ის აზრია დამკვიდრებული, რომ „ტურბინთა დღეები“ ასახავდა რუსი ინტელიგენციის მიერ ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული კანონზომიერების და სამართლიანობის აღიარებას“, ს. ამალობელის მიერ „ტურბინთა დღეების“ შეფასების შესახებ უნდა გვეთქვას, რომ იგი არ ემთხვევა ამ პიესას დადგმის არც ისტორიულად პარტიულ შეფასებას და არც თანამედროვე თეატრმცოდნეობაში დამკვიდრებულ შეხედულებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ს. ამალობელის ნარკვევი „სოციალისტური ოპტიმიზმის თეატრზე“, რასაც ჯ. იოსელიანმა მთელი თავი მიუძღვნა: „სერგო ამალობელის ესთეტიკური იდეალი და იმის დრამატურგია მით უნეტეს, რომ „სოციალისტური ოპტიმიზმის თეატრის“ დებულებები, რაც ს. ამალობელმა გამოიმუშავა და წარმოადგინა, იოსელიანს მოაჩინა „საბჭოთა დრამატურგიის ზოგადი თეორიის, საბჭოთა თეატრმცოდნეობის კრიტიკიუმის ერთ-ერთ პირველ წყაროდ, ერთ იმ თეორიულ ნაკადად, რაც შემადგენელ ნაწილად შეუერთდა სოციალისტურ რეალიზმს (გვ. 184). და ეს მართლაც ასე იყო, რამდენადაც სანამ ეს ტერმინი გამოჩნდება (1932 წელს) უკვე ლაპარაკი იყო პროლეტარულ, პეროიულ, რომანტიკულ, სოციალურ რეალიზმზე, რეალიზმის და რომანტიზმის შერწყმაც — ერთი ამთავანი იყო ს. ამალობელის ცდა საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების თავისებურების გარკვევისა. ჯ. იოსელიანის ანალიზი ს. ამალობელის ამ ცდისა მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რამდენადაც ნაჩვენებია თანამედვერობით სოციალისტური ოპტიმიზმის თეატრის „მეთოდის“ წარმომავლობა (გორკის, ლუნაჩარსკის, რომენ როლანის, კ. მარჯანიშვილის, სტანისლავსკის) შეხედულებათა გაზიარების საფუძველზე და ყველა ის თვისებები, რაც „სოციალური ოპტიმიზმის თეატრს“ სოციალისტური რეალიზმის მეთოდთან თანდამთხვევაზე მიუთითებს (გვ. 175-184).

ჯ. იოსელიანის მიერ აღნიშნულია ის წვლილი, რაც ოცდაათიან წლებში ს. ამალობელმა შეიტანა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მართებულ გარკვევაში.

სერგო ამალობელი არა მარტო ქართული თეატრმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო, არამედ მან დასაბამი დაუდო ქართულ კი-

ნომცოდნეობასაც. ამ სწრავე უთუოდ გასაზიარებელია ჯ. იოსელიანის შეფასება ს. ამალობელის წვლილისა საბჭოთა კინომცოდნეობაში: „თეატრის და კინოს პრობლემები“ დაწერილია 1927 წელს, როცა — ჯ. იოსელიანის თქმით, — ა. ლუნაჩარსკის, ს. ეშენშტინის, დ. ვეტროვის და სხვათა რამდენიმე თითოე ჩამოასრულებული სტატიის გარდა სპეციალურად კინოზე, მთელ საბჭოთა კავშირში, ბროშურაც არ არსებობდა, არა თუ ასეთი სტელტანინა გამოკვლევა; მაშინ, როდესაც კინოს ხელოვნებად მიჩნევა ჯერ კიდევ საკამათო ფაქტი იყო, როდესაც ჯერ არც ხმოვანი და არც ფერადი კინო არ იყო. და მაინც ამ წიგნში წამოჭრილი თითქმის ყველა საკითხი დღესაც უაღრესად თანადროულად უდერს“ (გვ. 88-89).

ჯ. იოსელიანი ს. ამალობელის ნაფიქრ-ნაზარეს და ნაშრომწარს დღევანდელ თანამედროვეობაში გარკვევისათვის და მომავლის განმცრეტაში გამოყენების თვალსაზრისით აფასებს, და მართლაც, აი, იოსელიანს ხაზგასმით მოჰყავს ამალობელის წიგნიდან მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ ავტორმა ჯაყოს, თეიმურაზის და მარგოს ასახვა კარგად შესძლო, მაგრამ უკალამი შეერღება ახალი ტიპის შექმნის დროს“ (გვ. 83). ეს სოფ ისეთი ავტორისეული მოწმობაა სერგო ამალობელის მიერ ახალი მორალის და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემისათვის მოხმობილი და ჯ. იოსელიანის მიერ აღწერილი, რაც დღეად დღევანდარებოდა „ჯაყოს ხიზნების“ სატელევიზიო დადგმის შეფასებაშიაც.

თანადროული თეატრმცოდნეობითი აზრისათვის ანგარიშგასაწევად შეჩვენებაა, რაც ჯ. იოსელიანის წიგნში მკითხველის საყურადღებოდ ამალობელის ნაზრევიდან არის წამოჩენილი რეჟისორის ხელოვნების შესახებ: „რეჟისორი თეატრალური შემოქმედების საერთო ნების შესაქმნელად, მაგრამ სცენური თეატრების ძირითად ელემენტად, მაინც მსახიობი დარჩა“ (გვ. 88).

ჯ. იოსელიანის წიგნში ვრცელი მიმოხილვაა არის სახიერად დახასიათებული და შეფასებული ს. ამალობელის პრაქტიკულ-მეცნიერული და შემოქმედებით-ორგანიზაციული საქმიანობა და მოღვაწეობა. ს. ამალობელი, როგორც ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტის წევრი და სწავლული მდივანი, ლოკაფის, ვსეროსკოდრომის პასუხისმგებელი მდივანი, უფროსად „თეატრი დრამატურგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ახალი და მცირე თეატრების დირექტორი, შინ და გარეთ თეატრალური დელეგაციების მეთაური და რამდენი კიდევ ერთი... რაღაც საოცარი ენერგიის, დაუღალავი თაოსნობის, წინამძღოლ თავკაცად წარმოგვიდგება. თითქმის ეს ყოველივე კმაროდა და სოფ. ზემეტჩინოში საკოლმეურნეო თეატრს ხსნის, დრამატურგ ა. ოსტროვსკის მუზეუმს აარსებს. მას ურთიერთობა და ახლო მეგობრობა აკაშინებდა ოციანი და ოცდაათიანი წლების კულტურის მოწინავე წარმომადგენლებთან — ლუნაჩარსკის დაწყებული — რომენ როლანის და კრეგიტ გათავებული. ყოველივე ამის სურათი ინტერესის აღმძვრელი სახიერებით არის წამოჩენილი ჯ. იოსელიანის წიგნში.

დომინტი ჯანელიძე

# საქართველოს სსრ ტიანტრევის რეპერტუარი

1981 წლის I იანვრიდან 1981 წლის I ივლისამდე

10 იანვარი. აღ. მითაიშვილი, „ახირებული ზერიკაციები“. პიესა 2 ნაწ. დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარი — გ. ბერეჩიკიძე, მუსიკ. გააფორმა ნ. ედგარიძემ, ლობჯანიძე ა. კავსაძე, ქორეოგრაფი ა. გვაძაბია. ზუგდიდის შ. დადიანის სახ. თეატრი.

14 იანვარი. ლ. უფხოვიცი, ს. კოზლოვი „ცისფერი ირემი“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელი — ელ. ერქომაიშვილი. დადგა გ. სარჩიმელიძემ, მხატვარი — გ. აბაქელია, კომპოზიტორი თ. ბაკურაძე. თოჯინების ქართული თეატრი.

24 იანვარი. ა. კაზანცივი, „ძველი სახლი“. პიესა 2 ნაწ. დადგა გ. შორდანიამ, რეჟისორი — გ. ჩერქეზიშვილი, სცენოგრაფია გ. გუნიასი. მუსიკ. გააფორმა რ. გევენიანმა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი.

21 იანვარი. ა. ჩხიკვიშვილი, „გზა“. პიესა 2 მოქ. დადგა — ს. მრევლიშვილმა, მუსიკ. გააფორმა ლ. ასათიანმა. ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია. („მეტეხი“).

21 იანვარი. ა. დანილოვი „ერთი დანაშაულის ისტორია“ („მილიციის კომისარია“). მთარგმნელი ვ. ძიგუა, დადგა ლ. ბულუხიამ, მხატვარი ე. ჯიხაძე, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრიანმა, ქორეოგრაფი — ლ. ბაბკოვა, სპექტაკლის კონსულტანტი, — მილიციის პოლიოლოგიკი — ზ. მუჟანაძე. ჭიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

26 იანვარი. შ. ჭკალუა „თოჯინა“. კომედია 2 მოქ. დადგა დ. კორტავამ, მხატვარი — ე. კოტლიაროვი, მუსიკ. გააფორმა — კ. გოდუაძემ. სოხუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრი.

27 იანვარი. რ. სტურუა ა. ვარსიმაშვილის და ლ. ფოფხაძის მონაწილეობით „ვარიაციები თანამედროვე თეატრზე“. დადგა რ. სტურუამ, რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი, მხატვარია გ. მესხიშვილი, კომპოზიტორი — გ. ყანჭელი, ქორეოგრაფი — იუ. ზარეციკი. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

27 იანვარი. მ. ბარათაშვილი. „ფრთხილად, სასიკვდილოა!“ დრამა 2 მოქ. დადგა ი. მაცხოვნაშვილმა, მხატვარი ჯ. დანელია, მუსიკ. გააფორმა გ. მაცხოვნაშვილმა. ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრი.

29 იანვარი. ვ. იაკაშვილი „ჰორიზონტს იქით“. პიესა 2 მოქ. დადგა — თ. მესხმა, მხატვარი — ლ. მურუსიძე, მუსიკ. გააფორმა დ. ტურიაშვილმა. ზუგდიდის შ. დადიანის სახ. თეატრი.

6 თებერვალი. ლ. როსება „პროვინციული ამბავი“. სამმოქმედებიანი პიესა. დადგა მ. კუჭუხიძემ, მხატვარი „სამეული“. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

6 თებერვალი. რ. ჩოჩიევი „კოსტა“ („ხალხის სახელით“) დრამა 2 ნაწ. დადგა გ. ლალიძემ, მხატვარია რ. ჩოჩიევი, კომპოზიტორი დ. ხახანოვი. ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ქართული დასი.

14 თებერვალი. ა. ბარსელიანი, „კამო“. დრამა 2 ნაწ. დადგა ჰ. უმიკიანმა, მხატვარი შ. ტერმინასიანი, მუსიკ. გააფორმა ფ. არამიანმა. შალ-მიანის სახ. სომხური თეატრი.

20 თებერვალი. ი. შტრაუსი „ბოშათა ბარონი“. ოპერეტა 2 მოქ. ქართული ტექსტი ვ. ნიკოლაძისა, დადგა ვ. ნიკოლაძემ, მხატვარი ნ. გაფრინდაშვილი, კოსტუმების მხატვარი ოლ. თავაძე, ქორეოგრაფი იუ. ზარეციკი, ქორმასტერი ა. განუგრაფა. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

21 თებერვალი. რ. იბრაგიმბეკოვი „უამი ჭეშმარიტებისა“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელია ჯ. თითმერია, დადგა დ. კობახიძემ, მხატვარი ნ. გაფრინდაშვილი, მუსიკ. გააფორმა დ. ტურიაშვილმა. რუსთავის თეატრი.

21 თებერვალი. გ. ნახუცრიშვილი „კომბლე“. ხალხური სანახაობა 2 ნაწილად. დადგა დ. ცისკარიშვილმა, მხატვარი — თ. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი. ქორეოგრაფი კონსულტანტი შ. გეგიაძე. გორის გ. ერისთავის სახ. თეატრი.

23 თებერვალი. ნ. დუმბაძე „ნუ გეშინია, დედა!“ ლირიკული დრამა 2 მოქ., მთარგმნელია გ. აღამირზიანი. დადგა ლ. მირცხულავამ, რეჟისორი ე. ბასილაშვილი, სცენოგრაფია ნ. გაფრინდაშვილისა, კომპოზიტორი — გ. ჩლაიძე, ქორეოგრაფი იუ. ზარეციკი, ხმის რეჟისორი — გ. მირგელოვი. ლენინური კომკავშირის სახ. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.

24 თებერვალი. ბ. ლავრენიევი „ორმოცდამეერთე“ დრამატული ამბავი 2 მოქ. სცენური კომპოზიცია გ. ჩაკვეტაძისა, დადგა გ. ჩაკვეტაძემ, სცენოგრაფია ლ. მანთიძისა, კომპოზიტორი ა. რაქვიშვილი. დადგმის მხატვრული ხელმძღვანელია გ. შორდანი. ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი.

25 თებერვალი. გ. ბერიაშვილი „ილო, ელო

და ქვერევიბი“. კომ. 2 მოქ. დადგა ვ. ფაჩულიამ, მხატვარი ა. გოგოლაძემ, ქორეოგრაფი ვ. კვინციხაძემ, მუსიკ. გააფორმა ა. ხომერიკმა. მესხეთის თეატრი.

1 მარტი. აღ. სამსონია „ორმოცწლიანთა კლუბი“, ორმოქმედებიანი პიესა. დადგეს გ. აბესაძემ, დ. ხინკაძემ, მხატვარი ა. ფილიპოვი, მუსიკალურად გააფორმა თ. შამილაძემ, ხმის რეჟისორი ვლ. ოქუაშვილი, ქორეოგრაფი რ. მამალაძე. ბათუმის, ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრი.

3 მარტი. პ. ჩაიკოვსკი „ეგვიპტი ონეგინი“. რეჟისორი ს. შუტინი, დირიჟორი კ. სურმავა, მხატვარი ვ. სევასტიანოვი. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.

3 მარტი. შ. როჟა „მდინარის იქით ჩემი სოფელი“. დრამატული მოთხრობა 2 ნაწ. თარგმანი და სცენური რედაქცია ეკუთვნის ლ. ხოლენდროს. დადგა ვ. ვოლგუსტმა, ქორეოგრაფია ნ. გაფრინდაშვილისა, მუსიკა შერჩეულია ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, ხმის რეჟისორი გ. შერგელოვი. ლენინური კომპაზიორის სახ. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.

8 მარტი. კ. გოლდონი „მშვენიერი ქართველი ქალი“ — კომ. 2 მოქ. მთარგმნელი ზ. სტურუა, დადგა ა. ვარსიანაშვილმა (რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტი). დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელია რ. სტურუა, მხატვარი — მ. შველიძე, კომპოზიტორი ვ. კახიძე, ქორეოგრაფი იუ. ზარეცკი, კონცერტმასტრი ლ. სიყმაშვილი, დირიჟორი ლ. ოგანეზოვი. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

14 მარტი. გ. ნარტიკოვი. „ოჰ, ეს მოხუცე ბი“. კომ. 2 მოქ. დადგა — ფ. ხარებოვა, მუსიკა ე. პლიევის, ქორეოგრაფი მ. შავლობოვი. ცხინვალის ხეთაგუროვის სახ. თეატრის ოსური დასი.

15 მარტი. დ. ჩიბაროვა. „საიდუმლო ქორწინება“. დადგა გ. თუმანიშვილმა, დირიჟორი თ. ქუმბურძე, მხატვარი გ. თუმანიშვილი, რეჟისორი თ. ქუმბურძე, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალი.

22 მარტი. შ. მილორავა. „სიმღერა მანც დამიტოვეთ“ ვოდევილი 2 მოქ. ტექსტის ავტორი — ლ. ჭუბაბრია, დადგა ზ. კახიანი, დირიჟორი გ. კახიანი, მხატვარი იუ. იმერლიშვილი, ქორეოგრაფი — კ. მხელაძე. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

24 მარტი. შ. შენგელია. „ჩემი ენგურჭესი“. პათეტური მოთხრობა 2 ნაწ. დადგა ა. გვაძაბამ, მხატვარი ე. კოტლიაროვი, მუსიკ. გააფორმეს თ. გაბედავამ, ტ. დარასელიამ. ზუგდიდის, შ. დადიანის სახ. თეატრი.

26 მარტი. აღ. ჩხაიძე. „თავისუფალი თემა“. პიესა 2 მოქ. დადგა ო. ცერაძემ, მხატვარი ზ. ცხადაია, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ. ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრი.

27 მარტი. ლ. ქიაჩელი. „ჰაი აბა“. ერთმოქმედებიანი დრამა ინსცენირებულია გ. ხუნაშვილის მიერ. დადგა თ. ჩხეიძემ, მხატვარი „სამეული“. სპექტაკლი გამოყენებულია იმანტ კალენის IV სიმფონია. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

28 მარტი. ნ. ოსტროვსკი. „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“ ილუსტრაციები რომანიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ინსცენირების ავტორები: გ. კვარაცხელია, გ. ქავ-

თარაძე. დადგა გ. ქავთარაძემ, რეჟისორი მ. ფურცხვანიძე, მხატვარი მ. შველიძე. ქუთაისის მ. მესხიშვილის სახ. თეატრი.

28 მარტი. გ. მოდელიძე. „ცარცის გორა“ პიესა 2 ნაწ. დადგა ლ. ბულუხიამ, მხატვარი ე. ჭოხაძე, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრიანმა, ქორეოგრაფი ლ. ბაბკოვა. ქიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

31 მარტი. ე. შვარცი. „წითელქუდა“. ზღაპარი 2 მოქ. მთარგმნელი ი. გრიშაშვილი, დადგა შ. გაწერელიამ, მხატვარი თ. ნინუა, ქორეოგრაფი კ. ძენლაძე, მუსიკ. გააფორმა ლ. გურგენიძემ. მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

31 მარტი. ლ. როსება. „პრემიერა“. კომ. 3 მოქ. დადგა ს. კიკვაძემ (რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი) საკურსო სპექტაკლი. შ. დარჩია, ქორეოგრაფი ა. გვაძაბია, მუსიკ. გააფორმა იუ. ჭიჭეიშვილმა. მახარაძის ა. წუწუნავას სახ. თეატრი. (პრემიერა ჩატარდა სოფ. მახარაძის კულტსახლში).

31 მარტი. პ. მერიმე. „ქალი, ალქაჯი ანუ წმინდა ანტონიოს ცთუნება“ — ერთმოქმედებიანი პიესა. მთარგმნელი შ. მანავაძე. მეორე განყოფილება — ფოლკლორული ჩანახატები. დადგა ვ. ჩიგოგიძემ, მხატვარი მ. თუმანიშვილი, მუსიკ. გააფორმა იუ. ჭიჭეიშვილმა, მუსიკალური ხელმძღვანელი იუ. ჭიჭეიშვილი. მახარაძის, ა. წუწუნავას სახ. თეატრი.

31 მარტი. გ. იმერელი „დადოსნური მღვიმე“. პიესა 1 მოქ. დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვრები გ. ბერეჩიკიძე, გ. თოდაძე, კომპოზიტორი — მ. დავითაშვილი. ქუთაისის თოჯინების თეატრი.

5 აპრილი. პ. მერიმე. „წმინდა ნაწილების ეტლი“ და „ალქაჯი“ კლარა გაზულის თეატრიდან დადგა მ. არეშიძემ (რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტი) მხატვარი გ. გუნია, კომპოზიტორი მ. ცერცვაძე, სცენური მოძრაობა — გ. ოსეფაშვილისა. ახალგაზრდული თეატრი-სტუდია („მეტეხი“).

10 აპრილი. ლ. ტოლსტოი. „კავკასიაში“ (კავკასიური მოთხრობა „კაჯაკები“, ინსცენირებული იუ. კაკულიას მიერ), დადგა იუ. კაკულიამ, მხატვარი — შ. ხუციშვილი, კომპოზიტორი ჯ. ბეგალიშვილი, ქორმასტერი ზ. კაკალაშვილი, ბალეტმეისტერი რ. წულუკიძე. სოხუმის ქართული თეატრი (პრემიერა შედგა ქ. ბათუმში გასტროლების დროს).

15 აპრილი. თ. მეტრეველი. „შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი“ — ფრიალ უჩვეულო ამბავი 2 აქტად. დადგა რ. ჩხაიძემ, მხატვარი მ. ჭავჭავაძემ, კომპოზიტორი გ. ყანჩელი. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

15 აპრილი. ე. სიმ-სიმი. „შორეული მზის სხივები“. დრამა 2 მოქ. დადგა ვ. კოვემ, მხატვარი ე. კოტლიაროვი, მუსიკ. გააფორმეს — კ. გოდუაძემ, ლ. ახბამ. სოხუმის, ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრი.

18 აპრილი. ა. ბაბიანი. „ვინ არის მკვლეელი?“. დეტექტივი 2 ნაწ. დადგა ჰ. უმიკიანმა, მხატვარი შ. ტურ-მინასიანი, მუსიკა ლ. ოგანეზოვისა, კონსულტანტი ს. ხაჩატრიანი. შაუშიანის სახ. სომხური თეატრი.

18 აპრილი. ა. აბდულინი. „მეცამეტე თავმჯდომარე“ თანამედროვე დრამა 2 ნაწ. მთარგმნელი გ. ბათიაშვილი (სპექტაკლი მიდის უან-

ტრაქტოდ) რეჟისორი — ნ. ლორთქიფანიძე, თელავის თეატრი.

18 პპრწლი. აღ. ჩხაიძე „შთამომავლობა“ პიესა 2 მოქ. დადგა — ი. მაცხოვანაშვილმა, მხატვარი ჯ. დანელია, მუსიკ. გააფორმა — გ. მაცხოვანაშვილმა, ფოთის ვ. გუნთას სახ. თეატრი.

28 პპრწლი. ა. გრიბოედოვი. „ვიი ქუთისაგან“ კომ. 2 მოქ. მთარგმნელი — გ. ალაშია, დადგა ვ. კოვემ, მუსიკ. გააფორმა ე. კოშნიდემ, ქორეოგრაფი იუ. ზარეცი, დეკორაციების მხატვარი ა. ლოსევი, კოსტუმების მხატვარი ო. შარაპოვა, სოსუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრი.

29 პპრწლი. ლ. თაბუკაშვილი. „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ დრამა 2 ნაწ. დადგა დ. ხინციქემ, მხატვარ-მოდელიორი ნ. ნიჟარაძე, მხატვარი ვ. ბესელია, მუსიკ. გააფორმა თ. შამილაძემ, ხმის რეჟისორი ვ. ოქუაშვილი, ბათუმის, ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრი.

1 მაისი. გ. ცაბაძე. „მსახიობიც საჭიროა“. მუსიკ. ვოდევილი 2 მოქ. ავტორი — ნ. ხუნწარია, დადგა გ. ქართველიშვილმა, დირიჟორი პ. დავითაშვილი, მხატვარი გ. ლაფაური, ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

8 მაისი. გ. ნახუცრიშვილი. „შაითან ხიხო“ ზღაპარი 3 მოქ. დადგა ლ. კვერნაძემ, მხატვარი ლ. მურუსიძე, კომპოზიტორი ნ. ედგარიძე, ქორეოგრაფი ა. გვაძაბია, დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი — შ. ჩერქეზიშვილი, ზუგდიდის, შ. დადიანის სახ. თეატრი.

9 მაისი. ნ. დუმბაძე. „კუკარაჩა“. კომ. 2 მოქ. (ინსცენირება ა. ქუთათელაძისა) დადგა ა. ქუთათელაძემ, რუსთავის თეატრი.

10 მაისი. გ. ხუგავეი „შემოდგომის სევდიანი სიმღერა“ დრამა ერთ ნაწ. მთარგმნელი გ. ბათიაშვილი, დადგა ლ. მირცხულავამ, მხატვარი ირ. მჭედლიშვილი, მუსიკ. გააფორმა — კ. ულენტა. გორის, გ. ერისთავის სახ. თეატრი.

17 მაისი. ნ. დუმბაძე. „ხატია ხედავს მზეს“ ლირიკული დრამა 2 ნაწ. ინსცენირება ი. გასიენის, ნ. დუმბაძისა, დადგა უ. მინდიაშვილმა, რეჟისორის ასისტენტი ზ. გასიევი, მხატვარი შ. ხუციშვილი, მუსიკა ე. ლონდარიძისა, ცხინვალის ხეთაგუროვის სახ. თეატრის ქართული დასი.

24 მაისი. ფ. ამიროვი. „ათასერთი ღამე“ დამდგმელი ბალეტმაისტერი ნ. ნაზიროვა, დირიჟორი ნ. რაჟაევი, მხატვარი ტ. ნარიმანბეგოვი, კოსტუმების მხატვარი ტ. ტარიოვი, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.

21 მაისი. მ. ბარათაშვილი. „ფიქრები სიყვარულზე“. ლირიკული დრამა 2 ნაწ. მთარგმნელი პ. უმიკიანი, დადგა რ. ჩაღტიკიანმა, მხატვარი შ. ტერ-მინასიანი, მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა, მუსიკ. კომპოზიცია ა. ასატრიანისა, შაუმიანის სახ. სომხური თეატრი.

22 მაისი. მ. აბრამიშვილი „ვარსკვლავი“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელი მ. ნირასოვი, დადგა ა. ჩხიკვაძემ, მხატვარი რ. კონდახსაშოვი, ქორეოგრაფი იუ. ზარეცი, ხმის რეჟისორი გ. მერგული. თოჯინების რუსული თეატრი.

23 მაისი. ნ. დუმბაძე. „კუკარაჩა“. (ინსცენირება ა. ქუთათელაძისა) დადგა ა. ქუთათელაძემ, მხატვარი გ. გაეჭკორი, (რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის თელავის ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლი). თელავის თეატრი.

29 მაისი. უ. შექსპირი. „მაკბეტი“. ტრაგედია 3 მოქ. მთარგმნელი ნ. ჯუსოევი, დადგა ა. აზაროვიჩმა, მხატვარი რ. ჩოჩიევი, მუსიკა შერაჩია ა. აზაროვიჩმა, ქორეოგრაფი — მ. შავლოხოვი, ცხინვალის ხეთაგუროვის სახ. თეატრის ოსური დასი.

30 მაისი. აღ. ჩხაიძე. „ჩემი ეიფელის კოშკი“ ორმოქმედებიანი კომედია, დადგა გ. თოღაძემ, მხატვარი თ. გომელაური, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

2 ივნისი. ლ. ქაჩელი. „გვადი ბიგვა“ პიესა 2 მოქ. ინსცენირების ავტორები მ. თუმანიშვილი, შ. სალუქვაძე, დადგა ლ. ბულუხიამ, მხატვარია ლ. მურუსიძე, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, ქორეოგრაფი ლ. ბაბკოვა, მესხეთის თეატრი.

4 ივნისი. რ. ლალიძე. „ლელა“. ოპერა 2 მოქ-ლიბრეტო ლ. ჭუმბარბასი, დადგა ზ. ანჭავარძიმ, დირიჟორი რ. ხურცილავა, მხატვარი შ. ჩიქოვანი, ქორეოგრაფი ე. გუმბერიძე, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალი.

6 ივნისი. ა. სუმბათაშვილი-იუჟინი. „ლალატი“ ტრაგედია-ლეგენდა 2 მოქ. მთარგმნელი გ. ბათიაშვილი, დამდგმელები გ. ქავთარაძე, მ. ფურცხვანიძე, მხატვარი ჯ. ფაჩოაშვილი, სპექტაკლში მონაწილეობს ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, მხატვრული ხელმძღვანელი რ. ჭანიშვილი, სპექტაკლში გამოყენებულია გ. ყანჩელის მუსიკა, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრი.

12 ივნისი. გ. მამლინი „დინოზავრებს გაუმარჯოს“ პიესა 2 მოქ. მთარგმნელი ე. უიჯიანი, დადგა ქ. ხარშილაძემ, მხატვარი თ. ნინუა, მუსიკ. გააფორმა დ. გურგენიძემ, მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

13 ივნისი. შ. სულაძე „ტრემლიანი გზა“ დრამა 2 მოქ. დადგა ნ. დემეტრაშვილმა, მხატვარი ა. გოგლაძე, კომპოზიტორი გ. სიხარულიძე, მესხეთის თეატრი.

14 ივნისი. ნ. დუმბაძე „მარადისობის კანონი“ რომანი თეატრისთვის 2 ნაწ. მთარგმნელი ზ. ახვლედიანი, ინსცენირების ავტორები: გ. შორდანი, ზ. კვიციანიძე, დადგა გ. შორდანიამ, რეჟისორი ლ. ჯაში, სცენოგრაფია იუ. გეგეშიძისა, კომპოზიტორი თ. ჯიანი, ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი.

15 ივნისი. ვ. იაკაშვილი „შავლეგა“. პიესა 2 მოქ. დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარი ა. ბრანოვერი, მუსიკა ლ. ხინგავასი, ქუთაისის თოჯინების თეატრი.

18 ივნისი. გ. ტაბიძის „ოქრო აჭარის ლაქვარდში“ დრამატული კომპოზიცია, კომპოზიციის ავტორი გ. ხუნაშვილი, დადგა გ. აბესაძემ,

მხატვარი ა.ფილიპოვი, მუსიკ. გააფორმა თ. შამილაძემ, ხმის რეჟისორი ვლ. ოქუაშვილი. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრი.

19 ივნისი. ი. ვაკელი. „გიორგი სააკაძე“. ტრაგედია 2 მოქ. დადგა — გ. აბრამიშვილმა, მხატვარი შ. ხუციშვილი კოსტუმების მხატვარი — ქ. ბოჭორიშვილი. სპექტაკლში გამოყენებულია ა. ბლანჩივადისა და ჯ. ბეგლარიშვილის მუსიკა. ქორეოგრაფი მ. შავლობოვი. გორის გ. ერისთავის სახ. თეატრი.

20 ივნისი. დ. კლდიაშვილი „სოლომონ მორბელაძე“ ტრაგიკომედია 2 მოქ. ინსცენირება ვ. კიკნაძისა, დადგა ო. გვიჩიაშვილმა, მხატვარი ლ. ტატიშვილი, მუსიკ. გააფორმა ნ. ძნელაძემ. ქიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

21 ივნისი. გ. სებისკვრაძე. „მოლოდინი“ ორმოქმედებიანი პიესა, დადგა ს. ყიფშიძემ, მხატვარი ლ. მურუსიძე. მუსიკ. გააფორმა ნ. ძნელაძემ. ქიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

23 ივნისი. დ. კლდიაშვილი. „სოლომონ მორბელაძე პიესა 2 მოქ. ინსცენირება ვ. კიკნაძისა, დადგა თ. მესხმა, მხატვარი ნ. გაფრინდაშვილი, კომპოზიტორი დ. ტურიაშვილი. რუსთავის თეატრი.

25 ივნისი. გ. ერისთავი. „ძუნწი“ კომპოზიტორი შ. მიღორავა, მუსიკალური კომედია ორ მოქმედებად, ლიბრეტო გ. მელივასი, დადგა გ. მელივამ, მხატვარი თ. მურვანიძე, დირჟორი ა. მამაცაშვილი, ქორმასტერი ა. განუგრავა. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

27 ივნისი. ს. მრევლიშვილი. „კოლაელ ყრმათა წამება“ — VI საუკუნის ქართული ქრონიკის მიხედვით. დადგა ს. მრევლიშვილმა, მხატვარი გ. გუნია, მუსიკ. გ. სიხარულიძისა, ქორეოგრაფი ზ. კიკალეიშვილი. საგალობლები ჩაწერილია ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა გუნდის მიერ. გუნდის ხელმძღვანელი დ. ტურიაშვილი. ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია („მეტეხი“).

27 ივნისი. დ. კლდიაშვილი. „დარისპანის გასაჭირი“ პიესა ერთ მოქ. რეჟისორი-პედაგოგი ნ. ბაგრატიონ-გრუზინსკი, მხატვარი ზ. კოლედიშვილი, მუსიკ. გააფორმა რ. შენგელიამ, მეტყველების პედაგოგი ნ. ხეთერელი. კურსის ხელმძღვანელი ზ. კვერენჩხილაძე (რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის თელავის ჯგუფის პირველი სადიპლომო სპექტაკლი) თელავის თეატრი.

27 ივნისი. ი. ვაკელი. „პარაკუნე“. კომ. 2 მოქ. დადგა მ. ფურცხვანიძემ, რეჟისორი ლ. კვერნაძე, მხატვარი ჯ. ფაჩუაშვილი, მუსიკა პ. ბუხაიძისა. ზუგდიდის შ. დადიანის სახ. თეატრი.

29 ივნისი. ს. ალიოშინი „თემა ვარაციებით“ მთარგმნელი ზ. კუხიანიძე, დადგა ბ. ტორონჯაძემ, მხატვარი თ. გომელაური, მუსიკ. გააფორმა ჯ. სეფიაშვილმა. ქუთაისის მესხიშვილის სახ. თეატრი.

29 ივნისი. ვ. კანდელაკი. „დრო — 24 საათი“ პიესა 2 მოქ. დადგა — ნ. დეისაძემ, მხატვარი — ლ. როსტომაშვილი, მუსიკა შეარჩია გ. მაცხოვრავიშვილმა, ქორეოგრაფი ნ. გაბუნია. თელავის თეატრი.

29 ივნისი. ლ. თაბუკაშვილი. „დედაჩემის საყვარელი ვალსი“ პიესა 2 მოქ. დადგა — ნ. ჯინჭარაძემ. მხატვარი მ. თუმანიშვილი. მახარაძის, ა. წუწუნავას სახ. თეატრი.

30 ივნისი. ალ. შალუტაშვილი. „გიგლიკო“ პიესა 2 მოქ. დადგა — ნ. იონათამიშვილმა, მხატვარი რ. კონდახსაშვილი, მუსიკა ე. მერაბიშვილისა, ქორეოგრაფი — რ. იონათამიშვილი. თოჭინების თეატრი.

30 ივნისი. ნ. ქინქლაძე. „მარად ერთად“ პიესა 2 მოქ. დადგა — გ. აბესაძემ, რეჟისორი ს. კიკვაძე, მხატვარი — მ. თუთაიშვილი, მუსიკალური კონსულტანტი — ი. კეჭყემაძე, ქორეოგრაფი — ვ. მეგრელიძე. მახარაძის, ა. წუწუნავას სახ. თეატრი.

შეადგინა მ. გომოლაშვილმა.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„თეატრალური მოამბის“ ა. წ. მე-4 ნომერში, 68-ე გვერდზე, ტირაჟის ნაწილში შეცდომით ხელმოუწერლად დაიბეჭდა რეცენზია — „საყურადღებო გამოკვლევა“, რომელიც ეკუთვნის კარლო კუციას.

ი უ მ რ ი

აღარ მიხდა!

პრემიერის ბუნდოვანი დღეები უკან დარჩა. ჩემს მიერ დადებული სპექტაკლი ნახა ყველამ, ვისაც შეეძლო ჩემთვის ძირი გამოეთხარა. თეატრში მოვიდა ის მაყურებელი, რომელთა აზრს ასე არ ვუწევთ ანგარიშს და რომელთა გამოჩენა ყველას პატივით გვჭირდება.

ერთხელ ფოიეში თვალი მოვკარი ნაცნობ კრიტიკოსს, იგი უკვე მეორედ ნახულობდა ამ სპექტაკლს. გამოცდილებით ვიცოდი, რომ კრიტიკოსი თეატრში შემთხვევით ორჯერ არ მოვა.

იგი შორიდან მომესალმა. შემდეგ მომიახლოვდა, ხელი მრავალმნიშვნელოვნად ჩამომართვა, ჩემსკენ გადმოიხარა და ფრად საიდუმლოდ წამჩურჩულა — „დავწერ, აუცილებლად დავწერ!“ მადლობის ნიშნად რაღაც წვაიდიუდღუნე, უაზროდ გავუღიმე და ასე დავცილდი.

რა დასამალია, მოუთმენლად ველოდი დაპირებული რეცენზიის გამოჩენას. ერთ დღეს კი, თეატრში მოსულს, კამერდინერმა უურნალი გამომიწოდა და მოწიწებით მითხრა — „თქვენზე წერენ!“

გადავშაღე უურნალი, მოვძებნე ჩემი ნაცნობი კრიტიკოსის გვარი და იქვე ამოვიკითხე სათაურიც — „ის, რაც რელივიანტურია!“ ჩანდაბას, გავიფიქრე, იქოს რელივიანტური. მთავარია რას წერს.

მოვძებნე სარჩევში აღნიშნული გვერდი და კითხვას შევუდექი: „ამ სპექტაკლში რეჟისორული აბდიკაციის მოწმენი გავხდით. სპექტაკლის იდეა არ გეგონათ ბაბუვისტური, ის ფაქტი, რომ იგი გავოტური სისტემითაა წარმოდგენილი, სულაც არ ნიშნავს მოვლენათა დაზიმეტრიულობას. ერთი შეხედვით, შესაძლებელია, თვალში გვეცეს მხატვრული ჩანაფიქრის ეგზეგეტიკურობა, მაგრამ ეს მხოლოდ მხატვრულ ცნებათა ვა-

დემეკუშია, რომლის ზიგომორფულობა თავიდანვე ცხადი ხდება.“

ჩემთვისაც თავიდანვე ყველაფერი ცხადი გახდა, მაგრამ შესავალისთვის უურადლება არ მიმიქცევია, მოთმინებით აღვიჭურვე და კითხვა განვაგრძე:

„ამიტომაც რომ ჩვენ იმთავითვე განვიცილოთ შთაბეჭდილებათა თეზავრაციას. აქედან გამომდინარეობს ჩვენი აღქმის იერატოკულობა რომელიც ზშირად კადასტრული ანალიზით თავდება.“

ავილოთ, თუნდაც, მსახიობთა ლანთანურობა, რას მოასწავებს იგი, თუ არა ერთგვარი, დანახიათების მარგინალის? ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა გვექცეთ გამომსახველობით ნეოფიტს, მაგრამ არც ის გვეკადრება, არტისტული ოკლუზიის მსხვერპლად ვიქცეთ. ამიტომაც აუცილებელი ყოველთვის ვიყოთ მაქსიმალურად პალისადურები, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გამომსახველობითი უკარდულობა.“

სასოწარკვეთილმა გადავწყვიტე კითხვა შემეწყვიტა, მაგრამ სწორედ ამ დროს დავინახე, რომ ახალი აბზაციდან ჩემზე იწყებოდა საუბარი. ცნობისმოყვარეობამ წამძლია:

„ალბათ დამეთახნებებით, ამ რეჟისორის წინა ნამუშევრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსალოდნელი იყო მხატვრული მიმართების ერთგვარი რეაგენტაცია. ყველაფერი კი პირიქით მოხდა, საგიტალური აზროვნება შეცვალა ტაქელაურმა, უვრახული ფელდიეგერულმა, რის შედეგადაც, ცხადია, მაშინვე დაირღვა ქონდროიმი.“

ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა რამ რა შეცვალა. ისიც, თუ რა დაირღვა, და კითხვა განვაგრძე:

„ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ კრიტიკულ ღაზავათს ვეწვევით. დემრთმა დაგვიფაროს, რეცენზია არ არის ყალბი! იგი მოწოდებულია იქოს შევრმერი, რათა ცხადყოს თეატრის და რეჟისორის ნამუშევრის შინაგანი ჩაინვორდულობა. ეს რეცენზია ცაიტლუპური სისტემითაა შექმნილი და ამდენად, არა აქვს პრეტენზია ძაიბაცურობაზე, თუ რეჟისორისთვის გასაგებია ჩემი ხირაგანა, ნუ მიიღებს მას როგორც ჯოლტს, იგი მხოლოდ და მხოლოდ შეგობრული ჰარპუნია.“

ასე მთავრდებოდა ეს რეცენზია.

ბევრი არ მიფიქრია იქვე დაუწერე ძვირფას კრიტიკოსს პასუხი: „დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენს მიერ ცაიტლუპური სისტემით შექმნილი რეცენზია. არ ვიცი გაქვთ თუ არა პრეტენზია ძაიბაცურობაზე, მაგრამ ვფიქრობ, ეს აბრაკადაბრა თავისუფლად შეიძლება ექსტრავაგანტურად ჩავთვალოთ. თქვენ ჭეშმარიტი ბაბუინი ბრძანდებით. ჩანს, გენტილური ტრანსფორმაციის გზაზე დგახართ. თქვენი აზროვნების დივერგენცია, სიტყვების ემფაზა, ვალორიზაციით არის გამოწვეული. და საერთოდ, იკმარეთ ბითურობა, თქვენგან იმდენი ვისწავლე, რომ მომავალში თქვენ მეგობრულ ჰარპუნს აღარ ვსაჭიროებ. აღარ მინდა თქვენი არც ჯოლტი, არც ხირაგანა და არც სხვა რამ ამდაგვარი. თქვენ თქვენთვის, მე — ჩემთვის. მეყოლით ელევანტურად!“

თქვენი მმრბ ბეგია.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობას	3
საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა	5
<b>დიმიტრი ალექსიძე</b> — საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ანგარიში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ასპექტში . . . . .	7
<b>ოთარ ეგაძე</b> — საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში დამატებათა შეტანის შესახებ . . . . .	21
კამათი საანგარიშო მოხსენების გარშემო . . . . .	28
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-9 ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის წევრები . . . . .	42
საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრები . . . . .	43
საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი	44
საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობის რეზოლუცია . . . . .	45
<b>ნანა ონიანი</b> — მომავლის მადლობა . . . . .	48
შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის 100 წლის-თავი . . . . .	50
თეატრის ბენდიერი ხანა . . . . .	51
თეატრის საუკუნე და ეპოქა . . . . .	55
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება . . . . .	58
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში . . . . .	59
<b>თამარ გომართელი</b> — ვახტანგ ფალიაშვილი . . . . .	60

**თეატრალური ჟიგნის თარო**

<b>დიმიტრი ჯანელიძე</b> — „სერგო ამალაობელი“ . . . . .	63
საქართველოს სსრ თეატრების რეპერტუარი (1981 წლის 1 იანვრიდან 1981 წლის 1 ივლისამდე) . . . . .	66

**იუმორი**

<b>მერაბ გეგია</b> — აღარ მინდა! . . . . .	70
--	----



**გარეკანის პირველ გვერდზე:**

სცენა სოხუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური სახელმწიფო თეატრის  
სპექტაკლიდან „ალორძინება“.

**გარეკანის მეოთხე გვერდზე:**

სცენა თბილისის ალ. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრის  
სპექტაკლიდან „ძველმოდური კომედია“.

სცენა თბილისის ალ. გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლიდან  
„მარადისობის კანონი“.

სცენა სოხუმის რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკ-  
ლიდან „ალისფერი ყვავილი“.

**БЮЛЛЕТЕНЬ ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
„ТЕАТРАЛУРИ МОАМბე“**

Тბილისი — 1981

№ 5 (123)

ფასი 40 კპ.

გადაეცა წარმოებას 13/XI-81 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-81 წ.  
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6,3  
სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 6,75  
ქალაქის ზომა 72X108<sup>1/16</sup>

1952

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ ԳԵՂԱՐԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

